



სოციალურ მეცნიერებათა სერია

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა

მომზადებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის
აკადემიური სტიპენდიის საფუძველზე

სალექციო კურსი
სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის

ნინო ჟვანია

თბილისი
2006

სოციალურ მეცნიერებათა სერია

მთავარი რედაქტორი: მარინე ჩიტაშვილი

ენობრივი რედაქტორი: ლია კაჭარავა

დაკაბადონება, ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006

© Center for Social Sciences, 2006

ქ. თბილისი, 0108, თ. ჭოველიძის ქ. № 10

ელ. ფოსტა: contact@ucss.ge

ინტერნეტ გვერდი: www.ucss.ge



წიგნი მომზადებულია და გამოცემულია „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის“ (Center for Social Sciences) მიერ, ფონდის OSI – Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური ხელშეწყობით



The book has been published by the Center for Social Sciences, sponsored by the OSI-Zug Foundation and the Higher Education Support Program (HESP) of the Open Society Institute-Budapest.

ISBN: 99940 - 872 - 2 - 3

სარჩევი

1. შესავალი	4
2. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის სამი თეორია	6
3. ჰეგემონური სტაბილურობის თეორია	13
4. საფინანსო-სავალუტო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ	18
5. საერთაშორისო ვაჭრობა. სავაჭრო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ	23
6. მესამე სამყაროს გაჩენა და ეკონომიკური სისტემის სამი ქვესისტემა	30
7. გლობალიზაცია	39
8. კაპიტალის მოძრაობა	45
9. ევროპის ინტეგრაცია	55
10. ეროვნული უსაფრთხოება და ეკონომიკა	59
11. Political Economy of International Relations Course Resume	67

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომია შედარებით ახალი დისციპლინაა, რომელმაც ჩამოყალიბება დაიწყო გასული საუკუნის 70-იან წლებში. მისი წარმოშობა განპირობებული იყო საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის სწრაფად მზარდი მჭიდრო ურთიერთკავშირით და იმ მოსაზრებით, რომ ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობები ცალ-ცალკე მეტად ვიწრო დისციპლინებია იმისათვის, რომ ახსნან საერთაშორისო პოლიტიკური და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საკვანძო ასპექტები.

აღნიშნული კურსი ვერ მოიცავს დისციპლინის ყველა ასპექტს. იგი გაგაცნობთ საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომიის ძირითად თეორიებს, აღწერს საფინანსო-სავალუტო და სავაჭრო სისტემებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია და მომდევნო მოვლენები) და ადარებს მათ თანამედროვე სისტემებს. კურსის ფარგლებში ახსნილია საერთაშორისო ინვესტიციების ლოგიკა და თანამედროვე ტენდენციები ამ სფეროში, განხილულია გლობალიზაციის პროცესი და მისდამი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, ასევე ევროპის ინტეგრაცია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების როლს საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკურ ეკონომიაში.

კურსის მიზანი

კურსის მიზანია ახსნას პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულება სამინაო და საერთაშორისო დონეებზე. წარმოაჩინოს ის, თუ როგორ განსაზღვრავს პოლიტიკა ეკონომიკას და პირიქით. კურსი აგრეთვე მიზნად ისახავს გლობალიზაციის პროცესის ახსნას და გლობალური ეკონომიკის განვითარების ეტაპების აღწერას. კურსის ერთ-ერთი მთავარი მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს საქართველოს პოზიციიდან განიხილონ საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომიის სხვადასხვა საკითხები და თავისუფლად იმსჯელონ საქართველოს როლზე დღევანდელ საერთაშორისო სისტემაში.

ეკონომიკური ფაქტორები მთელი ისტორიის მანძილზე დიდ როლს ასრულებდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში. ეკონომიკური მიზნები, რესურსები და ინსტრუმენტები ხშირად განსაზღვრავდნენ ქვეყნების საგარეო პოლიტიკას. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ უამრავი ისტორიული მოვლენა – ეს იქნება ომები, ზავები, შეთქმულებები, კოალიციების წარმოშობა თუ სხვა, და მათი კარგად შესწავლის შემდეგ დავინახავთ, რომ ნებისმიერი მათგანის უკან იყო ეკონომიკური დაინტერესება ან, პირიქით, გარკვეული ეკონომიკური მოვლენები პოლიტიკური ქმედებების გამოხმაურება იყო ან კონკრეტული პოლიტიკური მიზნის მიღწევას ემსახურებოდა. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ადრინდელი ინდუსტრიალიზაცია მეცხრამეტე საუკუნეში მისი პოლიტიკური სიძლიერისა და მსოფლიოში დომინანტ სახელმწიფოდ გადაქცევის განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა. ასევე აშშ-ს ეკონომიკურმა სიძლიერემ განაპირობა მისი სამხედრო ძლიერება და მეოცე საუკუნეში პოლიტიკური დომინანტის როლის შესრულება. სთივენ გილისა და დევიდ ლოს წიგნი (*The Global Political Economy: Perspectives, Problems and Policies*) პოლიტიკისა და ეკონომიკის მჭიდრო ურთიერთკავშირის საჩვენებლად მოყვანილია მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოვლენის – აპარტიდის მაგალითი: სამხრეთ აფრიკის პოლიტიკური ვითარება ცდებოდა ამ ქვეყნის კომპეტენციას. მის მოგვარებაში აქტიურად ჩაებნენ დასავლეთი (ამ შემთხვევაში – აშშ და ზოგიერთი ევროპული სახელმწიფო) და აღმოსავლეთი (პირველ რიგში სსრკ და შემდეგ მისი სატელიტი სოციალისტური სახელმწიფოები). ორივე მხარის პოლიტიკოსებისათვის დებატები სამხრეთ აფრიკისა და აპარტიდის შესახებ არ იყო მხოლოდ სამართლიანობისა და სამოქალაქო უფლებების გამო, არამედ, ავტორების აზრით, აღმოსავლეთ-დასავლეთის ძალთა ბალანსის, გრძელვადიანი უსაფრთხოებისა და სამხრეთ აფრიკაში მათი ინვესტიციების მასშტაბების გამო. დასავლეთის ანტი-აპარტიდულმა ლობიმ მიაღწია ეკონომიკური სანქციების დაწესებას სამხრეთ აფრიკისათვის. ამ ქვეყანაზე საუბრისას საჭიროა მოვიხსენიოთ სტრატეგიული ნედლეული, რომლის ექსპორტსაც ეწეოდა სამხრეთ აფრიკა აშშ-სა და იაპონიაში და რომლის ალტერნატიული მიმწოდებელიც, ხშირ შემთხვევაში, იყო სსრკ. წმინდა ეკონომიკური სანქციების დაწესების მიღმა ნათლად იკვეთებოდა პოლიტიკური ინტერესები და გათვლები. ამგვარად, საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომია ყოველთვის არსებობდა. მეოცე საუკუნეში კი მისი, როგორც დისციპლინის, ჩამოყალიბება დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკა და ეკონომიკა მუდამ ახდენდნენ ერთმანეთზე გავლენას, მათი ურთიერთდამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა მეოცე საუკუნეში. ამის ერთ-

ერთი მიზეზი, გილპინის აზრით, ისაა, რომ საგდნობლად ამაღლდა მოსახლეობის გათვით-
ცნობიერების დონე როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ საკითხებში და ხალხი მიხვდა,
რომ მას შეუძლია (ან ჰგონია, რომ შეუძლია) გავლენა მოახდინოს და შეცვალოს ეკონომიკური
პროცესები. ამ ცოდნისა და პოლიტიკური დემოკრატიის ფართოდ გავრცელების შედეგად ნა-
თელი გახდა, რომ ქვეყნებს ან გარკვეულ ჯგუფებს შეუძლიათ აქტიურად იმოქმედონ ეკო-
ნომიკაზე და, შესაბამისად, სიმდიდრის გადანაწილებაზე. ამგვარად, დღევანდელ მსოფლიოში
უმუშევრობა, ინფლაცია და სხვ. აღიქმება და განიხილება არა როგორც ეკონომიკის გარდა-
უვალი კანონზომიერება, არამედ როგორც ადამიანების მიერ განხორციელებული ქმედებების
შედეგი, ანუ ხდება ეკონომიკის პოლიტიზაცია.

ედვარდ ქარის მიხედვით, ეკონომიკის მეცნიერება გულისხმობს გარკვეულ წყობას,
წესრიგს და იგი არ შეიძლება იყოს შესწავლილი პოლიტიკის გარეშე.

რიგ მეცნიერთა აზრით კი, პირიქით, ყოველი პოლიტიკური სტრუქტურის უკან დგას
ეკონომიკური საფუძვლები.

დღეს დაბეჯითებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ არც პოლიტიკა და არც ეკონომიკა არ
არის სრულიად ავტონომიური და, შესაბამისად, ორივე მოსაზრება მართებულია.

ჯოან სპიროს აზრით, პოლიტიკური ფაქტორები სამი სახით ახდენენ გავლენას
ეკონომიკაზე:

- პოლიტიკური სისტემა აყალიბებს ეკონომიკურ სისტემას, ვინაიდან ეკონომიკური სისტე-
მის სტრუქტურა და საქმიანობა დიდწილად განპირობებულია საერთაშორისო
პოლიტიკური სისტემის სტრუქტურითა და საქმიანობით;
- პოლიტიკური მოსაზრებები ხშირად განაპირობებენ ეკონომიკურ პოლიტიკას, ვინაიდან
ეკონომიკური პოლიტიკა განისაზღვრება პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე;
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები თავად არის პოლიტიკური ურთიერთო-
ბები, ვინაიდან საერთაშორისო ეკონომიკური ინტერაქციები, პოლიტიკური ინტერაქციე-
ბის მსგავსად, არის პროცესი, რომლის დროსაც ქვეყნები ან სისტემის სხვა მონაწილეები,
ცდილობენ მოაგვარონ თავიანთი პრობლემები, მიაღწიონ საერთო მიზნებს, ითანამ-
შრომლონ და აშ.

ერთი მხრივ, პოლიტიკა ფართოდ განსაზღვრავს ეკონომიკური საქმიანობის ჩარჩოებს და
მიმართულებას აძლევს მას, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკურ პროცესებს წვლილი შეაქვთ
ძალაუფლებისა და სიმდიდრის გადანაწილებაში. ისინი ცვლიან ძალაუფლებრივ ურთიერთო-
ბებს ჯგუფებს შორის, რასაც, თავის მხრივ, მივყავართ პოლიტიკური სისტემის ტრანს-
ფორმაციისაკენ, ხოლო ამას – ეკონომიკური ურთიერთობების ახალი სტრუქტურისაკენ.

საერთაშორისო ურთიერთობების ეკონომიკური პოლიტიკა არის მეცნიერება ეკონომიკურ
მოტივებზე, საქმიანობასა და პოლიტიკაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე.

საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომიკა არის საერთაშორისო ურთი-
ერთობებში ორმხრივი და დინამიური ურთიერთქმედება სიმდიდრისა და ძალაუფლების ხელში
ჩაგდების მიზნით. (*Robert Gilpin: Power and the Multinational Corporations: The Political Economy of
Direct Foreign Investment*).

სახელმწიფოსა და ბაზრის პარალელური არსებობა და ურთიერთქმედება თანამედროვე
მსოფლიოში ქმნის პოლიტიკურ ეკონომიკას. სახელმწიფოს არარსებობის პირობებში ფასის
მექანიზმი და ბაზრის ძალები განსაზღვრავდნენ ეკონომიკური საქმიანობის შედეგებს. ეს
იქნებოდა წმინდა ეკონომისტის სამყარო. ბაზრის არარსებობის შემთხვევაში სახელმწიფო
გამოყოფდა ეკონომიკურ რესურსებს. ეს იქნებოდა წმინდა პოლიტიკოსის სამყარო.

პოლიტიკა და ბაზარი მუდმივ ურთიერთქმედებაშია. ყველა პოლიტიკური მოვლენის უკან
არის ეკონომიკური ასპექტი, და, პირიქით.

პოლიტიკური ეკონომია შეისწავლის ეკონომიკური მოვლენების პოლიტიკურ საფუძვლებს
ან მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, ბაზრის
ფუნქციონირებაზე. შეიძლება ასეც ითქვას – პოლიტიკური ეკონომია შეისწავლის პოლი-
ტიკური მოვლენების ეკონომიკურ საფუძვლებს.

1970-იანი წლები პოლიტიკური ეკონომიის აღორძინების პერიოდი, რაც განპირობებული
იყო იმით, რომ რეალურ და მეცნიერულ ფაქტებს შორის ეკონომიკასა და პოლიტიკაში
უფსკრული გაჩნდა. მოხდა ეკონომიკური პრობლემების ძლიერი პოლიტიზირება, ხოლო
პოლიტიკური პროცესები, თავის მხრივ, განიცდიდა ეკონომიზაციას. გარდა ამისა, ღარიბ და
მდიდარ ქვეყნებს შორის გაიზარდა უფსკრული. პრიორიტეტულად იქცა გლობალური
პრობლემები ახალი ეკონომიკური წესრიგის შექმნის მოთხოვნით.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის სამი იდეოლოგია – სამი თეორია

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების მიერ შემუშავებულია არაერთი თეორია ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის ურთიერთობების ასახსნელად, ეს სამი – ლიბერალიზმი, ნაციონალიზმი და დამოკიდებულების თეორია ყველასაგან გამორჩეულია. მათ უდიდესი გავლენა მოახდინეს როგორც მეცნიერების განვითარებაზე, ასევე თავად პოლიტიკაზე და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის ჩამოყალიბებიდან დღემდე არ კარგავენ აქტუალურობას.

ლიბერალიზმი

„ლიბერალიზმი“ 1912 წლიდან გამოიყენება – მას შემდეგ, რაც ესპანეთში შეიქმნა ლიბერალური პარტია და ლიბერალებმა მოახერხეს სამოქალაქო კონფლიქტში კონსერვატიული და ავტორიტარული შეხედულებების მონინაალმდეგეების გაერთიანება. ეს სიტყვა ლათინურიდან მომდინარეობს და თავისუფლებას ნიშნავს.

ლიბერალური თეორია ადამ სმიტისა და დევიდ რიკარდოს მოძღვრებებიდან იღებს სათავეს. ლიბერალური ეკონომიკური თეორია თავისუფალი ბაზრის და სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის მომხრეა. ლიბერალიზმი არის თავისუფალი ადამიანების, თავისუფალი ბაზრის და შეზღუდული მთავრობის იდეოლოგია. ლიბერალიზმი არის დოქტრინა საზოგადოების წევრთა ერთმანეთთან ურთიერთობის შესახებ. იგი ცდილობს ადამიანს შეუქმნას ნორმალური, ბუნებრივი და მშვიდობიანი განვითარების პირობები.

ლიბერალიზმი ტრანსფორმაციას განიცდიდა და მას სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდა: კლასიკური თეორია, ნეოკლასიციზმი, კეინსიანიზმი, მონეტარიზმი და სხვ. ეკონომიკური ლიბერალიზმის ყველა ფორმა აღიარებს ბაზარს და ფასის წარმოქმნის მექანიზმს, როგორც შიდა და საგარეო ეკონომიკის ორგანიზების ყველაზე ეფექტურ ხერხს. ლიბერალიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც დოქტრინა და პრინციპების ერთობლიობა საბაზრო ეკონომიკის ორგანიზებისა და მართვისათვის, რათა მიღწეულ იქნეს მაქსიმალური ეფექტურობა, ეკონომიკური ზრდა და ბაზრის ყველა მონაწილის პირადი კეთილდღეობა.

ეკონომიკური ლიბერალიზმის მიხედვით, ბაზარი წარმოიქმნება სპონტანურად, რათა დააკმაყოფილოს ადამიანის მოთხოვნილება. ხოლო ფუნქციონირებს ბაზარი თავისი შიდა ლოგიკის მიხედვით. ადამიანები ბუნებით არიან ეკონომიკური ცხოველები და ამიტომ ბაზარი ვითარდება ბუნებრივად, ლოგიკურად, ცენტრალური დირექტივების გარეშე.

ადამ სმიტის აზრით, საზოგადოებრივი, ეროვნული და კერძო დოვლათის წარმოქმნის წყარო არის თითოეული ადამიანის მუდმივი, განუწვეტელი და რუტინული ძალისხმევა, გაიუმჯობესოს საკუთარი პირობები.

საბაზრო სისტემის ლოგიკა ისაა, რომ ის ზრდის ეკონომიკურ ეფექტურობას, მაქსიმალურს ხდის ეკონომიკურ ზრდას და, შესაბამისად, აუმჯობესებს ადამიანების კეთილდღეობას. მიუხედავად იმისა, რომ, ლიბერალების აზრით, ეკონომიკური საქმიანობა აძლიერებს ქვეყნის ძალაუფლებასა და უსაფრთხოებას. მათ სწამთ ისიც, რომ ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი და უმთავრესი მიზანი არის თითოეული ადამიანისათვის სარგებლის მოტანა.

ლიბერალიზმის მიხედვით, კერძო მომხმარებელი, ფირმა თუ ოჯახი არის საზოგადოების საფუძველი. კერძო პირები იქცევიან რაციონალურად, გონივრულად და ცდილობენ დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები ყველაზე დაბალ ფასში. ინდივიდუალური მწარმოებლები და მომხმარებლები ძალიან მგრძობიარენი არიან ფასის მიმართ, რაც ხელს უწყობს მოქნილი ეკონომიკის წარმოქმნასა და არსებობას, რომლის პირობებშიც ფასის ნებისმიერი ცვლილება გამოიწვევს შესაბამის ცვლილებას წარმოებაში, მოხმარებასა და ეკონომიკურ ინსტიტუტებში. ჭეშმარიტად კონკურენტული ბაზრის პირობებში გაცვლის პირობები განისაზღვრება მხოლოდ მიწოდება-მოთხოვნით და არა ძალაუფლებით, უხეში ჩარევითა და დირექტივებით. თუ გაცვლა ნებაყოფლობითია და ორივე მხარის სურვილითაა განპირობებული, მაშინ ამ პროცესში ორივე მხარე მოგებულია და კმაყოფილი.

საბაზრო ეკონომიკა ძირითადად იმართება მოთხოვნის კანონით, რომლის მიხედვითაც, ხალხი იყიდის მეტ საქონელს, თუ ფასი დაინევის, და ნაკლებს, თუ ის გაიზრდება; ხალხი ასევე იყიდის მეტს, თუ მისი შემოსავალი გაიზრდება, და ნაკლებს, თუ იგი შემცირდება. ნებისმიერი ცვლილება ფასში და ბაზრის მონაწილის შემოსავალში იმოქმედებს შეძენილი საქონლის რაოდენობაზე.

ხოლო რაც შეეხება მიწოდებას, ლიბერალების აზრით, ადამიანები ცდილობენ თავისი

ინტერესების დაკმაყოფილებას დეფიციტისა და რესურსების არასაკმარისი რაოდენობით არსებობის პირობებში. საქონელზე მიწოდების ან მოთხოვნის ცვლილებას აუცილებლად მოჰყვება საქონლის ფასის ცვლილება.

არსებითად, ლიბერალებს სწამთ, რომ ვაჭრობა და ეკონომიკური ურთიერთქმედება სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობების საფუძველია, ვინაიდან ვაჭრობით მიღებული ორმხრივი სარგებელი და ზრდადი ურთიერთდამოკიდებულება ეროვნულ ეკონომიკებს შორის აძლიერებს სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას. სწორედ ამიტომ თავისუფალი ვაჭრობა და კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა უნდა განსაზღვრავდნენ სახელმწიფოთა ეკონომიკურ პოლიტიკას და არა პირიქით.

ლიბერალიზმის საშინაო პოლიტიკის მიზანი იგივეა, რაც საგარეოსი – მშვიდობა. ლიბერალებს სწამთ კაცობრიობის სრულყოფილი თანამშრომლობის. ლიბერალიზმი თავისი არსით კოსმოპოლიტური იდეოლოგიაა. ხოლო ლიბერალი - მსოფლიო მოქალაქე, კოსმოპოლიტი. ლიბერალიზმი წინააღმდეგია ომისა და ყველანაირი კონფლიქტის. ომი აიძულებს სახელმწიფოებს ჩაიკეტონ, ხოლო შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ჩაკეტილი ქვეყნის ეკონომიკა სუსტდება და მოქალაქეთა კეთილდღეობა კლებულობს. ლიბერალის აზრით, კერძო საკუთრება მშვიდობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მთლიანად მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, ყველა სახელმწიფოს ვალია კერძო საკუთრების გაფრთხილება და მისი დაცვა.

ადრე ლიბერალები თვლიდნენ, რომ ომი სურდათ და ომობდნენ მონარქები და არა ერები. შესაბამისად, მათი აზრით, დინასტიები უნდა შეეცვალათ ხალხის მიერ არჩეულ მთავრობებს. ბევრი მეცნიერისა და პოლიტიკოსის აზრით, ლიბერალურ-დემოკრატიული მთავრობები ნაკლებად კონფლიქტურები არიან და იშვიათად ან საერთოდ არ ომობენ. ლიბერალიზმის გავრცელებასთან ერთად ხდება სახელმწიფო საზღვრების დადგენა სამხედრო, ისტორიული და სხვა პირობებით. თუმცა ლიბერალები არ აღიარებენ საზღვრის სტრატეგიულ მნიშვნელობას. ლიბერალების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა რეფერენდუმები და პლემბისციტები.

ლეველინგ როქველი, თანამედროვე ამერიკელი პოლიტიკოსი და ჟურნალისტი, ეჭვს გამოთქვამს იმის გამო, რომ ლიბერალიზმი თავისი პირვანდელი სახით დღეისათვის აღარ არსებობს, და ამბობს, რომ ჭეშმარიტ ლიბერალურ კონცეფციას ახლა კლასიკური ლიბერალიზმი უნდა ეწოდოს. იგი წერს: „მე-18 და მე-19 საუკუნეებში ლიბერალიზმის ცნება, საზოგადოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ფილოსოფიას ნიშნავდა, რომელსაც შემდეგი პრინციპი გააჩნდა – საზოგადოებებს და მათ კომპონენტებს რაიმე სახის ცენტრალური მმართველობა და კონტროლი არ სჭირდებათ, რადგან საზოგადოებები, ჩვეულებრივ, საკუთარ თავს მართავენ საკუთარ წევრთა ნებაყოფლობითი და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გზით. დღეს ამგვარ ფილოსოფიას ლიბერალიზმს ვერ ვუწოდებთ, ვინაიდან ეს ცნება დემოკრატიული ტოტალიტარიზმის მიერ იქნა მითვისებული. იმისათვის, რომ ეს ფილოსოფია ხელახლა ჩვენი დროის შესატყვისად წარმოვაჩინოთ, ჩვენ მას ახალი სახელი – კლასიკური ლიბერალიზმი უნდა ვუწოდოთ.“

კლასიკური ლიბერალიზმი ისეთ საზოგადოებას ნიშნავს, სადაც ჩემი ოცნება რეალობაა. სადაც ჩვენ პრეზიდენტის სახელის ხსენება სულაც არ გვესაჭიროება, სადაც არჩევნების შედეგები მნიშვნელოვანი არაა, რადგან საზოგადოება კანონებით, და არა ადამიანების მიერ, იმართება. როდესაც ჩვენ არ გვეშინია ჩვენი მთავრობის, რადგან მას ჩვენგან არც არაფერი მიაქვს და არც არაფერი მოაქვს, არამედ ის გვაძლევს საშუალებას, რომ ჩვენ ჩვენი ცხოვრება, საზოგადოებრივი ყოფა და მომავალი თავადვე განვსაზღვროთ“. (ლეველინგ როქველი. ლიბერალიზმის საფუძვლები, გვ. 86, თავისუფლების ბიბლიოთეკა, ნიგნი I, 2004წ.).

ნაციონალიზმი

ეკონომიკურმა ნაციონალიზმმა, ლიბერალიზმის მსგავსად, მრავალი მეტამორფოზა განიცადა საუკუნეების განმავლობაში: მერკანტილიზმი, სთეითიზმი (სახელმწიფოებრიობიზმი), პროტექციონიზმი, გერმანული ისტორიული სკოლა, ბოლო ხანებში კი – ნეოპროტექციონიზმი. ეკონომიკური ნაციონალიზმის ცენტრალური იდეის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობა უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფოს მიზნებსა და ინტერესებს. საერთაშორისო სისტემის მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის უმთავრესი არის სახელმწიფო, ეროვნული უსაფრთხოება და სამხედრო ძლევამოსილება.

ზოგიერთი ნაციონალისტი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და გადარჩენისათვის ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვას სასიცოცხლო მნიშვნელობა არა აქვთ. ამ მიმდინარეობას კეთილი, კარგი მერკანტილიზმი ეწოდება. ნაციონალისტების მეორე

ნაწილი თვლის, რომ საერთაშორისო ეკონომიკა არის იმპერიალისტური ექსპანსიისა და საზღვრების გაფართოების არენა. ნაციონალიზმის ამ აგრესიულ ფორმას შეიძლება ვუწოდოთ ცუდი მერკანტილიზმი. გერმანიის ნაციისტური მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპასთან მიმართებაში 1930-იან წლებში სწორედ ამგვარი ხასიათის იყო.

ნაციონალისტები ხაზს უსვამენ ეკონომიკური ფაქტორების როლს საერთაშორისო ურთიერთობებში და მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოებს შორის ბრძოლა ეკონომიკური რესურსებისათვის გავრცელებულია და თვით საერთაშორისო სისტემის ბუნებისთვისაა დამახასიათებელი. ვინაიდან ეკონომიკური რესურსები საჭიროა ეროვნული ძლიერებისათვის, ყველა კონფლიქტი ერთდროულად ეკონომიკურიც არის და პოლიტიკურიც. სახელმწიფოები ცდილობენ ერთდროულად მოიპოვონ სიმდიდრე, ძალაუფლება და დამოუკიდებლობა.

ეკონომიკური ნაციონალიზმი მე-16 – მე-18 საუკუნეებში ერთგვარი გამომხაურება იყო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო მოვლენებზე და მასში სწორედ ამ პერიოდის ვითარებამ პოვა ასახვა. ამ დროს ჩნდება ძლიერი ნაციონალური სახელმწიფოები, რომლებიც მუდმივ ქიშპობაში არიან ერთმანეთთან. ამ დროს წარმოიშვება და ძლიერდება საშუალო კლასი, რომელიც ჩაბმულია ეკონომიკურ საქმიანობაში – ვაჭრობაში და, უმთავრესად, მანუ-ფაქტურაში, წარმოებაში. ეს ერთის მხრივ განპირობებული იყო ახალი სამყაროსა და მისი რესურსების აღმოჩენით. მონეტიზირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარებასა და სამხედრო სფეროში ცვლილებებს ასევე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ნაციონალისტებმა დაადგინეს, მათი აზრით, მისაღები ბალანსი ვაჭრობასა და ეროვნულ უსაფრთხოებას შორის.

რამდენიმე მიზეზის გამო ნაციონალიზმის ძირითადი მიზანი ინდუსტრიალიზაციაა. პირველ რიგში, ნაციონალისტებს სწამთ, რომ ინდუსტრია ახდენს გარდამტეხ ეფექტს ეკონომიკაზე და მას მიეყვარათ ეკონომიკის სრულ განვითარებამდე. მეორე მიზეზი არის ის, რომ ნაციონალისტებისათვის განვითარებული ინდუსტრია ასოცირდება ეკონომიკურ თვითუზრუნველყოფასთან და პოლიტიკურ ავტონომიასთან. მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ინდუსტრია არის სამხედრო სიძლიერისა და, შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების საფუძველი. თითქმის ყველა სახელმწიფოში, ლიბერალურშიც კი, მთავრობების პოლიტიკა მიმართულია ინდუსტრიის განვითარებისაკენ.

მოქიშპე სახელმწიფოების სამყაროში ნაციონალისტები მიიჩნევენ ცალხრივ მოგებას უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე ორმხრივს. ლიბერალებს მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ორმხრივად სასარგებლოა, მაშინ როცა ნაციონალისტები თვლიან, რომ ეს ურთიერთობები აუცილებლად კონფლიქტურია და წესრიგი შესაძლებელია მხოლოდ ჰეგემონის ან ძალთა ბალანსის არსებობის პირობებში.

ნაციონალისტები, დაწყებული ალექსანდრე ჰამილტონით და დამთავრებული თანამედროვე მეცნიერებით, ხაზს უსვამენ თვითუზრუნველყოფის უპირატესობას ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებასთან შედარებით.

დამოკიდებულების თეორია

დამოკიდებულების თეორია განვითარდა 1950-იანი წლების ბოლოს პრებიშის იდეების საფუძველზე. პრებიში და მისი თანამოაზრეები თვლიდნენ, რომ ეკონომიკურ ზრდას წამყვან ქვეყნებში არ მოყვებოდა ღარიბი ქვეყნების განვითარება. უფრო მეტიც, მათი აზრით, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური საქმიანობა ხშირად სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს ქმნიდა ღარიბ სახელმწიფოებში. ეს ეწინააღმდეგებოდა ნეოკლასიკოსების შეხედულებებს, რომელთა მიხედვით, ეკონომიკური ზრდა ხელსაყრელი იყო ყველასთვის (*Pareto Optimal – ეკონომიკური ვითარება, რომელშიც თუ ერთი ადამიანის ან ჯგუფის ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება, მეორის – უარესდება. არავის შეუძლია გამდიდრება ვინმე სხვის გაღარიბების გარეშე*), მაშინაც კი, თუ მოგება არ ნაწილდებოდა თანაბრად.

პრებიში ამ ფაქტს ასე ხსნიდა: ღარიბი ქვეყნები იძულებულნი არიან პირველადი პროდუქცია (ნედლეული) მიყიდონ განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც შემდგომ ამ ნედლეულის გადამუშავების შედეგად შექმნილ პროდუქციას ღარიბ ქვეყნებში ყიდიან. მზა პროდუქცია ყოველთვის უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ნედლეული, შესაბამისად, ღარიბ ქვეყნებს ვერასოდეს ექნებათ იმდენი შემოსავალი ექსპორტიდან, რომ გადაიხადონ იმპორტში.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად, პრებიშის აზრით, საჭირო იყო შემდეგი: ღარიბი სახელმწიფოები უნდა შეერთებოდნენ იმპორტის გაცვლის პროგრამას (*Program on Import Substitution*), რათა მათ არ შეეძინათ მზა პროდუქცია მდიდარი სახელმწიფოებისაგან. ღარიბი ქვეყნები კვლავ გაყიდდნენ თავიანთ პირველად საქონელს მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ მათი უცხოური გაცვლითი რეზერვები არ იქნებოდა გამოყენებული უცხოეთისაგან მზა პროდუქციის შესაძენად.

ამის განხორციელებას ართულებდა სამი მომენტი:

ლარიბი ქვეყნების შიდა ბაზარი არ იყო საკმარისად დიდი იმისათვის, რომ ხელი შეეწყო მდიდარ სახელმწიფოებში არსებული ეკონომიკების მთელი სპექტრისათვის, რათა შეენარჩუნებინა დაბალი ფასები;

მეორე საკითხი ეხებოდა ლარიბი ქვეყნების პოლიტიკურ ნებას აღარ ყოფილიყვნენ პირველადი ნაწარმის მწარმოებლები;

მესამე საკითხი ეხებოდა იმას, თუ რამდენად აკონტროლებდნენ ლარიბი სახელმწიფოები თავიანთ პირველადი წარმოების საქონელს, განსაკუთრებით იმას, რომელიც ქვეყნის გარეთ იყიდებოდა.

ამგვარად ხსნიდა დამოკიდებულების თეორია ლარიბი სახელმწიფოების მუდმივი სიღარიბის მიზეზებს. ტრადიციული ნეოკლასიკური მიდგომა არაფერს ამბობს ამ საკითხთან დაკავშირებით, მხოლოდ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ლარიბ ქვეყნებში სოლიდურმა ეკონომიკურმა საქმიანობამ გვიან მოიკიდა ფეხი და რომ როგორც კი მათ თანამედროვე ეკონომიკის ტექნიკა აითვისეს, სიღარიბე თანდათან უკუიქცა. თუმცა, მარქსისტული თეორიები მუდმივ, მდგრად სიღარიბეს განიხილავდნენ როგორც კაპიტალისტური ექსპლოატაციის შედეგს. ახალი მიდგომის - "მსოფლიო სისტემების" თანახმად, სიღარიბე არის მდიდრების სასარგებლოდ და ლარიბების საზიანოდ შრომის მეტად უხეში გადანაწილების უშუალო შედეგი. ლიბერალური რეფორმის მომხრეების (პრებიში), მარქსისტებისა (ანდრე გუნდერ ფრანკი) და "მსოფლიო სისტემების" თეორეტიკოსების (ვალერსტაინი) დებატები მეტად ცხარე და ინტელექტუალური თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო იყო. დამოკიდებულების სხვადასხვა თეორიების მიმდევრებს შორის კვლავ შეინიშნება სერიოზული ხასიათის უთანხმოება გარკვეულ საკითხებში და ამიტომ ძნელია დავინახოთ დამოკიდებულების თეორიის ერთიანი, შეთანხმებული ვარიანტი. თუმცა, ყველა ხსენებული თეორიის ანალიზი გარკვეულ უნივერსალურ პოსტულატებს ეყრდნობა. დამოკიდებულება შეიძლება განვმარტოთ როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, როდესაც ეროვნული, შიდა ეკონომიკური პოლიტიკა განიცდის გარეზე ზეგავლენას, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ხასიათისა. გილპინს მოყავს თეოტონიო დეს სანტოსისეული განმარტება, რომელშიც იგი ხაზს უსვამს დამოკიდებულების მდგომარეობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს:

„[დამოკიდებულება არის] ისტორიული მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკის გარკვეულ სტრუქტურას. ეს უკანასკნელი "წყალობს" რიგ ქვეყნებს სხვათა საზიანოდ და ზღუდავს დამოკიდებული ეკონომიკური სისტემების განვითარების ასპარეზს. [დამოკიდებულება არის] სიტუაცია, რომელიც გარკვეული ეკონომიკური სისტემის განვითარებისა და გაფართოების ხარჯზე განაპირობებს ამ სისტემას დაქვემდებარებული სხვა ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას“ (თეოტონიო დოს სანტოსი, "დამოკიდებულების სტრუქტურა", *Readings in U.S. Imperialism*, red.: კ.ტ. ფენი და დონალდ ჰოჯისი, ბოსტონი: Porter Sargent, 1971, გვ. 226).

ზემოთ მოყვანილი განმარტებები შეიცავენ სამ საერთო მახასიათებელს, რომლებსაც დამოკიდებულების თეორიების უმეტესი ნაწილი იზიარებს. უპირველესად, დამოკიდებულება დამახასიათებელია საერთაშორისო სისტემისთვის, რომელიც ქვეყანათა ორ ჯგუფს მოიცავს. მათ სხვადასხვა თეორიების თანახმად ეწოდებათ დომინანტური/დამოკიდებული, ცენტრალური/პერიფერიული ან მეტროპოლია/სატელიტი. დომინანტური სახელმწიფოები არიან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წამყვანი სამრეწველო ქვეყნები. დამოკიდებულ სახელმწიფოთა სიაში კი შედიან ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ის ქვეყნები, სადაც საერთო ეროვნული პროდუქტის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე მცირეა და სადაც უცხოური ვალუტის შემოდინების წყარო ერთი რომელიმე სახის საქონლის ექსპორტია. გარდა ამისა, ორივე განმარტების თანახმად, დამოკიდებული ქვეყნების ეკონომიკურ აქტივობაში განმსაზღვრელია გარეზე ძალების როლი. ეს უკანასკნელი გულისხმობს საერთაშორისო კორპორაციებს, საერთაშორისო სასაქონლო ბირჟებს, უცხოურ დახმარებას, კომუნიკაციათა ქსელს და ბევრ სხვა რამეს, რისი საშუალებითაც წამყვანი სამრეწველო სახელმწიფოები ახორციელებენ საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებს უცხო ქვეყნებში. მესამე საერთო ნიშანი ისაა, რომ დამოკიდებულების ცნების ყველა განმარტება მიუთითებს დომინანტურ და დამოკიდებულ სახელმწიფოებს შორის არსებული ურთიერთობების დინამიურ ხასიათზე, რაც იმას გულისხმობს, რომ ქვეყნების ამ ორ ჯგუფს შორის არსებულმა ურთიერთობებმა შეიძლება არა მხოლოდ განამტკიცოს, არამედ უფრო ინტენსიური გახადოს უთანასწორობის მოდელი. მეტიც, დამოკიდებულებას, როგორც ისტორიულ პროცესს, მეტად ღრმად აქვს ფესვები გადგმული და იგი სათავეს იღებს კაპიტალიზმის ინტერნაციონალიზაციიდან. დამოკიდებულება მიმდინარე დინამიური პროცესია. ამის მაგალითია ლათინური ამერიკა, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნიდან მოყოლებული საერთაშორისო სისტემის

ნანილია, რომლის დომინანტური ნევრებიც ამჟამად განვითარებული ქვეყნები არიან. დამოკიდებულების თეორია ცდილობს ახსნას ზოგიერთი სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთქმედებების მოდელების შესწავლის გზით და ამ მოდელების აუცილებელ და განუყოფელ პირობად მიიჩნევს ქვეყნების უთანასწორობას. დამოკიდებულების თეორეტიკოსების უმეტესობა საერთაშორისო კაპიტალიზმს მიიჩნევს დამოკიდებულების განმაპირობებელ ფაქტორად. მათი აზრით, ისტორიული კვლევები ცხადყოფს, რომ განვითარების დაბალი დონე განვითარებად სახელმწიფოებში უმეტესწილად განპირობებულია როგორც მათი ქვეყნების ისტორიით, ასევე მიმდინარე ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობებით მათსა (ეკონომიკურად ჩამორჩენილ სატელიტებსა) და ამჟამად განვითარებულ მეტროპოლიებს შორის. მეტიც, ეს ურთიერთობები არის ნანილი მსოფლიო მასშტაბის ერთიანი კაპიტალისტური სისტემისა.

ამ თვალსაზრისის თანახმად, კაპიტალისტურმა სისტემამ ხელი შეუწყო და განამტკიცა შრომის უხეში გადანანილება, რომელმაც მსოფლიოს ბევრ რეგიონში ეკონომიკური ჩამორჩენილობა გამოიწვია. დამოკიდებული სახელმწიფოებიდან მოედინება იაფი ნედლეული, სოფლის მეურნეობის პროდუქცია და იაფი მუშახელი, გარდა ამისა, დამოკიდებული ქვეყნები მდიდარი სახელმწიფოებისათვის წარმოადგენს ჭარბი კაპიტალის გადანანილების, მოძველებული ტექნიკისა და წარმოებული საქონლის გასაღების ბაზარს. ამგვარი ინტერაქცია ღარიბ ქვეყნებს დამოკიდებულს ხდის ძლიერ სახელმწიფოებზე, ვინაიდან ასეთი კავშირების წყალობით სატელიტურ ქვეყნებში მართლაც შემოედინება ფული, საქონელი და მომსახურება, მაგრამ ამ რესურსების განანილების პოლიტიკას დომინანტური სახელმწიფოები შეიმუშავენ და მასში არ არის გათვალისწინებული დამოკიდებული ქვეყნების ეკონომიკური ინტერესები.

შრომის ამგვარი გადანანილება, საბოლოო ჯამში, იწვევს სიღარიბეს, ხოლო კაპიტალიზმისთვის ასეთი ვითარება რესურსების ეფექტური განანილების აუცილებელი პირობაა. უმეტესწილად დამოკიდებულების მოდელები ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება ძირითადად კონცენტრირებული და ცენტრალიზებულია ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში. ამ მოსაზრებას იზიარებენ იმპერიალიზმის მარქსისტული თეორიის მომხრეებიც. თუმცა დამოკიდებულების ყველა თეორეტიკოსი მარქსისტი როდია, ამიტომ უნდა გავმიჯნოთ დამოკიდებულებისა და იმპერიალიზმის თეორიები.

იმპერიალიზმის მარქსისტული თეორია ემსახურება დომინანტური სახელმწიფოების ექსპანსიის ახსნას, დამოკიდებულების თეორია კი ეკონომიკური ჩამორჩენისას. სხვანაირად რომ ვთქვათ, მარქსისტული თეორიები განმარტავენ იმპერიალიზმის წარმომშობ მიზეზებს, დამოკიდებულების თეორიები კი იმპერიალიზმის შედეგებს. მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. მარქსისტული გაგებით, იმპერიალიზმი მსოფლიო ტრანსფორმაციის პროცესის ნანილია და, აქედან გამომდინარე, სოციალისტური რევოლუციის კატალიზატორი. მარქსი დადებითად აფასებდა ბრიტანეთის კოლონიალიზმს ინდოეთში. მისი აზრით, ინგლისს ორი მისია ეკისრა ინდოეთში: ერთი დესტრუქციული, მეორე კი რეგენერაციული – ძველი აზიური საზოგადოების განადგურება და აზიაში დასავლური საზოგადოების მატერიალური საფუძვლების შექმნა.

დამოკიდებულების თეორეტიკოსებისთვის ეკონომიკური ჩამორჩენილობა ყოველმხრივ უარყოფითი მდგომარეობაა, რომელიც ხანგრძლივი და ავტონომიური ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელების არანაირ საშუალებას არ აძლევს დამოკიდებულ ქვეყანას. გარდა ამისა, იმპერიალიზმის მარქსისტული თეორია თავისი არსით თვითლიკვიდაციას გულისხმობს, დამოკიდებულების თეორია კი თვითგადარჩენას. ლენინიზმის ჩარჩოებში იმპერიალიზმის ბოლო არის ის ჟამი, როცა ორი დომინანტური ძალა ერთმანეთს ომს გამოუცხადებს სწრაფად-კლებადი საქსპლოატაციოდ ვარგისი საშუალებების გამო. ლენინის აზრით, პირველი მსოფლიო ომი ამ იდეის ნათელი დადასტურება იყო. ომის შემდეგ ინგლისი და საფრანგეთი დაეპატრონენ გერმანიის ყოფილ კოლონიებს. დამოკიდებულების თეორია ასეთ მიდგომას არ ეთანხმება.

დამოკიდებულება არსებობს იმისდა მიუხედავად, თუ კონკრეტულად რომელია დომინანტური ქვეყანა. ის, რომ დომინანტური სახელმწიფოები შეიძლება ერთმანეთს შეებრძოლონ დამოკიდებული ტერიტორიებისთვის, თავისთავად ფასეულ ინფორმაციას არ წარმოადგენს (გარდა იმისა, რომ დომინანტური სახელმწიფოების ომიანობის პერიოდში დამოკიდებულ სახელმწიფოებს საშუალება ეძლევათ განყვიტონ არსებული ურთიერთობები). დამოკიდებულების თეორიისთვის გლობალური ეკონომიკის ძირითადი მახასიათებელი არის მთელი თანამედროვე პერიოდის მანძილზე მდგრადი სიღარიბე და ამ პროცესის შეუქცევადობა მსოფლიოს ერთსა და იმავე რეგიონში, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სახელმწიფო აკონტროლებს სიტუაციას.

გარდა ამისა, დამოკიდებულების ზოგიერთი თეორეტიკოსი არ თვლის, რომ ასეთი ურთიერთობების განმსაზღვრელ ფაქტორს კაპიტალიზმი წარმოადგენს. ხსენებული ურთიერ-

თობა უპირველესად განპირობებულია ძალაუფლების სისტემით და ნაკლებად სარწმუნოა, რომ ძალაუფლება მხოლოდ კაპიტალიზმს ეყრდნობოდეს. მაგალითად, ყოფილი სოციალისტური ბლოკის დამოკიდებული სახელმწიფოების ურთიერთობები (თუნდაც აღმოსავლეთ ევროპა და კუბა) ძალიან ჰგავს ღარიბი ქვეყნებისა და წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოების ურთიერთობებს. იმის დაშვება, რომ დამოკიდებული მდგომარეობა ძალაუფლებათა უთანასწორობასთან უფრო ახლოა, ვიდრე კონკრეტული ეკონომიკური სისტემის ამა თუ იმ მახასიათებელთან, მეტად დამაინტრიგებელია და შეესაბამება საერთაშორისო ურთიერთობების ისეთ შედარებით უფრო ტრადიციულ ანალიზს, როგორცაა რეალიზმი.

გილპინი განიხილავს რამდენიმე მოსაზრებას, რომლებიც, მისი აზრით, დამოკიდებულების თეორიის საფუძველს წარმოადგენს, თუმცა ყველა მათგანი საკამათოა. ესენია:

1. ეკონომიკური ჩამორჩენილობა არის მდგომარეობა, რომელიც არსებითად განსხვავდება განუვითარებლობისგან. ეს უკანასკნელი შეესაბამება იმ მდგომარეობას, რომელიც არ გულისხმობს რესურსების გამოყენებას. მაგალითად, ამერიკელი კოლონისტები ჩრდილოეთ ამერიკას განუვითარებელ რეგიონად თვლიდნენ. მიწა, მისი პოტენციური შესაძლებლობების გათვალისწინებით, სათანადოდ არ მუშავდებოდა. ეკონომიკური ჩამორჩენა კი ნიშნავს იმ სიტუაციას, როცა რესურსები აქტიურად გამოიყენება, თუმცა მათი გამოყენებით სარგებლობს დომინანტური სახელმწიფო და არა ის ღარიბი ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც მოიპოვება რესურსები.

2. ეკონომიკურ ჩამორჩენილობასა და განუვითარებლობას შორის სხვაობა მსოფლიოს ღარიბ ქვეყნებს აბსოლუტურად განსხვავებულ ისტორიულ კონტექსტში ათავსებს. ეს ქვეყნები მსოფლიოს მდიდარ ქვეყნებს არც ჩამორჩებიან და არც ენევიან, ისინი იმიტომ კი არ არიან ღარიბები, რომ ევროპის სამეცნიერო გარდაქმნებსა თუ განმანათლებლობის ღირებულებებს ვერ აუბეს მხარი, არამედ იმიტომ, რომ ძალდატანებით გაერთიანდნენ ევროპის ეკონომიკურ სისტემაში მხოლოდ როგორც ნედლეულის და ნახევარფაბრიკატების მიმწოდებლები ან როგორც იაფი მუშახელის წყარო, და იმიტომ, რომ მათ პრინციპულად არ მიეცათ შესაძლებლობა გაეტანათ ბაზარზე თავიანთი რესურსები და ამა თუ იმ გზით კონკურენცია გაენიათ დომინანტური სახელმწიფოებისთვის.

3. დამოკიდებულების თეორიის თანახმად, რესურსების ალტერნატიული გამოყენების გზა სჯობია რესურსების გამოყენების იმ მოდელს, რომლებიც თავსაა მოხვეული დომინანტური სახელმწიფოების მიერ. პრივილეგირებული მოდელის ნათლად ჩამოყალიბებული დეფინიცია არ არსებობს, თუმცა გარკვეული კრიტერიუმები შეიძლება დავადგინოთ. მაგალითად, განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთი მახასიათებელია სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი, რაც ძალიან ხშირად დამოკიდებულების თეორეტიკოსთა კრიტიკის საგანია. კრიტიკის მიზეზი არის ის, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილ ბევრ ქვეყანაში ფიქსირდება საკვების უკმარისობის მაღალი მაჩვენებელი, მაშინ როცა ამ ქვეყნებს დიდი რაოდენობით საკვები პროდუქტი გააქვთ ექსპორტის სახით. დამოკიდებულების ბევრი თეორეტიკოსის აზრით, ღარიბი ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები უნდა გამოიყენებოდეს მათივე მოხმარებისთვის საკვების უკმარისობის მაჩვენებლის შესამცირებლად.

4. დამოკიდებულების თეორეტიკოსების აზრით, არსებობს გარკვეული ეროვნული ეკონომიკური ინტერესი, რომელიც თითოეულ ქვეყანას შეუძლია საკუთარი კეთილდღეობისთვის აამოქმედოს, და ეს ასეც უნდა ხდებოდეს. ამ თვალსაზრისით, დამოკიდებულების თეორია რეალიზმის პრინციპებს იზიარებს. განსხვავებული მიდგომა ისაა, რომ, დამოკიდებულების თეორიის თანახმად, ქვეყნის ეროვნული ინტერესები მხოლოდ მაშინ იქნება გათვალისწინებული, როცა დაკმაყოფილდება თავად ამ საზოგადოების ღარიბების მოთხოვნილებები და არა სამთავრობო ან კორპორაციული ინტერესები. ძალიან რთულია იმის გარკვევა, თუ რა არის უკეთესი ღარიბებისთვის. ამ პრობლემის გადაწყვეტა დიდ დროს მოითხოვს. დამოკიდებულების თეორეტიკოსებს ჯერ არ შეუძლებიათ ეროვნული ეკონომიკური ინტერესის სრულყოფილი და გამოყენებადი განმარტება.

5. ხანგრძლივი დროის განმავლობაში (სტაბილურად დამოკიდებული მდგომარეობა ევროპის ექსპანსიიდან, ანუ მეთხუთმეტე საუკუნიდან იწყება) რესურსების გადინება არა მარტო დომინანტური სახელმწიფოების ინიციატივით ხდება, არამედ, აგრეთვე, თავად დამოკიდებული ქვეყნების ელიტის მიერ. დამოკიდებულების თეორიის ანალიტიკოსების აზრით, ელიტარულ წრეებს ხელს აძლევს არსებული დამოკიდებული მდგომარეობა, რადგან მათი პირადი ინტერესები დომინანტური ქვეყნების ინტერესებს ემთხვევა. ასე რომ, დამოკიდებულება სინამდვილეში “ნებაყოფლობითი” მდგომარეობაა. არავინ ამტკიცებს იმას, თითქოს დამოკიდებული ქვეყნის ელიტა მიზანდასახულად ღალატობდეს საკუთარი ქვეყნის ღარიბთა ინტერესებს. უბრალოდ მმართველ ელიტას გულწრფელად სჯერა, რომ ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა ლიბერალური ეკონომიკური დოქტრინის მორჩილად მიღება.

რაულ პრეზიში

რაულ პრეზიში დაიბადა არგენტინაში 1901 წელს. იგი ცნობილი გახდა როგორც ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისიის დირექტორი და სტრუქტურალიზმისა და დამოკიდებულების თეორიების ფუძემდებელი. მან განათლება მიიღო ბუენოს-აირესის უნივერსიტეტში და 1925 წელს იმავე უნივერსიტეტში დაიწყო ლექციების კითხვა. 1950 წელს პრეზიში გახდა გაერო-ს ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი მდივანი. მან ინტენსიურად დაიწყო მესამე სამყაროს ქვეყნების პრობლემების შესწავლა და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ლათინური ამერიკის სახელმწიფოებს.

პრეზიში განიხილავდა ვაჭრობის პირობებს განვითარებადი ქვეყნებისათვის (პერიფერიისათვის). მან აჩვენა, რომ ვაჭრობის პირობები პერიფერიისათვის ათწლეულების მანძილზე უარესდებოდა და სულ უფრო აძნელებდა ამ ქვეყნების განვითარებას. ამასთან, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების შემოსავლებს შორის განსხვავება, შემცირების მაგივრად, გამუდმებით იზრდებოდა. ეს პრობლემა მჭიდროდ იყო დაკავშირებული, აგრეთვე, უმუშევრობასთან პერიფერიაში, რაც აორმაგებდა რა ლარიბი ქვეყნების მძიმე მდგომარეობას, ხელს უშლიდა მათ თავიანთი რესურსების სრულად გამოყენებაში.

პრეზიში იყო ეკონომიკური განვითარების სტრუქტურალისტური ხედვის ფუძემდებელი. სტრუქტურალიზმმა მკაფიოდ გამიჯნა განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფოების ეკონომიკების სტრუქტურები.

ამ თეორიით პრეზიში სურდა აეხსნა, თუ რატომ იყო მესამე სამყაროს ქვეყნებში მასობრივი უმუშევრობა, რატომ უარესდებოდა მათი ვაჭრობა, რატომ იზრდებოდა სხვაობა შემოსავლებს შორის და ა.შ. ამისათვის მან განიხილა როგორც საერთაშორისო ვაჭრობა, ასევე შიდა ფაქტორები, რომლებიც აფერხებდნენ განვითარებად სახელმწიფოებში ეკონომიკურ ზრდას.

პრეზიშის იდეები საფუძვლად დაედო, აგრეთვე, დამოკიდებულების თეორიას, რომელმაც შემდგომ თავისი განვითარება, საკმაოდ რადიკალური ფორმით, პოვა სხვა ლათინურამერიკელი ეკონომისტების ნაშრომებში.

1963 წელს პრეზიში გახდა ვაჭრობასა და განვითარებაზე გაერო-ს კონფერენციის (UNCTAD) გენერალური მდივანი, ხოლო 1969 წელს – ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვის გაეროს ლათინურამერიკული ინსტიტუტის გენერალური დირექტორი.

გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე UN Conference on Trade and Development – UNCTAD)

გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე (უნკტადი) არის გაეროს გენერალური ასამბლეის ძირითადი ორგანო ვაჭრობისა და განვითარების საკითხებში. იგი დაფუძნდა როგორც მუდმივი მთავრობათაშორისო ორგანო 1964 წელს ჟენევაში ჩატარებული კონფერენციის პირველ სესიაზე. მისი დაფუძნება მიზნად ისახავდა ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას და ეკონომიკურ განვითარებას, პირველ რიგში, განვითარებად ქვეყნებში.

უნკტადი თავის მანდატს ახორციელებს შემდეგი მეთოდებით: პოლიტიკის ანალიზი, პრობლემის განხილვა, კონსენსუსის მიღწევა და მთავრობათაშორისო დონეზე მოლაპარაკებების გამართვა, კონტროლის განხორციელება, პრაქტიკული მუშაობა და ტექნიკური თანამშრომლობა. უნკტადის წევრ სახელმწიფოებს სურთ მიაღწიონ სტაბილურ, მდგრად ზრდას ყველა ქვეყანაში და ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას განვითარებად ქვეყნებში, რათა ყველამ ისარგებლოს წარმატებებით სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში.

უნკტადის შემადგენლობაში შედის 188 სახელმწიფო. დამკვირვებლების სტატუსით სარგებლობენ მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციები. მისი სამდივნო არის ჟენევაში. უმაღლესი ორგანოა კონფერენცია. როგორც წესი, კონფერენცია ატარებს სესიებს მინისტრების დონეზე ოთხ წელიწადში ერთხელ პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შესამუშავებლად. უნკტადი ფინანსდება გაეროს რეგულარული ბიუჯეტიდან. მისი წლიური ბიუჯეტი ოპერაციული საქმიანობისათვის შეადგენს დაახლოებით 55 მილიონ აშშ დოლარს.

თავისი არსებობის პერიოდში უნკტადმა შეძლო მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულება, რომლებიც, პირველ რიგში, განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს შეესაბამება. მიღწეულ იქნა შეთანხმებები პირველადი წარმოების (ნედლეული) საქონლის სფეროში და შეიქმნა კვლევითი ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტებულია ნედლეულის მწარმოებელი და ნედლეულის მომხმარებელი ქვეყნებით; მიღებული იქნა შეღავათთა განზოგადოებული სისტემა (Generalized System of Preferences), რომელიც ითვალისწინებს განვითარებული სახელმწიფოების მიერ

განვითარებადი ქვეყნებისათვის სატარიფო შეღავათების მინიჭებას – ცხრამეტმა განვითარებადულმა სახელმწიფომ 10 წლით ცალმხრივად მოხსნა საბაჟო გადასახადები განვითარებადი ქვეყნების გადაუმუშავებელ და ნახევრადგადაუმუშავებელ პროდუქციაზე, (შეთანხმება მოქმედებს 1971 წლიდან); მიღებულია რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს განვითარების მიზნით დაბალშემოსავლიანი განვითარებადი ქვეყნებისათვის დავალიანების რეტროაქტიულ კორექტირებას (მოქმედებს 1978 წლიდან); შემუშავებულია დავალიანების რესტრუქტურისაციის სფეროში საერთაშორისო ზომების სახელმძღვანელო პრინციპები (1980წ.) და სხვ.

გარდა ამისა, უნკტადმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ნაკლებად განვითარებული ქვეყნების (Less Developed Countries) მობილიზაციის საქმეში. ამ თემას მიეძღვნა უნკტადის მიერ ორგანიზებული რამოდენიმე კონფერენცია, სადაც შემუშავდა სამოქმედო გეგმა ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, გაეროს კონფერენციამ ვაჭრობასა და განვითარებაზე ვერ შეძლო მთელი რიგი დასახული პრობლემების გადაჭრა, და კვლავ ბევრია გასაკეთებელი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობისთვის.

ჰეგემონური სტაბილურობის თეორია

საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომიის თანამედროვე თეორიებში აღსანიშნავია სამი თეორია. პირველი არის ორმაგი ეკონომიკის, ანუ დუალიზმის თეორია (*Dual Economy Theory*), რომელიც გამომდინარეობს ლიბერალური თეორიიდან. მის მიხედვით, ბაზრის წარმოქმნა პირდაპირ უკავშირდება საყოველთაო სურვილს მიღწეულ იქნეს მაქსიმალური ეფექტურობა და მაქსიმალური მოგება. მეორე არის თანამედროვე მსოფლიო სისტემების თეორია (*Modern World Systems*). მასზე უდიდესი გავლენა იქონია მარქსისტულმა მოძღვრებამ. ამ თეორიის მიხედვით მსოფლიო ბაზარი არის განვითარებული კაპიტალისტური ეკონომიკის მქონე ქვეყნების მიერ ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოების ექსპლოატაციის მექანიზმი. მესამე და დღესდღეობით ყველაზე გავრცელებული თეორიაა ჰეგემონური სტაბილურობის თეორია. იგი ახლოს არის რეალიზმთან და მისი ყველაზე ფართოდ გავრცელებულობისა და პოპულარობის გამო სწორედ მასზე გვექნება დეტალური საუბარი.

რობერტ გილპინის, სტეფან კრასნერისა და რეალისტური სკოლის სხვა წარმომადგენლების მიხედვით, ძალაუფლების განაწილება სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ეკონომიკის სტაბილურობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია. ჰეგემონური სტაბილურობის თეორია, რომელიც პირველად ჩარლზ კინდლბერგერმა წამოაყენა 1970 წელს, აქცენტს აკეთებს წამყვანი სახელმწიფოების როლზე, მაგალითად, დიდ ბრიტანეთზე მეცხრამეტე საუკუნეში და აშშ-ზე მეოცე საუკუნეში, და იმაზე, თუ როგორი გავლენა აქვს შესაძლებლობებისა და ძალაუფლების განაწილებას მსოფლიო ეკონომიკაზე. ამ თეორიის თანახმად, ერთი სახელმწიფოს ყოველმხრივი დომინირება საჭირო არის ღია, ლიბერალური და სტაბილური მსოფლიო ეკონომიკისათვის. ამგვარი ჰეგემონის დანიშნულებაა კოორდინაცია გაუწიოს სხვა სახელმწიფოებს და დაანესოს მათთვის ქცევის გარკვეული წესები. ასეთ პირობებში სხვა სახელმწიფოები შედარებით მშვიდად გრძნობენ თავს. მათ არ ეშინიათ გახსნან თავიანთი ბაზრები და თავს არიდებენ იმ პოლიტიკას, რომლის არსია „გააღარიბე მეზობელი“. შესაბამისად, თეორიის მიხედვით, ჰეგემონის დასუსტებას მოყვება ეკონომიკური დაცემა, არასტაბილურობა და მოქიშპე რეგიონული ბლოკების შექმნა. რობერტ გილპინი შენიშნავს, რომ ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის განსაზღვრაში ძირითადი სიტყვა არის „ლიბერალური“ (*The Political Economy of International Relations, p. 72*), რაც იმაზე მიუთითებს, რომ თეორიაში იგულისხმება ღია და არადისკრიმინაციულ თავისუფალ ბაზარზე დამყარებული საერთაშორისო ეკონომიკა. ისეთი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი, როგორიცაა ლიბერალური, ვერ განვითარდება სრულად ჰეგემონი/დომინანტი სახელმწიფოს გარეშე. თუმცა მხოლოდ ჰეგემონის არსებობა არ არის საკმარისი ლიბერალური ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებისათვის. ჰეგემონი თავად უნდა იყოს ლიბერალური პრინციპებისა და ღირებულებების ერთგული მიმდევარი და დამცველი. ჰეგემონის როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური სისტემის შენარჩუნებით, იგი მზად უნდა იყოს მოაგვაროს კრიზისული სიტუაციები და დაიცვას ქვეყნები შესაძლო საფრთხისგან. ჰეგემონი

სახელმწიფოს დასუსტებისა და ახალი ჰეგემონის გაჩენის პერიოდები, თეორიის მიხედვით, კონფლიქტებით ხასიათდება. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ კონფლიქტების მასშტაბი და ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად არის შეგუებული ყოფილი ჰეგემონი თავის დასუსტებას და ახალ მდგომარეობას, რამდენად სწორად განსაზღვრავს იგი სამომავლო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრატეგიას და რამდენად მოახერხებენ ძველი და ახალი ჰეგემონები კონსტრუქციულ თანამშრომლობას ეკონომიკური ტრანსფორმაციების თანმდევი პრობლემების გადასაჭრელად.

მეცხრამეტე საუკუნეში დიდი ბრიტანეთი ასრულებდა ეკონომიკური ჰეგემონის როლს მსოფლიოს უმეტეს ნაწილზე. ბრიტანეთის ლიდერობა ასოცირდებოდა ბაზრების გლობალიზაციასთან, საერთაშორისო ვაჭრობის ინტენსიფიკაციასა და კაპიტალის ბრუნვასთან, ტრანსნაციონალური კორპორაციების რიცხვის ზრდასთან და, ზოგადად, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობასთან, რომელიც ახასიათებდა, ყოველ შემთხვევაში, ევროპას მაინც. პირველმა მსოფლიო ომმა უეცრად მოუღო ბოლო როგორც ბრიტანეთის ჰეგემონიას, ასევე მის მიერ დაწესებულ წესებსა და შექმნილ პირობებს. მზარდმა პროტექციონიზმმა, რეგიონული ბლოკების ჩამოყალიბებამ და კაპიტალის ბრუნვის შემცირებამ 1920-1930-იანი წლების დასაწყისში ხელი შეუწყო ეკონომიკურ არასტაბილურობას და დეპრესიას.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთვის აშშ იყო ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი სახელმწიფო მსოფლიოში. მაგრამ მან უარი განაცხადა შეესრულებინა ლიდერის როლი, რომელსაც უკვე ველარ ასრულებდა ბრიტანეთი. ამის ყველაზე კარგი ილუსტრაცია იყო სმუთ-ჰოლეი ტარიფი (1930), რომლის მიხედვითაც, აშშ-ში საშუალო გადასახადი იმპორტზე გაიზარდა 40 პროცენტით. დიდი დეპრესიის დასაწყისში აშშ-მა ჩაკეტეს თავისი საზღვრები უცხოური საქონლისათვის და ამგვარად ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკის არნახულ დაკნინებას. ამერიკის უარმა გაეკონტროლებინა სავალუტო სისტემები კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. მსოფლიოს ეკონომიკური ჰეგემონის ამგვარმა იზოლაციონისტურმა პოზიციამ უარყოფითი გავლენა იქონია დანარჩენი სახელმწიფოების უმეტესობაზე და თავად ამერიკაზეც.

სმუთ-ჰოლეის ტარიფი

1930 წლის ივნისის სმუთ-ჰოლეის ტარიფის აქტით, აშშ-ში დაწესდა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მაღალი ტარიფები. აქტს ხელი მოაწერა პრეზიდენტმა ჰუვერმა. ავტორები იყვნენ რესპუბლიკელი სენატორი სმუთი იუტას შტატიდან და რესპუბლიკელი კონგრესმენი ჰოლეი ორეგონიდან. ტარიფის მიზანი იყო შიდა ფერმერების დაცვის გაძლიერება უცხოელი სასოფლო-სამეურნეო საქონლის იმპორტის საწინააღმდეგოდ. ეს აქტი მისი მიღებიდან დღემდე განსჯის მუდმივი საგანია. ბევრი მიიჩნევს, რომ სმუთ-ჰოლეის ტარიფმა სერიოზულად გააღრმავა დიდი დეპრესია და ეს უგუნური პროტექციონიზმის ნათელი მაგალითი იყო. ამ ტარიფის ისტორია ჰუვერის საპრეზიდენტო კამპანიიდან იწყება, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატი დაპირდა ფერმერებს მათი საქონლის იმპორტზე ტარიფების გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ 1920-იანი წლები ზოგადად ამერიკის კეთილდღეობის პერიოდი იყო, სოფლის მეურნეობა დაცემას განიცდიდა. 1920-1929წწ. საშუალო შემოსავლები ამ სფეროში შემცირდა. 1929 წლის მარტში, გაპრეზიდენტების შემდეგ ჰუვერმა წამოაყენა ტარიფების გაზრდის იდეა, თუმცა მას მხარი არ დაუჭირეს არა მარტო დემოკრატებმა, არამედ რესპუბლიკელების ნაწილმაც. 1929 წლის აგვისტოში დაწყებული დიდი დეპრესიის (ასე ათარიღებს ეკონომისტების უმრავლესობა, თუმცა ზოგიერთი დიდი დეპრესიის დასაწყისად ოქტომბერში საბირჟო ბაზრის კრაშს მიიჩნევს) პირობებში სენატში მოხერხდა საჭირო ხმების დაგროვება აქტის მისაღებად 245 ხმით 177-ის წინააღმდეგ. მას მხარი დაუჭირეს რესპუბლიკელების უმეტესობამ და დემოკრატების 15 წარმომადგენელმა, რომელთაგან 10 იყო ლუიზიანადან და ფლორიდიდან. ისინი წარმოადგენდნენ ციტრუსებისა და შაქრის ინტერესებს, რომლებსაც ახალი აქტი მნიშვნელოვან პროტექციას ჰპირდებოდა. სმუთ-ჰოლეის ტარიფმა გამოიწვია სხვა სახელმწიფოების საპასუხო ქმედებები და გახდა „გაალარიბე შენი მეზობელი“ (beggar-thy-neighbor) პოლიტიკის სიმბოლო. ამ პოლიტიკის შედეგად მნიშვნელოვნად იკლო საერთაშორისო ვაჭრობამ. სმუთ-ჰოლეის ტარიფი არის პროტექციონიზმის ნათელი მაგალითი მეოცე საუკუნეში. ამ დაშვებული შეცდომის საპირისპიროდ 1934 წლიდან ამერიკის სავაჭრო პოლიტიკაში აშკარად

გამოიკვეთება ვაჭრობის ლიბერალიზაცია, და აშშ კისრულობენ მთავარი როლის შესრულებას თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა-განვითარებაში (GATT, NAFTA, WTO).

იზოლაციის სახიფათო მხარეები (მინუსები) კარგად შეისწავლეს ამერიკელმა პოლიტიკოსებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. აშშ-მა აღარ გაიმეორეს დაშვებული შეცდომები და დაუყოვნებლივ იკისრეს მსოფლიო ლიდერის როლი. დაიწყო ღია საერთაშორისო სავაჭრო სისტემის (დაფუძნებული გატზე) და სტაბილური სავალუტო სისტემის (დაფუძნებული ბრეტონ-ვუდსის სისტემაზე) შექმნა. მარშალის გეგმა სმუთ-ჰოლდის ტარიფის პირდაპირი ანტითეზისი იყო. იგი ანსახიერებდა ამერიკის მიერ თავისი განსაკუთრებული როლისა და პასუხისმგებლობის აღიარებას საკუთარ საზღვრებს გარეთ მშვიდობისა და კეთილდღეობის დამყარება-შენარჩუნების საქმეში.

ექვები ამერიკის შეერთებული შტატების ძალაუფლების შესახებ კვლავ გაჩნდა 1960-იანი წლების ბოლოსა და 1970-იანი წლების დასაწყისში. ამერიკის ეკონომიკური უპირატესობები დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით სწრაფად იკლებდა, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნები ინტენსიურად ვითარდებოდნენ და ეწეოდნენ აშშ-ს. ამის საპასუხოდ ამერიკაში იზრდებოდა პროტექციონისტური გრძნობები, რომლებიც უპირისპირდებოდნენ იქ არსებული თავისუფალი ვაჭრობის ტრადიციულ პოლიტიკას. ამერიკის ასეთი ქმედების გამო დაირღვა, აგრეთვე, საერთაშორისო სავალუტო ბაზრების სტაბილურობა. ამავე დროს ვიეტნამის ომმა ხელი შეუწყო ამერიკაში ინფლაციის ზრდას, რომელიც ექსპორტირდებოდა საზღვარგარეთ საერთაშორისო გაცვლებში დოლარის როლის გამო. ამერიკის პარტნიორები, განსაკუთრებით საფრანგეთი და გერმანია, უკმაყოფილონი იყვნენ აშშ დოლარის, როგორც მსოფლიოს სარეზერვო ვალუტის, ფასის ამგვარი დაცემით. საბოლოოდ ამ პრობლემებმა უარი ათქმევინა ამერიკას ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის შედეგად დადგენილი მყარი გაცვლითი კურსის სისტემაზე, და დაიწყო მცოცავი კურსის ხანა. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის პოლიტიკამ საფუძველი ჩაუყარა ბაზრების მზარდ გლობალიზაციას, ამერიკული ჰეგემონიის დაკნინებამ მრავალი ექვი დაბადა, განსაკუთრებით თავად ამერიკაში, მსოფლიო ეკონომიკის სტაბილურობისა და პერსპექტივების მიმართ.

ამჟამად ამგვარი ექვები ამერიკის მიმართ აღარ არსებობს. 1990-იანი წლების შუა პერიოდისათვის ამერიკის ჰეგემონიის დასრულების საფრთხე აღარ იყო რეალური. საბჭოთა კავშირის დაშლის, იაპონიის თანმიმდევრული დასუსტების, ევროპაში უმუშევრობის მაღალი დონისა და ეკონომიკის ზრდის ნელი ტემპების, აგრეთვე, აღმოსავლეთ ევროპის ევროკავშირში ინტეგრაციის პრობლემების ფონზე, ამერიკის ინდუსტრია კვლავ კონკურენტუნარიანი გახდა. როგორც ომებს შორის პერიოდში ამერიკის მოქმედებიდან ჩანს, საუკეთესო რესურსების ქონა არ ნიშნავს ავტომატურად ყველაზე გავლენიან სახელმწიფოდ გადაქცევას.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ მიიჩნევენ ზოგიერთი მეცნიერი ძალაუფლების განაწილებას სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ეკონომიკის განმსაზღვრელ ერთადერთ ფაქტორად, არის საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი როლი. ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა გაერო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ევროკავშირი, უზრუნველყოფენ ინფორმაციის გაცვლას ნევრ სახელმწიფოებს შორის, აადვილებენ მოლაპარაკებებს და შეთანხმებებს მათ შორის, აგრეთვე, აკონტროლებენ მიღებული წესების დაცვას და ხანდახან სჯიან შეთანხმებების დამრღვევებს. ამ ორგანიზაციების გარეშე საერთაშორისო ეკონომიკა და საერთაშორისო პოლიტიკა ბევრად უფრო არასტაბილური, ნაკლებად გახსნილი და მეტად კონფლიქტური იქნებოდა.

თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და გავლენა სადავოა. რეალისტები, ძალაუფლებისათვის მათთვის დამახასიათებელი ხაზგასმით, არ მიიჩნევენ საერთაშორისო ორგანიზაციებს რეალურ ძალად და თვლიან, რომ მათი გავლენიანობა დამოკიდებულია და განისაზღვრება ნევრი სახელმწიფოების ქმედებებით. ევროკავშირში, მაგალითად, გერმანია თამაშობს ჰეგემონის როლს. ბევრს, უმეტესად ევროპელ მეცნიერებს, მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს აშშ აკონტროლებენ, და, შესაბამისად, ისინი აშშ ინტერესებს გამოხატავენ. განსაკუთრებით ეს ეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს, რომლებსაც აშშ იყენებენ საკუთარი გავლენის გასავრცელებლად.

მარშალის გეგმა

მარშალის გეგმა ოფიციალურად წამოყენებული იყო აშშ სახელმწიფო მდივნის ჯორჯ მარშალის მიერ 1947 წელს, როგორც ომის შემდგომი ევროპის აღორძინებისა და განვითარების გეგმა. მისი განხორციელება დაიწყო 1948 წელს და დასრულდა 1949 წელს. იგი ითვალისწინებდა ამერიკის მიერ ევროპისათვის ეკონომიკური დახმარების განწესებას. გეგმის წევრი იყო ყველა ევროპული სახელმწიფო, საბჭოთა ბლოკის სახელმწიფოების გარდა. დახმარების გარეშე დარჩა, აგრეთვე, ესპანეთი, ფრანკოს რეჟიმის გამო, და დასავლეთ გერმანია. ეს უკანასკნელი 1949 წელს გახდა მარშალის გეგმის წევრი. გეგმის განხორციელებაზე კონტროლი დაეკისრა ამისათვის სპეციალურად შექმნილ ამერიკულ ორგანიზაციას – *ეკონომიკური თანამშრომლობის ადმინისტრაციას* მარშალის გეგმის ფარგლებში აშშ-მა გამოყვეს 12 მილიარდი დოლარი.

როგორ ისარგებლა ამ გეგმით ამერიკამ? აშშ-ში სერიოზულად ეშინოდათ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ დაბრუნებულიყო 30-იანი წლების შიმშილი და უმუშევრობა. მარშალის გეგმის ერთ-ერთი მიზანი იყო ამერიკის ეკონომიკის შენარჩუნება. იმდროინდელ ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში გამოქვეყნებულია სტატია ამერიკელი ბიზნესმენებისათვის: „მარშალის გეგმა არის ბიზნეს-გეგმა.... ეს არის საოფისე და სანარმოო და სასაწყობო სამუშაო. მარშალის გეგმა ნიშნავს სამუშაოს, და თქვენ იქნებით მასში მომუშავეები“. (*Kiplinger Magazine, Washington D.C., May 1948*). მარშალის გეგმის განხორციელების პერიოდში ფული, რომელიც ევროპულმა სახელმწიფოებმა მიიღეს, დაიხარჯა აშშ-ის მიერ წარმოებულ სურსათსა და საქონელში. ამერიკის ეკონომიკა აყვავდა.

თუ თავდაპირველად მარშალის გეგმის ლოგო იყო „ევროპის აღორძინებისათვის – აშშ-სგან“, 1955 წლიდან ის შეიცვალა და გახდა „სიძლიერე თავისუფალი მსოფლიოსათვის – აშშ-სგან“. ეს უკანასკნელი კარგად გამოხატავდა მარშალის გეგმის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს – თავისუფალი და მაღალგანვითარებული ეკონომიკა და მსოფლიო დაეპირისპირებინა კომუნისტებისათვის.

მარშალის გეგმა თავიდანვე სერიოზულად იყო გაკრიტიკებული სსრკ-ს მიერ. იგი განიხილავდა მარშალის გეგმას როგორც იმპერიალისტური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად აქტს, რომელიც მიზნად ისახავდა ამერიკული მონოპოლიების მიერ ევროპის ეკონომიკების ექსპანსიასა და აგრესიული სამხედრო ბლოკების სისტემის შექმნას. მისი მიზანი იყო, აგრეთვე, შეენარჩუნებინა მეორე მსოფლიო ომის შედეგად დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმის შერყეული პოზიციები, გაეძლიერებინა ევროპის დამოკიდებულება ამერიკაზე და წინ აღდგომოდა პროგრესულ სოციალურ ცვლილებებს. (*Дипломатический словарь, Издательство политической литературы, том II, Москва 1971*).

ჩარლზ კინდლერგერი (1910 – 2002)

ჩარლზ კინდლერგერი იყო ამერიკელი ეკონომისტი, რომელიც ითვლება ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის მამად. იგი იყო, აგრეთვე, ერთ-ერთი ავტორი მარშალის გეგმისა. 1932 წელს მან დაამთავრა პენსილვანიის უნივერსიტეტი, ხოლო 1937 დოქტორის ხარისხი მიიღო კოლუმბიის უნივერსიტეტში. შემდეგ მუშაობა დაიწყო ნიუ-იორკის ფედერალურ სარეზერვო ბანკში. 1985 წლიდან გახდა ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი. იყო ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრი, ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოების წევრი. არის ასამდე სამეცნიერო ნაშრომისა და წიგნის ავტორი, მათ შორის – საერთაშორისო ეკონომიკის სახელმძღვანელოსი, რომელიც პირველად 1957 წელს გამოიცა. 1991 წელს დაიბეჭდა მისი ავტობიოგრაფია „ეკონომისტის ცხოვრება“.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მოსაზრება არსებობს თავად ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის შესახებ, მის მომხრე მეცნიერთა უმეტესობა თანხმდება ქვემოთ მოყვანილი ჰეგემონების არსებობაზე ისტორიაში და მათი ჰეგემონობის ვადებზე. თითოეულის ჰეგემონობის პერიოდი დაახლოებით საუკუნე გრძელდებოდა:

პორტუგალია – 1494 – 1580წწ. (იტალიური ომების დასასრულიდან ესპანეთის მიერ პორტუგალიის დაპყრობამდე). ემყარებოდა პორტუგალიის დომინირებას ნავიგაციაში.

ჰეგემონობაზე პრეტენდენტი: ესპანეთი;

ნიდერლანდები – 1580 – 1688წწ. (უტრეხტის 1579 წლის ხელშეკრულებიდან უილიამ ორანელის ჩამოსვლამდე ინგლისში). ემყარებოდა ნიდერლანდების მიერ ფულისა და კრედიტების კონტროლირებას. ჰეგემონობაზე პრეტენდენტი: ინგლისი;

ბრიტანეთი – 1688 – 1792წწ. (დიდი რევოლუციიდან ნაპოლეონის ომებამდე). ემყარებოდა ბრიტანეთის საფეიქრო მრეწველობას და მის მიერ დიდი ზღვების კონტროლს. ჰეგემონობაზე პრეტენდენტი: საფრანგეთი;

ბრიტანეთი – 1815 – 1914წწ. (ვენის კონგრესიდან პირველ მსოფლიო ომამდე). ემყარებოდა ბრიტანეთის ინდუსტრიულ უპირატესობას და რკინიგზას. ჰეგემონობაზე პრეტენდენტი: გერმანია;

აშშ. 1945 – 1971წწ. ემყარებოდა ნავთობსა და შიდა წვის ძრავას. ჰეგემონობაზე პრეტენდენტი: სსრკ.

ამ ქრონოლოგიურ სქემასთან აღსანიშნავია მოდელსკისა და ტომფსონის მსოფლიო ლიდერობის გრძელი ციკლების თეორია. ისინი თავის თეორიაში ემყარებიან ამ სქემას და აცხადებენ, რომ თითოეულ ციკლში ოთხი ფაზაა გამოყოფილი: 1. გლობალური ომი; 2. მსოფლიო ბატონობა; 3. დელეგიტიმაცია; 4. დეკონცენტრაცია. თეორიის მიხედვით, ლიდერი სახელმწიფო იბადება გლობალური ომის შედეგად, რომლის დროსაც ვლინდება პოლიტიკურად და ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც შესწევს ძალა მართოს საერთაშორისო სისტემა, დაანესოს თამაშის გარკვეული წესები და შეინარჩუნოს ისინი სხვა სახელმწიფოებისათვის. აქედან იწყება მეორე ფაზა, რომელსაც მსოფლიო ბატონობა ჰქვია. ქვეყანა თავისი სიძლიერის ზენიტშია ყველა ასპექტში. მაგრამ ჰეგემონობას და ლიდერობას პლიუსებთან ერთად მინუსებიც აქვს: ლიდერობის შენარჩუნებას სჭირდება სერიოზული რესურსები და ენერჯია. ამასთან, მშვიდობიანობის პერიოდში ნელ-ნელა ძლიერდებიან სხვა სახელმწიფოებიც (გლობალურ ომში დამარცხებული), იზრდება პრეტენზიები ჰეგემონის მიმართ და ჩნდება ამბიციები ჰეგემონობაზე. აქ იწყება მესამე ფაზა: ჰეგემონობაზე პრეტენდენტის სერიოზული განაცხადი და არსებული წესრიგის დელეგიტიმაცია. დელეგიტიმაციას მოჰყვება არეულობა სისტემაში, სისტემის დეცენტრალიზაცია და ისევ გლობალური ომის დაწყება ახალი ჰეგემონის გამოსავლენად. ამ თეორიის მიხედვით, გლობალურ ომებს შორის მშვიდობიანი პერიოდები დაახლოებით 80 წელიწადია, და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომდევნო გლობალური ომი დაახლოებით 2030 წლისათვის უნდა დაიწყოს.

გოლდსტაინის გრძელი ციკლების თეორიის მიხედვით, გლობალური ომები სერიოზული ეკონომიკური აღმავლობის დაწყების თანმდევაა, ვინაიდან ეკონომიკურ აღმავლობას და კეთილდღეობას სჭირდება სოლიდური რესურსები, რომელთა მოსაპოვებლად და მათზე კონტროლის დასამყარებლად აუცილებელი ხდება ბრძოლა. სწორედ ამიტომ ჰეგემონობის პრეტენდენტი სახელმწიფო იწყებს სამხედრო ძალის გამოყენებას და ამით თავისი ეკონომიკური ძლიერების უზრუნველყოფას. მაგრამ ომი ძალიან ძვირი სიამოვნებაა, მოითხოვს უზარმაზარ დანახარჯებს, და ქვეყანას დიდი ხანი არ შეუძლია მისი გაგრძელება. იგი სუსტდება და იწყება მშვიდობიანი პერიოდის ახალი 50-წლიანი ციკლი. ამ თეორიას მეორენაირად ეკონომიკური აღმავლობისა და ომების ციკლის თეორიასაც უწოდებენ (ა. რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი, 1996).

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჰეგემონობაზე პრეტენზიას საბჭოთა კავშირიც აცხადებდა, თუმცა მისმა დაშლამ და, ზოგადად, კომუნისტური რეჟიმის ნგრევამ ამერიკა კვლავ ერთადერთ ჰეგემონად დატოვა.

ვინ იქნება შემდეგი ჰეგემონი? ერთიანი ევროპა? ჩინეთი? თუ კვლავ ამერიკის შეერთებული შტატები შეინარჩუნებენ ჰეგემონობას?

საზინანსო-სავალუტო ურთიერთობები მაორე მსოფლიო ომის შემდეგ

დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთის დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა გამოიყენეს ორი ეკონომიკური პრიორიტეტი: ეკონომიკური ზრდისა და სრული დასაქმების მიღწევა და სტაბილური მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის დამყარება. ყველაფერ ამას არ უნდა დაეშვა ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური კოლაფსი და კიდევ ერთი სამხედრო კონფლიქტი. ეს იყო საერთაშორისო კონსენსუსი, ვინაიდან წინა მონეტარულმა სისტემებმა, რომლებიც ძირითადად ბაზრის ძალებს ეყრდნობოდა, არ გაამართლა. 1944 წელს ბრეტონ-ვუდსში (ნიუ-ჰემფშირი, აშშ) ჩატარდა კონფერენცია. მასში მონაწილეობდა ორმოცდაათი სახელმწიფო. კონფერენციის მიზანი სწორედ ამგვარი სტაბილური მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის შექმნა იყო. ჯონ კეინსი ბრიტანეთში და ჰერი დექსტერ უაიტი აშშ-ში იყვნენ ამ სისტემის არქიტექტორები.

ეს ეკონომიკური სისტემა ჩაფიქრებული იყო როგორც ლიბერალური, რომელსაც განამტკიცებდა საერთაშორისო თანამშრომლობა და რომელიც ხელს შეუწყობდა ხანგრძლივ მშვიდობას მსოფლიოში. ორწლიანი ომის შემდეგ მოლაპარაკებების შედეგად აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის (მსოფლიოს იმჟამინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური ლიდერები) ახალი საერთაშორისო სავალუტო სისტემის შექმნის გეგმა დაისახა.

თავდაპირველად იგი ჩაფიქრებული იყო, პირველად ისტორიაში, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მართვად სისტემად, ისეთების, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. მათ უნდა ეკისრათ სავალუტო ფუნქციების შესრულება საერთაშორისო სისტემისათვის. აღნიშნული ორგანიზაციების დაარსებაც სწორედ ბრეტონ-ვუდსში გადაწყდა.

ბრეტონ-ვუდსის სისტემაში შემდეგი მთავარი პუნქტები იყო ჩამოყალიბებული:

1. ვინაიდან ომებს შორის პერიოდმა ცხადყო, რომ თავისუფლად რხევადი სავალუტო კურსები არახელსაყრელია საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებისათვის, მონაწილე ქვეყნებმა იკისრეს ვალდებულება გამოაცხადონ თავიანთი ვალუტების "პარ ვალუ", როგორც დადგენილი გაცვლის კურსი ორ ვალუტას ან ვალუტასა და ოქროს შორის დადგენილი გარკვეული ნონის და ვალუტასა და ვალუტების კალათს შორის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძირითადი მიზანი იყო გაცვლით კურსებში სტაბილურობის დამყარება. შემუშავდა სისტემა, რომელსაც ერქვა პარ (ექუალ) ვალუ სისტემა. აშშ-მა განსაზღვრეს თავიანთი დოლარი ასე: ერთი უნცია ოქრო იყო 35 დოლარი. სხვა სახელმწიფოებმა განსაზღვრეს თავიანთი ვალუტები დოლართან მიმართებაში. ისინი იტოვებდნენ, აგრეთვე, ჩარევის უფლებას, რათა ვალუტების რხევადობა დაეყვანათ მინიმუმამდე +1-დან -1-მდე;

2. ქვეყნები შეთანხმდნენ თავი აერიდებინათ ყოველგვარი ეკონომიკური ომებისთვის. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა მონაწილეთა ქცევის კოდექსი, რომელიც ჩაინერა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდებაში. ამით განმტკიცდა მრავალმხრივი გადახდები სავალუტო კონვერტაბელურობის ბაზაზე;

3. ქვეყნები შეთანხმდნენ სავალუტო პრობლემების გადასაწყვეტად შეექმნათ ერთგვარი სავალუტო ინსტიტუტი. შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდი თავისი შესატანი წესებითა და კვოტებით, რომელიც გასცემდა სესხებს. ამგვარ ინსტიტუტს ანალოგი არ ჰქონდა ისტორიაში. მას დაეკისრა სამი ძირითადი ფუნქცია: 1. ვალუტის გაცვლითი კურსების და კონვერტაბელურობის რეგულირება; 2. დამატებითი ვალუტით, ოქროთი უზრუნველყოფა (ფინანსური ფუნქცია); 3. საკონსულტაციო ფუნქცია.

ბრეტონ-ვუდსის სისტემას არ შეუცვლია ოქროზე გაცვლის სტანდარტი. ამავე დროს საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავალუტო რეზერვი განიხილებოდა როგორც საკმარისი ნებისმიერი პრობლემის გადასაწყვეტად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდში თავდაპირველად ჩაიდო დაახლოებით 8,8 მილიარდი დოლარი, რომელიც შედგებოდა წვერი სახელმწიფოების შენატანებისგან ოქროში და მათ ეროვნულ ვალუტაში.

მაგრამ ომის შემდგომი სავალუტო ურთიერთობები ვერ გახდა სტაბილური. მხოლოდ აშშ-მა, კანადამ და ცენტრალური ამერიკის რამდენიმე სახელმწიფომ შეძლეს დადგენილი წესების შესრულება. დანარჩენები იმდენად დასუსტებულები იყვნენ, რომ თავიანთი ვალუტების

კონვერტაციას ვერ ახერხებდნენ. ამიტომ ევროპის და იაპონიის საგადამხდელო საშუალებები ნოლზე იყო. 1945 წლიდან 1947 წლამდე აშშ აქტიურად მოითხოვდნენ წევრი სახელმწიფოებისგან ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებების შესრულებას და ფინანსური ინსტიტუტების სრულფასოვან მუშაობას. ამისათვის დიდ ძალისხმევას მიმართეს აშშ-მა. ამერიკამ დიდ ბრიტანეთს 3,75 მილიარდი დოლარის ოდენობის სესხი მისცა, რომ ამ უკანასკნელს დაემთავრებინა ქვეყნის შიგნით აღდგენითი-სარეკონსტრუქციო სამუშაოები და ფუნქტი სტერლინგი კვლავ კონვერტაბელური გაეხადა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, 1947 წელს ამერიკა დარწმუნდა, რომ ბრეტონ-ვუდსის სისტემა არ მუშაობდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეზერვები ამოიწურა და დაარსებიდან ორი წლის შემდეგ, 1947 წელს, სესხების გაცემა შეჩერდა.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, 1947 წლის ეკონომიკური კრიზისი პირდაპირ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ პრობლემებთან: გერმანია პოლიტიკურად და ეკონომიკურად განადგურებული იყო; იტალიასა და საფრანგეთში ომისშემდგომი მდგომარეობა არასტაბილური იყო; დიდი ბრიტანეთი, ნაწილობრივ თავისი ეკონომიკური სიძნელების გამო, ტოვებდა ინდოეთსა და პალესტინას და ველარ ასრულებდა საბერძნეთისა და თურქეთისთვის მიცემულ პირობებს უსაფრთხოებისა და პოლიტიკური მხარდაჭერის შესახებ; საბჭოთა კავშირი ინტენსიურად მუშაობდა ევროპაში და თანმიმდევრულად „ასოციაციისტება“ სახელმწიფოებს (პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, იუგოსლავია); ამასთან, კომუნისტი პარტიზანები წარტყმებით იბრძოდნენ საბერძნეთში და კომუნისტური პარტიები გარკვეულ ნდობას იხვეჭდნენ ევროპის სახელმწიფოებში (მაგ., საფრანგეთში, იტალიაში).

1947 წლიდან, აღნიშნული მიზეზების გამო, ბრეტონ-ვუდსის სისტემა, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ინსტიტუტების მიერ უნდა ყოფილიყო მართული, გადაიქცა აშშ-ის მიერ მართულ სისტემად. მთელი სიმძიმე დააწვა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელსაც სჭირდებოდა, რომ სხვა ქვეყნებში ეკონომიკური აღმავლობა დაწყებულიყო, რათა იქ არ დაწყებულიყო კომუნისტური იდეების გავრცელება, არ შესულიყო კომუნიზმი.

1947 წლიდან 1960 წლამდე ამერიკას შეეძლო და სურვილიც ჰქონდა ეკისრა ეს ფუნქციები. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, აშშ-ს როლი იყო ალტრუიზმისა და ინტერესების ნარევი. ამერიკის ეკონომიკურმა სიძლიერემ და ომებს შორის პერიოდში მიღებულმა გამოცდილებამ ხელი შეუწყო მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლიდერობას და ამ ფაქტის ცნობას სხვა სახელმწიფოების მიერ (ამ შემთხვევაში ლაპარაკია ძირითადად ევროპაზე).

1947 წელს ნათელი გახდა, რომ ოქრო და ფუნქტი სტერლინგი ველარ ასრულებდნენ მსოფლიო ფულის როლს. ოქროს წარმოება არ იყო საკმარისი, რათა დაეკმაყოფილებინა საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების მზარდი მოთხოვნილებები. დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური სისუსტის გამო ფუნქტი ველარ იყო მსოფლიო ვალუტა. ერთადერთი ძლიერი ვალუტა იმ პერიოდში იყო აშშ დოლარი (იგი მყარ მიმართებაში იყო ოქროსთან – 35 დოლარი უდრიდა ერთ უნცია ოქროს). გარდა ამისა, აშშ-ის მთავრობა თანახმა იყო გაცევალია დოლარი ოქროზე აღნიშნული კურსით, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა დოლარს. რეალურად დოლარი უკეთესიც იყო, ვიდრე ოქრო, ვინაიდან მისდამი ინტერესი იზრდებოდა და იგი გამოიყენებოდა ვაჭრობასა და ფინანსებში. ომის ბოლოს ამერიკა ფლობდა მსოფლიოს ოქროს ვალუტის 3/4D-ს. ვინაიდან ოქროს ფიზიკური წარმოება იყო ძალზე შემცირებული, დოლარი გახდა არა მხოლოდ ნამყვანი საყრდენი ვალუტა, არამედ ცენტრალური ბანკების ძირითადი სარეზერვო ფასეულობა. ომის შემდეგ ოქროს სტანდარტი დოლარის სტანდარტად იქცა. ამრიგად, ბრეტონ-ვუდსის სისტემა გახდა ჰეგემონური სავალუტო წესრიგი, აგებული დოლარზე. საერთაშორისო ვაჭრობა, ინვესტირება – ყველაფერი დოლარზე დამყარდა. აშშ ლიდერი გახდა ცივი ომის პირობებში და ხელში ჩაიგდო დასავლეთ სამყაროს მართვა. აშშ-ს იზოლაციონიზმი ჩაბარდა წარსულს. ეს გარკვეული გარიგება იყო აშშ-სა და ევროპას შორის – აშშ-ს ჰეგემონიზმს სხვა მოკავშირეები საკუთარი ეკონომიკების გაუმჯობესების სანაცვლოდ დათანხმდნენ.

თუმცა ამან გარკვეული პრობლემებიც შეუქმნა აშშ-ს. დოლარზე მზარდმა მოთხოვნილებამ აშშ-ს უზარმაზარი დეფიციტი გაუჩინა.

ბრეტონ-ვუდსის სისტემის ისტორია იყოფა ორ პერიოდად: დოლარის ნაკლებობის პერიოდი და დოლარის სიჭარბის პერიოდი. პირველი პერიოდი გაგრძელდა 1958 წლამდე, მეორე კი – 1971 წლამდე. 1950-1956 წლებში დიდი სესხები არ გაცემულა.

პირველ პერიოდში, რომელსაც ხშირად აშშ-ის ერთპიროვნული მენეჯმენტის პერიოდსაც უწოდებენ, როგორც ვთქვით, აღინიშნებოდა დოლარის, როგორც მსოფლიოს ძირითადი ვალუტის, ნაკლებობა. თავად აშშ-ში ვაჭრობა გამალებით იზრდებოდა და სერიოზული ეკონომიკური აღმავლობა იწყებოდა. მაგრამ იმისათვის, რომ სისტემას ემუშავა, საჭირო იყო ეს პროცესი ევროპაშიც დაწყებულიყო და მომხდარიყო დოლარის გადინება. დოლარის გადინება მოხდა აშშ-ის დახმარების პროგრამებით: ტრუმენის გეგმა საბერძნეთისა და თურქეთის დასახმარებლად, დახმარება განვითარებად სახელმწიფოებს და, ყველაზე მნიშვნელოვანი,

მარშალის გეგმა, რომლის ფარგლებშიც თექვსმეტმა ევროპულმა სახელმწიფომ მიიღო დახმარება 1948-1952წწ. 17 მილიარდი დოლარის ოდენობით.

ქვეყნიდან გასული ფული ნაწილობრივ კვლავ ქვეყანაში ბრუნდებოდა ამერიკული საქონლისა და სერვისის შეძენის გზით. სისტემა მუშაობდა. ევროპისა და იაპონიის ეკონომიკები აღორძინდა.

1950 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, რომელიც ფაქტიურად უმოქმედო იყო აშშ-ის ერთპიროვნული მენეჯმენტის პერიოდში, დაიწყო უფრო აქტიური როლის შესრულება.

1958 წლიდან იწყება დოლარის სიჭარბის, ანუ ბრეტონ-ვუდსის მეორე პერიოდი, რომელსაც ხშირად უწოდებენ მრავალმხრივ მენეჯმენტს აშშ-ის ლიდერობით.

დოლარი აღარ იყო ერთადერთი ძლიერი ვალუტა. ევროპა და იაპონია თანმიმდევრულად ვითარდებოდნენ და 1959 წლის ბოლოსთვის მათი რეზერვები აშშ-სას მიუახლოვდა. აშშ-ის ოქროს მარაგმა დაიკლო 24,4 მილიარდი დოლარიდან 1948 წელს 19,5 მილიარდ დოლარამდე 1959 წლის ბოლოსთვის. უცხოეთში აკუმულირებული დოლარის მარაგი გაიზარდა 7,3 მილიარდიდან 1948 წელს 19,4 მილიარდამდე 1959 წელს.

1960 წლის ნოემბერში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სპეკულანტებმა დოლარი გადაახურდავეს ოქროზე. ეს არ ნიშნავდა დოლარის გაუფასურებას. ამერიკა კვლავ ლიდერი იყო და მისი ეკონომიკა ჯანმრთელი, თუმცა ეს იმაზე მიაჩნებოდა, რომ ამერიკას აღარ შეეძლო ერთპიროვნულად ემართა საფინანსო სისტემა და საჭირო გახდა სხვა წევრების აქტიური ჩაბმა.

ჯერ ევროპული ვალუტების გაძლიერებამ, შემდეგ, ცოტა მოგვიანებით, 1964 წელს, იაპონიის ვალუტის გამყარებამ და კონვერტაბელურად გადაქცევამ დაბადა ამ ქვეყნებში სურვილი, რომ მათთან აღარ აკუმულირებულიყო აშშ დოლარი. ამიტომ ამ ქვეყნებმა ინტენსიურად დაიწყეს დოლარისგან გათავისუფლება. ამას თან დაერთო ვიეტნამის ომი და ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური რეალობის ჩამოყალიბება. ამერიკის შეერთებული შტატები ფაქტიურად ვეღარ ასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებებს. 1968-1971 წლებში საერთაშორისო სავალუტო სისტემა და მისი მენეჯმენტი პარალიზებული იყო. 1971 წლის 15 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტმა ნიქსონმა, საერთაშორისო სავალუტო სისტემის სხვა წევრებთან შეთანხმების გარეშე, ცალმხრივად გამოაცხადა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა: შეჩერდა დოლარის კონვერტაცია ოქროსთან მიმართებაში. ეს ფაქტიურად ბრეტონ-ვუდსის დასასრული იყო.

1976 წელს კინგსტონში (იამაიკა) შედგა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წამყვანი სახელმწიფოების შეხვედრა, სადაც საბოლოოდ გაცხადდა ბრეტონ-ვუდსის სისტემის დასასრული. როგორც გილპინი აღნიშნავს, ბრეტონ-ვუდსისა და ფიქსირებული გაცვლითი კურსის *დე ფაქტო* დამთავრება *დე იურე* გახდა იამაიკის კონფერენციაზე (*Robert Gilpin, The Political Economy of International Relations, p. 140*). კონფერენციაზე ქვეყნები შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე:

- მოხდა მცურავი გაცვლითი კურსების ლეგალიზაცია;
- ოქროს, როგორც რეზერვის, როლი შემცირდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოქროს რეზერვის ერთი მეექვსედი დაუბრუნდა წევრ სახელმწიფოებს ყოფილ ოფიციალურ ფასში მათი კვოტების პროპორციულად. კიდევ ერთი მეექვსედი გაიყიდა ღია ბაზარზე და მიღებული თანხა სესხად გაიცა განვითარებად ქვეყნებზე;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტები გაიზარდა, განსაკუთრებით ოპეკის ქვეყნებისთვის;
- გაიზარდა დაფინანსება ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის და ამით, მეცნიერთა აზრით, გაიზარდა განვითარებადი სახელმწიფოების დამოკიდებულება;
- ქვეყნებს თავად უნდა განესაზღვრათ თავისი ვალუტების *პარ ვალუ*. ამგვარად, ეროვნულ მთავრობებს თვითონ უნდა მოენესრიგებინათ თავიანთი საფინანსო-სავალუტო სისტემები საერთაშორისო წესრიგში შესვლამდე.

კონფერენციაზე, მართალია, ოფიციალურად დადასტურდა არსებული სისტემის დაშლა, მაგრამ ახალი არ შექმნილა.

სთივენ გილისა და დევიდ ლოს აზრით, ბრეტონ-ვუდსის სისტემა ბოლომდე არ დასრულებულა, ვინაიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი (ბრეტონ-

ვუდსის საფინანსო ინსტიტუტები) დღესაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ საერთაშორისო ეკონომიკაში. Xოლო, რაც შეეხება, აშშ დოლარს, იგი კვლავაც რჩება მსოფლიოს ლიდერ ვალუტად, რომელსაც მრავალი ქვეყანა უფარდებს თავიანთ ვალუტებს, განსაკუთრებით ლათინური ამერიკა და სხვა განვითარებადი სახელმწიფოები.

მსოფლიო ბანკი

მსოფლიო ბანკის შექმნა გადაწყდა ბრეტონ-ვუდსში 1944 წელს. მუშაობა დაიწყო 1945 წელს. იგი გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებაა, მაგრამ მის წევრად მიიღებიან მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი სახელმწიფოები. შტაბ-ბინაა ვაშინგტონში. მისი უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო. ბანკის ოპერატიულ საქმიანობას ახორციელებს დირექტორატი. ბანკს ჰყავს პრეზიდენტი.

პირველი სესხი ბანკმა მისცა საფრანგეთს 1947 წელს ომის შემდგომი რეკონსტრუქციისათვის (250 მილიონი აშშ დოლარი). ამ მიზნით სესხის გაცემა მას შემდეგ მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. ბანკში 180-ზე მეტი წევრია. მისი ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სიღარიბესთან ბრძოლა მთელს მსოფლიოში. მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად აქვეყნებს *მსოფლიოს განვითარების ანგარიშს*.

საქართველო მსოფლიო ბანკის წევრია 1992 წლიდან.

ამჟამად ბანკში გაერთიანებულია ხუთი ინსტიტუტი:

- **რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (*International Bank for Reconstruction and Cooperation - IBRD*):**

შეიქმნა 1945 წელს. აერთიანებს 184 ქვეყანას. მიზანია შეამციროს სიღარიბის დონე ქვეყნებში მდგრადი განვითარების ხელშეწყობით. ამისთვის გასცემს სესხებს, გრანტებს, კრედიტებს. ეხმარება ქვეყნებს ანალიტიკური და საკონსულტაციო სამსახურის მეშვეობით.

- **საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (*International Development Association - IDA*):**

დაარსდა 1960 წელს. აერთიანებს 162 წევრს. ხელს უწყობს რეფორმებს სახელმწიფოებში განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში, სუფთა წყალმომარაგების საკითხებში და სხვ. მისი საქმიანობა, აგრეთვე, მიმართულია უმუშევრობის აღმოფხვრისა და სოციალური პრობლემების გაუმჯობესებისაკენ.

- **საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (*International Finance Corporation – IFC*):**

დაარსდა 1956 წელს. აერთიანებს 175 წევრ სახელმწიფოს. მისი მიზანია ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა კერძო სექტორის გაძლიერების გზით. მუშაობს ბიზნეს-პარტნიორებთან, ინვესტირებას ახდენს განვითარებადი სახელმწიფოების კერძო სექტორში და აძლევს მათ გრძელვადიან სესხებს, ეხმარება კონსულტაციებით.

- **მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო (*Multilateral Investment Guarantee Agency – MIGA*):**

დაარსდა 1988 წელს. აერთიანებს 157 წევრს. მოუწოდებს უცხოელ ინვესტორებს მოახდინონ კაპიტალდაბანდებები განვითარებად ქვეყნებში. იძლევა გარანტიას არაკომერციულ რისკთან დაკავშირებით – ექსპროპრიაცია, ვალუტის არაკონვერტაბელობა, ტრანსფერების შეზღუდვა, ომი, სამოქალაქო არეულობა და სხვ. ტექნიკურ დახმარებას უწევს ქვეყნებს შესაძლო უცხოური ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში.

- **ინვესტიციების სფეროში დავების მოსაგვარებელი საერთაშორისო ცენტრი (*International Center for Settlement of International Disputes – ICSID*):**

დაარსდა 1966 წელს. აერთიანებს 134 წევრ სახელმწიფოს. ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას სხვადასხვა ქვეყნებში, რისთვისაც შეიმუშავებს საერთაშორისო ინვესტირების წესებს, დავების მოგვარების კანონებს. გაუგებრობისა და კონფლიქტური სიტუაციების შემთხვევაში იძლევა რჩევებს საერთაშორისო ინვესტირების კანონის შესაბამისად.

2004 წელს მსოფლიო ბანკმა გასცა 20,1 მილიარდი აშშ დოლარი 245 პროექტის განსახორციელებლად, რომლებიც მიმართული იყო მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში სიღარიბესთან საბრძოლველად.

ტექნიკურად მსოფლიო ბანკი გაეროს სისტემის ნაწილია, მაგრამ მისი მმართველობის სტრუქტურა განსხვავებულია. ბანკის წევრობა ხმის უფლებას ითვალისწინებს, მაგრამ ასევე არსებობს დამატებითი ხმის უფლება, რომელიც დამოკიდებულია ორგანიზაციაში ფინანსური კონტრიბუციის ოდენობაზე. შესაბამისად ბანკი ძირითადად კონტროლდება განვითარებული სახელმწიფოების მიერ, მაშინ როცა მისი ძირითადი კლიენტები არიან განვითარებადი სახელმწიფოები. 2004 წლის ნოემბრის მონაცემებით, აშშ-ს გააჩნდათ ხმების მთლიანი რაოდენობის 16,4%, იაპონიას – 7,9%, გერმანიას – 4,5% და დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს თანამხრად 4,3%. ვინაიდან სერიოზული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ხმათა 85%, აშშ-ს შეუძლიათ დაბლოკონ ნებისმიერი ცვლილება. კრიტიკოსების აზრით, საჭიროა ბანკის მმართველობის არსებული სტრუქტურის შეცვლა, რათა უკეთ იყოს გათვალისწინებული განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესები და მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები მათივე აქტიური მონაწილეობით წყდებოდეს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი

საერთაშორისო სავალუტო ფონდი არის გაეროს სპეციალიზებული დანესებულება, რომელიც შეიქმნა 1944 წელს ბრეტონ-ვუდის კონფერენციის გადაწყვეტილებით. ფონდი სრული ავტონომიით სარგებლობს. ფონდის წევრია 180-მდე ქვეყანა. წესდების მიხედვით, ფონდმა ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობას, საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას, თვალყური ადევნოს ვალუტის სტაბილურობას და გასცეს კრედიტები წევრ სახელმწიფოებზე საგადასახადო ბალანსების გასაწონასწორებლად.

ფონდის ძირითად კაპიტალს შეადგენს წევრი სახელმწიფოების კვოტური შენატანები. თითოეული სახელმწიფოს კვოტური შენატანის ოდენობა განისაზღვრება ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელთა გადახედვაც პერიოდულად ხდება. საწევროების 25 პროცენტი იხდება ოქროსა და აშშ დოლარში, ხოლო 75 პროცენტი – ეროვნულ ვალუტაში. კრედიტების ოდენობა, რომელიც შეიძლება ავტომატურად მიიღოს თითოეულმა ქვეყანამ, შეეფარდება მის „ოქროს წილს“. ფონდიდან ამ ოდენობაზე მეტი თანხის მიღება შეზღუდულია. კრედიტები ფონდის წევრ ქვეყანას ეძლევა მისთვის საჭირო უცხოური ვალუტის მიყიდვის გზით, რაშიც ვალდებულია გადაიხადოს ეროვნული ვალუტა. 1970 წლიდან ფონდი უშვებს საერთაშორისო საკრედიტო საშუალებებს – ე.წ. ვალუტის „სასესხო სპეციალურ უფლებებს“, რომლებიც ფონდის წევრებს შორის მათი კვოტების პროპორციულად ნაწილდება.

ფონდში გადამწყვეტ როლს ასრულებენ აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, იტალია, კანადა, ბელგია, ნიდერლანდები და შვეიცარია (ე.წ. ათთა ჯგუფი), რომლებსაც ხმების უმრავლესობა აქვთ და განსაზღვრავენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავალუტო პოლიტიკას.

ფონდის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება. საბჭოში შედის თითოეული წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი. ფონდის შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში.

საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრია 1992 წლიდან.

საერთაშორისო ვაჭრობა. სავაჭრო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

ვაჭრობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებში. ზოგიერთი მეცნიერი იმდენად შორს მიდის ვაჭრობის როლის შეფასებაში, რომ ვაჭრობასა და ომს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად შემადგენლებად მიიჩნევს.

საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, ვინაიდან ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის. იგი მშვიდობის ფაქტორია. თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას. დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავისი თავი. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება გარკვეული პროდუქციის იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით. რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით უფრო დიდი ნაწილი მისი ეროვნული პროდუქციისა არის ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში.

საერთაშორისო ვაჭრობის არსის და მისი ბუნების ახსნას ცდილობს ორი ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებული თეორია. ერთი ეფუძნება ლიბერალურ ტრადიციებს (მას დღეს ჰექსჩერ-ოლინ-სამუელსონის თეორიას უწოდებენ, შემოკლებით – H-O), ხოლო მეორე – ნაციონალისტურს. ამ თეორიებში აბსოლუტურად განსხვავებულად არის ახსნილი საერთაშორისო ვაჭრობის მიზეზები, მიზნები და შედეგები.

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური თეორია ადამ სმიტისა და დევიდ რიკარდოს თეორიებიდან იღებს საფუძველს, თუმცა მისი თანამედროვე ვარიანტი გარკვეულწილად სახეცვლილია.

ლიბერალებს სჯერათ ვაჭრობის ღია სისტემის, რომელზეც ვრცელდება კანონიერების პრინციპი. მათი აზრით, თავისუფალი ვაჭრობა მომგებიანია მასში ჩაბმული ყველა მხარისათვის. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მხარე აუცილებლად თანაბრადაა მოგებული ამ პროცესში. გილპინი ლიბერალების ამ მოსაზრების ახსნისას აღნიშნავს, რომ თავისუფალი ვაჭრობის დასაცავად მთავარი არგუმენტი არა მოგების თანაბარი განაწილებაა, არამედ მაქსიმალური ეფექტურობა და მსოფლიო სიმდიდრის გაზრდა. შრომის საერთაშორისო დანაწილება ზრდის ინდივიდუალურ პროდუქტიულობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეროვნული და მსოფლიო სიმდიდრის შექმნასა და დაგროვებას. შრომის საერთაშორისო დანაწილება და მისი გაღრმავება მსოფლიო ეკონომიკის აყვავების და საერთაშორისო კეთილდღეობის საწინდარია.

თავისუფალ ვაჭრობას სარგებელი მოაქვს სხვა ხალხებისთვისაც. ეკონომისტები უკვე დიდი ხანია თვლიან, რომ ვაჭრობა აძლევს უფლებას ქვეყნებს მიაქციონ ძირითადი ყურადღება იმ საქონლის წარმოებას და იმ მომსახურებას, რომელთა მაღალი ხარისხიც შეუძლიათ უზრუნველყონ ამ ქვეყნებმა მაქსიმალური ეფექტურობით. მგვარად, ისინი ამალღებენ მთელი მსოფლიო თანამეგობრობის საწარმოო სიმძლავრეებს. უფრო მეტიც, ვაჭრობა ხელს უწყობს ეკონომიკისა და სოციალური სტაბილურობის ზრდას, დემოკრატიის განვითარებას ცალკეულ ქვეყნებში, აგრეთვე მსოფლიოს აყვავებას, კანონიერების დამყარებას და მშვიდობის უზრუნველყოფას საერთაშორისო ურთიერთობებში.

ვაჭრობის ღია სისტემა მოითხოვს, რომ ქვეყნებმა განახორციელონ სამართლიანი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი შეღწევა ერთმანეთის ბაზრებზე. ამისათვის ქვეყნები უნდა შეეცადონ შეუქმნან სხვა ქვეყნებს ხელსაყრელი პირობები თავის ბაზრებზე შესაღწევად – შეამცირონ თავიანთი სავაჭრო ბარიერები მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებების დადების გზით. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციისას ძირითადი ყურადღება ტრადიციულად ეთმობა ტარიფებისა და გარკვეული არასატარიფო ბარიერების შემცირებას, უკანასკნელ წლებში გაჩნდა ახალი საშუალებები ამ ლიბერალიზაციის უზრუნველსაყოფად. ყველა ქვეყნის სავაჭრო კანონმდებლობა და სავაჭრო პრაქტიკა უნდა იყოს გამჭვირვალე, ანუ, სხვაგვარად, ყველამ უნდა იცოდეს წესები და ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი შანსები კონკურენციაში მონაწილეობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის თავად ლიბერალებიც კი აღიარებენ, რომ წმინდა სახით თავისუფალი ვაჭრობა პრაქტიკაში არ არსებობს და „უხილავ ხელზე“ ეფექტური, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო ჩარევას, ამ თეორიის მიმდევრები მაინც რჩებიან ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის მომხრეებად.

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური თეორიის ოპონენტები თვლიან, რომ თავისუფალი

ვაჭრობა მხოლოდ განვითარებული და ძლიერი ქვეყნებისთვისაა მომგებიანი, რომელთა ეკონომიკაც არ არის დამოკიდებული ერთ რომელიმე სექტორზე და ერთ კონკრეტულ პროდუქტზე. ხოლო ეკონომიკურად შედარებით დაბალგანვითარებული სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური პროტექციონიზმი უფრო მომგებიანი და მიზანშეწონილია.

ნაციონალისტები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ საერთაშორისო ვაჭრობას და მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ექსპორტი უნდა აღემატებოდეს იმპორტს – ქვეყანამ უნდა გაყიდოს მეტი პროდუქცია, ვიდრე იყიდოს. თუმცა თუ ამ პოზიციას ყველა ქვეყანა გაიზიარებს, მაშინ გასაყიდი აღარაფერი იქნება და საერთაშორისო ვაჭრობაც აღარ იარსებებს.

ლიბერალები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა მშვიდობის გარანტიაა, და რაც მეტი ქვეყანა ჩაბმული მასში, მით უფრო უსაფრთხო და სტაბილურია მსოფლიო, ნაციონალისტები არ ეთანხმებიან და თვლიან, რომ დღევანდელმა გლობალურმა ეკონომიკამ, რომელიც თითქმის ყველა ქვეყნის ეკონომიკას მოიცავს, მოიტანა დამოკიდებულების ახალი ფორმები და შექმნა ნიადაგი ეკონომიკური კონფლიქტებისათვის.

თანამედროვე ყველაზე მაღალგანვითარებული სახელმწიფოების ისტორიაში იყო პერიოდები, როდესაც ისინი მკვეთრად უხვევდნენ ეკონომიკური პროტექციონიზმისკენ. ასე, მაგალითად, ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე ალექსანდრე ჰამილტონი აშშ-ის სამრეწველო განვითარების უზრუნველსაყოფად მოითხოვდა პროტექციონისტული ტარიფის შემოღებას, და უნდა ითქვას, რომ მისი რეკომენდაციები ხშირად სრულდებოდა. ჰამილტონი არ იზიარებდა ადამ სმიტის „თავისუფალი ბაზრის“ იდეას და მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს სერიოზული დახმარება უნდა გაენია ინდუსტრიის განვითარებისათვის. ამერიკულმა პროტექციონიზმმა თავის პიკს მიაღწია 1930 წელს, როდესაც მიღებულ იქნა სმუთ-ჰოლი ტარიფი (იხ. ზევით), რომელმაც მკვეთრად გაზარდა აშშ-ში შემოღებული ტარიფები.

გერმანელმა ეკონომისტმა ფრიდრიხ ლისტმაც ეკონომიკური პროტექციონიზმი მიიჩნია მიზანშეწონილად თავისი ქვეყნისათვის. ლაპარაკია მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდის დაქუცმაცებულ და სუსტ გერმანიაზე. ლისტის რეკომენდაციით გერმანულმა სახელმწიფომ გარკვეული ბარიერი დაუწესეს ინგლისურ საქონელს მაღალი ბაჟის სახით, რითაც მოახერხეს საკუთარი მრეწველობის დაცვა, მისთვის ხელშეწყობა და, საბოლოო ჯამში, ეკონომიკური აღმავლობის დაწყება.

როგორც გილპინი აღნიშნავს, ლიბერალებიც და ნაციონალისტებიც თანხმდებიან, რომ ნარმოებას სჭირდება დაცვა მის საწყის ეტაპზე, მაგრამ მათი შეხედულებები ფუნდამენტურად განსხვავდება იმასთან მიმართებაში, თუ რა არის ამ დაცვის, ანუ პროტექციონიზმის, მიზანი. ნაციონალისტებისთვის პროტექციონიზმი საბოლოო მიზანია, რომელსაც მოჰყვება ინდუსტრიული ძალაუფლება და ძლიერი სახელმწიფო. ლიბერალებისთვის კი – პროტექციონიზმი დროებითი ეტაპია, რომელიც ქვეყანას საშუალებას აძლევს მიხვდეს, თუ რომელ სფეროში აქვს მას შეფარდებითი უპირატესობა. საბოლოო მიზანი კი – თავისუფალი ვაჭრობა და მსოფლიო სიმდიდრის შექმნაა. ლიბერალების აზრით, ყველა ეკონომიკას გააჩნია შეფარდებითი უპირატესობა რამეში და ამიტომ მათ არ უნდა ეშინოდეთ თავისუფალი ვაჭრობის.

სავაჭრო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

პირველ მსოფლიო ომამდე მსოფლიო ეკონომიკა მოქმედებდა ოქროს სტანდარტის არსებობის პირობებში. ეს იმას ნიშნავდა, რომ შესაძლებელი იყო, ამა თუ იმ კონკრეტული კურსის მიხედვით, ყველა ქვეყნის ვალუტის კონვერტირება ოქროში. ამგვარმა სისტემამ განაპირობა ფიქსირებული სავალუტო კურსების შემოღება, ე. ი. ყველა ქვეყნის ვალუტის გაცვლა ნებისმიერი სხვა ქვეყნის ვალუტაზე შესაძლებელი იყო მყარად დადგენილი, უცვლელი კურსით. ფიქსირებულმა სავალუტო კურსებმა ხელი შეუწყო მსოფლიო ვაჭრობის განვითარებას, ვინაიდან მათ ერთგვარად გამორიცხეს ის გაურკვევლობის ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებული იყო ე.წ. მცურავ კურსებთან. მაგრამ ამ სისტემას, მეცნიერთა აზრით, ჰქონდა სულ ცოტა ორი ნაკლი. ჯერ ერთი, ოქროს სტანდარტის პირობებში ქვეყნებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა გაეკონტროლებინათ თავიანთი ოქროს მასები. ამის ნაცვლად ყოველი ქვეყნის ოქროს მასა განისაზღვრებოდა ოქროს იმ ნაკადით, რომელიც გამოიყენებოდა სხვა ქვეყნებთან ანგარიშსწორების დროს. მეორეც ის, რომ ყველა ქვეყანაში ოქროს პოლიტიკა განიცდიდა ოქროს მოპოვების ტემპების გავლენას. მეცხრამეტე საუკუნის 70-80-იან წლებში, როდესაც ოქრო მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა, ოქროს მასა მთელს მსოფლიოში ნელი ტემპით იზრდებოდა, რათა არ ჩამორჩენოდა ეკონომიკის ზრდას. ამის შედეგი იყო დეფლაცია, ფასების დაცემა. შემდგომში, მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში, ალიასკაზე და სამხრეთ აფრიკაში ოქროს საბადოების აღმოჩენამ გამოიწვია მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის

მკვეთრი ზრდა, რასაც მოჰყვა ინფლაცია, ფასების ზრდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყნები შეეცადნენ აღედგინათ ოქროს სტანდარტი, მაგრამ იგი გასული საუკუნის 30-იანი წლების დიდი დეპრესიის პერიოდში მთლიანად დაეცა. ზოგიერთი ეკონომისტი აცხადებდა, რომ ოქროს სტანდარტის დაცვა არ აძლევდა საშუალებას ხელმძღვანელ ფულად-საკრედიტო დაწესებულებებს გაეზარდათ მიმოქცევაში ფულის რაოდენობა საქმიანი აქტიურობის აღსადგენად საჭირო საკმაოდ სწრაფი ტემპებით.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი აღინიშნება მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის დაწყებით. ამ პროცესში ლიდერის ფუნქცია იკისრა ამერიკამ. ეს განპირობებული იყო აშშ-ის ეკონომიკური სიძლიერით და, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, მისი სურვილით შეესრულებინა მსოფლიო ჰეგემონის როლი. აშშ-ში მიხვდნენ, რომ სტაბილურობა ქვეყანაში და მოკავშირეების ერთგულების შენარჩუნება შესაძლებელი იქნებოდა მათი ეკონომიკის აღდგენის შემთხვევაში. ამერიკის დახმარებას ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და მისი შემდგომი ზრდის მისაღწევად მათ ესაჭიროებოდათ, აგრეთვე, საექსპორტო ბაზრები, განსაკუთრებით აშშ-ის უდიდესი ბაზარი.

1944 წელს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდნენ ბრეტონ-ვუდსში, შტატი ნიუ-ჰემფშირი, რათა შეექმნათ ახალი საერთაშორისო ფინანსური სისტემა. ვინაიდან იმ დროს შეერთებული შტატების წილად მოდიოდა მსოფლიოში არსებული ოქროს ნახევარზე მეტი, წამყვანმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს მიებათ მსოფლიოს ვალუტები დოლარისათვის და მოეხდინათ, აღნიშნულ ქვეყნებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, მისი კონვერტირება ოქროში – ერთ უნციაში 35 დოლარი.

ამერიკამ, როგორც უკვე აღინიშნა, იკისრა ლიდერის როლი და სათავეში ჩაუდგა ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესს. მან დიდი როლი შეასრულა ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების (გატი) შექმნაში, რომელიც წარმოადგენდა სატარიფო და სავაჭრო წესების საერთაშორისო კრებულს და მას ხელი მოეწერა 1947 წელს.

საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ქცევის წესების კრებულის შემოღების გარდა, გატი (ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება) გამოვიდა მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდის სპონსორის როლში, ხოლო ამერიკა, ლიდერობდა რა ამ საქმეში, აქტიურად მონაწილეობდა ყოველ მათგანში. მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ურუგვაის რაუნდზე, რომელსაც ასე ეწოდა იმის გამო, რომ იგი დაიწყო პულტა-დელ-ესტაში (ურუგვაი) მოლაპარაკებებისას, ქვეყნები საბოლოოდ შეთანხმდნენ ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის შესახებ და დასახეს სამოქმედო გეგმები.

ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება (General Agreement on Tariffs and Trade – GATT)

ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება (გატი) განიხილებოდა როგორც მდიდარი ქვეყნების კლუბი. გატის წესები ესაა – ე.წ. ვაჭრობის ლიბერალური წესები მდიდართა სასარგებლოდ.

გატი შეიქმნა 1947 წელს. მიზანი იყო ნევრ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობისათვის ხელშეწყობა, რაც გამოიხატებოდა მოლაპარაკებების წარმოებაში ტარიფების დარეგულირებისა და შემცირების შესახებ. თავისუფალი ვაჭრობის გაფართოება და გაინტენსიურება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა კაცობრიობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. მას, აგრეთვე უნდა შეემუშავებინა დავების მოგვარების მექანიზმები. შტაბბინა იყო ჟენევაში. გატის მოლაპარაკებებს უწოდებენ რაუნდებს.

გატის უნდა მიეღნია თავისუფალი და უფრო სამართლიანი ვაჭრობისათვის, ტარიფების შემცირებისა და სხვა სავაჭრო ბარიერების მოხსნის გზით. იგი თავის საქმიანობაში ეყრდნობოდა სამ პრინციპს:

- არადისკრიმინაცია, მრავალმხრივობა, და ყველაზე სასურველი სახელმწიფოს პრინციპის (Most-Favoured Nation Principle) გავრცელება შეთანხმების ყველა ნევრზე (*ყველაზე სასურველი ქვეყნის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის, როდესაც ნევრი სახელმწიფო შელავათებს აწესებს ერთი სავაჭრო პარტნიორისთვის, მან იგივე შელავათები უნდა მიანიჭოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა დანარჩენ ნევრს, რათა ყველა იყოს თანაბარ პირობებში*);
- ვაჭრობის გაინტენსიურება ნევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ბარიერების შემცირების გზით;

- უპირობო თანამშრომლობა ყველა წევრს შორის.

უნდა შექმნილიყო მსოფლიო სავაჭრო რეჟიმი ან უნივერსალური კანონები სავაჭრო პოლიტიკის წარმოებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის ბლოკი და ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოების უმეტესობა არ შეუერთდა გატს და არ სცნეს მისი პრინციპები, ხოლო წევრი სახელმწიფოები სრულად არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს, გატმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესს.

1980-იან წლებში ბევრმა სახელმწიფომ ეჭვი შეიტანა გატის შესაძლებლობაში შეენარჩუნებინა ლიბერალური ვაჭრობის რეჟიმი. ამის მიზეზი იყო სტრუქტურული ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკაში, რომელთა შედეგადაც შეირყა გატის პრინციპები. სახელმწიფოებს სურდათ სცოდნოდათ, შესაძლებელი იყო თუ არა ლიბერალური რეჟიმი, და თუ არა, რომელი რეჟიმი შეცვლიდა ომის შემდგომ ლიბერალურ სავაჭრო წესრიგს. თუმცა აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გატის ფარგლებში ჩატარებული რამდენიმე წარმატებული რაუნდის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ტარიფები და გაიზარდა მსოფლიო ვაჭრობა.

საერთაშორისო ვაჭრობის მზარდმა ქსელმა თანდათან ჩაითრია სახელმწიფო ეკონომიკები ერთიან ურთიერთდამოკიდებულების სისტემაში, რასაც მოჰყვა სპეკულაცია იმის შესახებ, რომ იწყება მჭიდროდ ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკის ერა, რომელსაც დადებითზე მეტი უარყოფითის მოტანა შეუძლია ეროვნული ეკონომიკისთვის. ამის შედეგად შეიცვალა ბალანსი ლიბერალიზაციისა და ეკონომიკური ნაციონალიზმის მომხრეთა შორის.

1970-იანი წლების შუა პერიოდისათვის შესამჩნევი გახდა ეკონომიკური ნაციონალიზმის უპირატესობა ლიბერალიზმთან შედარებით და ვაჭრობამ შემცირება იწყო, რაც ასევე აისახა სავაჭრო სისტემის ბუნებაზე. 70-იან წლებში ვაჭრობის შემცირებასა და ეკონომიკური პროტექციონიზმისაკენ დაბრუნებას ხელი შეუწყო რამოდენიმე ფუნდამენტურმა მოვლენამ:

- მცოცავ სავალუტო კურსზე გადასვლამ;
- 1973-74 წწ. ზამთარში ნავთობზე ფასის მასიური მომატებამ;
- იაპონიასთან კონკურენციის გაძლიერებამ;
- ძლიერ კონკურენტუნარიანი ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოების გამოჩენამ მსოფლიო ბაზარზე;
- აშშ-ის ეკონომიკის შედარებითმა დასუსტებამ;
- ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის დაშლამ;
- გლობალური სტაგფლაციის (სტაგნაცია+ინფლაცია) ნიშნებმა.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებული ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესის შეჩერებას.

გატი იყო წესების კრებული, მრავალმხრივი შეთანხმება ინსტიტუციური ფუნდამენტის გარეშე. ეს იყო მცირე სამდივნო, რომელიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის დაარსებას. დღეს არსებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია კი მუდმივი ინსტიტუტია თავისი სამდივნოთი. გატის კანონები ეხებოდა მხოლოდ საქონელს და მხოლოდ მის ირგვლივ არეგულირებდა ურთიერთობებს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კანონები კი ეხება, აგრეთვე მომსახურების სფეროს და ინტელექტუალური ქონების სავაჭრო ასპექტებს. გატისაგან განსხვავებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას გააჩნია დავების მოგვარების უფრო ეფექტური და სწრაფი მექანიზმები.

თანამედროვე პირობებში ორმხრივობამ ფართოდ შეცვალა გატის მრავალმხრივობის პრინციპი, და ეკონომიკური ურთიერთობებისა და ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას სულ უფრო მეტად ხელმძღვანელობენ პოლიტიკური მოსაზრებებით.

ბრეტონ-ვუდის სისტემის თანახმად, ქვეყნის ცენტრალური ბანკების წინაშე, აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის გარდა, დაისვა ამოცანა – დაეცვათ ფიქსირებული გაცვლითი კურსები თავიანთ ვალუტასა და დოლარს შორის. ამას ისინი აკეთებდნენ უცხოურ სავალუტო ბაზრებზე ინტერვენციის გზით. იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტას

დოლართან მიმართებაში ჰქონდა მეტისმეტად მაღალი ფასი, მისი ცენტრალური ბანკი ყიდდა თავისი ქვეყნის ვალუტას დოლარებში გაცვლით, რითაც ამცირებდა მის ფასს. და, პირიქით. თუ რომელიმე ქვეყნის ვალუტის ფასი მეტისმეტად დაბალი აღმოჩნდებოდა, ეს ქვეყანა ყიდულობდა თავის საკუთარ ვალუტას და ამით ზრდიდა მის ფასს.

ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის მონაწილეებმა შექმნეს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რათა დახმარება გაენიათ იმ სახელმწიფოებისთვის, რომელთაც უჭირდათ საგადასახადო ბალანსთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა. ქვეყნებს სავალუტო ფონდის დახმარება სჭირდებათ, ძირითადად, იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი განიცდიან დისპროპორციას ეკონომიკაში. ტრადიციულად ფონდს მიმართავენ ის ქვეყნები, რომლებიც არიან მძიმე მდგომარეობაში სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი დეფიციტისა და ფულადი მასის უაღრესად დიდი ზრდის გამო. ასეთი ქვეყნები ცდილობდნენ მოეხმარათ მეტი, ვიდრე მათ ამის საშუალებას აძლევდა შემოსავალი ექსპორტისაგან. შექმნილი ვითარების გამოსწორების სტანდარტულ საშუალებას, რომელსაც მიმართავდა სავალუტო ფონდი, წარმოადგენდა მოთხოვნილება მევალე ქვეყნების მიმართ გამაჯანსაღებელი ხასიათის მკვეთრი მაკროეკონომიკური ზომების დაცვის შესახებ, მათ შორის საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულადი პოლიტიკის გამკაცრება მოკლევადიანი კრედიტების მიღების სანაცვლოდ.

1970-იან და 80-იან წლებში იაპონიისა და ევროპის ეკონომიკების გაჯანსაღებამ და აშშ-ის ეკონომიკის შედარებით დასუსტებამ გაართულა საერთაშორისო სავაჭრო სისტემის მდგომარეობა. ამასთან, იაპონია და ევროპა ჯერ არ იყვნენ მზად შეესრულებინათ ჰეგემონისა და ლიდერის როლი. 1957 წლიდან ევროპის თანამეგობრობა უდიდესი სავაჭრო ბლოკი იყო. დაარსდა საბაჟო კავშირი თავისუფალი შიდა ვაჭრობით, შეიქმნა საერთო საგარეო ტარიფები და საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა. ევროპის ქვეყნების ვაჭრობამ საოცარი ტემპებით იმატა და 1986 წელს მსოფლიო საერთო ვაჭრობის 38.8 პროცენტს მიაღწია. კიდევ უფრო გაიზარდა ვაჭრობა ევროპის ქვეყნებს შორის. რაც შეეხება იაპონიას, 1960-იან წლებში მისი წილი მსოფლიო ვაჭრობაში შეადგენდა მხოლოდ 3 პროცენტს. 1980-იანი წლების ბოლოსათვის კი მისმა წილმა 8.3 პროცენტს მიაღწია (*The Politics of International Economic Relations, Joan Edelman Spero, Fourth Edition, St. Martin's Press, New York 1990*). ავტორთა აზრით, ამ სასწაულებრივი განვითარების უკან იდგა იაპონიის უნიკალური ნიჭი შეეთვისებინა, დაენერგა და განევიტარებინა უახლესი უცხოური ტექნოლოგიები, აგრეთვე შესაძლებლობა გამოეთავისუფლებინა ხალხი სოფლის მეურნეობიდან, სერიოზული ინვესტირება მოეხდინა წარმოებაში და დაესაქმებინა მოსახლეობა ამ სფეროში. მთავრობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა იაპონიის ეკონომიკის ასეთ მზარდ განვითარებაში – შემუშავდა სპეციალური სახელმწიფო პროგრამები, რომელთა ფარგლებშიც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოეჩინებოდა კერძო ინვესტიციებს ქვეყნისათვის ისეთ სტრატეგიულ დარგებში, როგორც იყო ფოლადი, ნავთობგადამუშავება, ნავთობქიმიკატები, ავტომანქანები, თვითმფრინავები, სამრეწველო ტექნიკა, ელექტროტექნიკა და კომპიუტერები.

იაპონიის განვითარებაში ასევე უდიდესი როლი შეასრულა ექსპორტის გაფართოებისა და იმპორტის პროტექციონიზმის (შეზღუდვის) პოლიტიკამ. ვინაიდან იაპონიის ეკონომიკა მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული ნედლეულის იმპორტზე, მთავრობამ დაანესა მკაცრი კონტროლი არასასიცოცხლო მნიშვნელობის საქონლის იმპორტზე. მთავრობამ უზრუნველყო საშინაო წარმოების განვითარება გარკვეული პროტექციონისტური მეთოდებით იმპორტირებულ საქონელზე (ტარიფები, კვოტები) და რიგი ადმინისტრაციული ზომებით – იმპორტის ლიცენზირება და სხვ. პარალელურად უდიდესი აქცენტი კეთდებოდა ნებისმიერი სახის ნაწარმის ექსპორტზე. 1960-ანი წლებიდან იაპონიამ მოახერხა შეექმნა ისეთი ეკონომიკა, რომელიც მეტწილად ორიენტირებული იყო ექსპორტზე.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გაჩნდა ახალი პრობლემა. ფინანსური ბაზრების ურთიერთდამოკიდებულების მუდმივი გაძლიერებისა და ძრდის პირობებში ზოგიერთი ქვეყნები აღმოჩნდნენ სერიოზული პრობლემების წინაშე უცხოური ვალუტის გაცემის საქმეში – არა იმის გამო, რომ არასწორად წარმართავდნენ ეკონომიკურ საქმიანობას, არამედ იმიტომ, რომ კერძო ინვესტიციების დოლარის ნაკადები განიცდიდნენ მკვეთრ ცვლილებებს. ხშირად ამგვარი პრობლემების გაჩენას ხსნიდნენ მათი ეკონომიკის ფუნქციონირებაში სტრუქტურული ხარვეზების არსებობით. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა იმ ფინანსური კრიზისის დროს, რომელმაც მოიცვა აზია 1997 წელს.

მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ტაილანდში, ინდონეზიასა და სამხრეთ კორეაში მოხდა ტემპების განსაკვივრებელი ზრდა. ინფლაციის გათვალისწინებით მათ შეადგინეს 9 პროცენტი. უცხოელმა ინვესტორებმა ამას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს და მალე აზიური ქვეყნების ეკონომიკა გაავსეს ფინანსური სახსრებით. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში კაპიტალის მოდენა გაიზარდა დაახლოებით ხუთჯერ. ახლა, ამ გადა-

სახედიდან, ეკონომისტები უკვე ამტკიცებენ, რომ ამ ქვეყნებს არ შესწევდათ ძალა გამკლავებოდნენ კაპიტალის ასეთ მოზღვავებას. მართალია, დაგვიანებით, მაგრამ ეკონომისტები მაინც მიხვდნენ, რომ ამ კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი იდებოდა ისეთ სანარმოებში, რომელთაც არ მოჰქონდათ შემოსავალი. მათი აზრით, პრობლემას ის ართულებდა, რომ აზიის მრავალ ქვეყანაში ცუდად იყო ორგანიზებული ზედამხედველობა ბანკებზე, რომლებიც ხშირად იძულებული იყვნენ, ზენოლის ქვეშ, გაეცათ კრედიტები არა ეკონომიკურად ხელსაყრელი, არამედ პოლიტიკური ინტერესებით ნაკარნახევი პროექტების დასაფინანსებლად. როდესაც განვითარების ტემპების ზრდაში ხარვეზები გაჩნდა, ამ პროექტების დიდი ნაწილი ეკონომიკურად არასიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. მრავალი სანარმო გაკოტრდა.

აზიური კრიზისის ამ გამოცდილების გაზიარებით შეერთებულმა შტატებმა და სხვა ქვეყნებმა დაიწყეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კაპიტალის გაზრდა, რათა ფონდს შესაძლებლობა ჰქონოდა წარმატებით გადაეწყვიტა ამგვარი საერთაშორისო ფინანსური პრობლემები. ფონდმა ცნო, რომ გაურკვევლობა და ინფორმაციის უქონლობა ხელს უწყობდა საერთაშორისო საფინანსო ბაზრების ცვალებადობას, და დაიწყო თავისი მოქმედებების საჯაროობის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, შეერთებულმა შტატებმა მოითხოვეს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაყინებული რეკომენდაციით ქვეყნებს განეხორციელებინათ სტრუქტურული რეფორმები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ამის საპასუხოდ მართლაც წაუყენა მოთხოვნა მთავრობებს შეეწყვიტათ პოლიტიკურად ხელსაყრელი პროექტებისათვის კრედიტების გაცემა. ფონდმა მოითხოვა ქვეყნებისაგან გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის რეფორმირება, რათა წამგებიანი სანარმოები მალე დახურულიყო. ეს ხელს შეუწყობდა მათ მიერ ამ ქვეყნების ეკონომიკიდან სახსრების ამოქაჩვის მანკიერი პრაქტიკის შეწყვეტას. საერთაშორისო სავალუტო ფონდი აქტიურად უჭერდა მხარს სახელმწიფო სანარმოთა პრივატიზაციას. იგი, ხშირ შემთხვევაში, მოითხოვდა, რომ ქვეყნებს განეხორციელებინათ სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, კერძოდ, იმ მიზნით, რომ უფრო ფართოდ გაეხსნათ გზა თავიანთი ბაზრებისაკენ უცხოური ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტებისათვის.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დამლევს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, აგრეთვე ცნო, რომ მისი ტრადიციული რეკომენდაციები საგადასახადო ბალანსში პრობლემების მქონე ქვეყნებისათვის, კერძოდ – ხისტი საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულადი პოლიტიკის გატარება, ყოველთვის არ ამართლებდა იმ ქვეყნებში, რომლებიც განიცდიდნენ ფინანსურ კრიზისს. ზოგიერთ შემთხვევაში ფონდმა შეარბილა თავისი მოთხოვნები დეფიციტის შემცირების შესახებ, რათა ქვეყნებს მისცემოდათ შესაძლებლობა გაეზარდათ ხარჯები იმ პროგრამებისათვის, რომლებიც თავის მიზნად ისახავდნენ სიღარიბის მასშტაბების შემცირებას და უმუშევართა დაცვას.

ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე შეიქმნა, აგრეთვე რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი. იგი წარმოადგენს მრავალმხრივ ორგანიზაციას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მსოფლიო ვაჭრობასა და ეკონომიკურ განვითარებას იმ ქვეყნებისათვის ვალის გაცემით, რომლებსაც მსოფლიო ბაზარზე გასასვლელად არ გააჩნიათ საკუთარი ფინანსური სახსრები. მსოფლიო ბანკი კაპიტალს ლებულობს თავისი წევრი-ქვეყნებისაგან, რომელთაც შეაქვთ წვლილი მათი ეკონომიკური მნიშვნელობის პროპორციულად. შეერთებულმა შტატებმა შეიტანეს პირველდანიებითი კაპიტალის დაახლოებით 35 პროცენტი.

თავისი მოღვაწეობის ადრინდელ ეტაპზე მსოფლიო ბანკი ასოცირდებოდა დიდი პროექტების განხორციელებასთან, მაგალითად – კაშხლების მშენებლობასთან. მაგრამ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან-ოთხმოცდაათიან წლებში მან გააფართოვა თავისი მიდგომები ეკონომიკური განვითარებისადმი და დაიწყო მეტი სახსრების ჩადება ისეთ პროექტებში, რომლებიც დაკავშირებული იყო განათლებასთან, პროფესიულ მომზადებასთან და მიზნად ისახავდნენ “ადამიანური კაპიტალის” დაგროვებას, აგრეთვე ქვეყნების მიერ საბაზრო ეკონომიკის მხარდასაჭერად სხვადასხვა ინსტიტუტების შექმნასთან.

რაც შეეხება მომავალ საერთაშორისო სავაჭრო სისტემას, მსოფლიო ვაჭრობაში იაპონიის როლის მზარდი განვითარების გათვალისწინებით, ადრე ბევრი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ მას სერიოზული როლის თამაში შეეძლო, ლიდერობაც კი, მსოფლიო ვაჭრობაში ახალ ინდუსტრიულ სახელმწიფოებთან ერთად. თუმცა, ამ იდეის მომხრეთა რიცხვმა იკლო ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისთვის და ახლა სულ უფრო მეტნი მიიჩნევენ გაერთიანებულ ევროპას ან ჩინეთს პოტენციურ ლიდერებად სავაჭრო სფეროში.

ჯოან სპიროს აზრით, მომავალი საერთაშორისო სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბებაში უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორ გაიაზრებენ დღევანდელი წამყვანი სახელმწიფოები ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოებისა და ახალი ინდუსტრიული სახელ-

მნიშვნელობის როლს ამ სისტემაში. მისი აზრით, ოპეკის წევრ სახელმწიფოებს და ისეთ ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებს, როგორებიცაა ბრაზილია, მექსიკა, არგენტინა და სხვ., სერიოზული სიტყვის თქმა შეუძლიათ საერთაშორისო ბაზარზე, მით უმეტეს, ტაივანს, ტაილანდს, სამხრეთ კორეას, სინგაპურს, მალაიზიას და ფილიპინებს, რომლებსაც ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები აქვთ როგორც განვითარებულ, ასევე მესამე სამყაროს ქვეყნებთან, და რომლებმაც უკვე დაიწყეს მნიშვნელოვანი მასშტაბების ინვესტირება განვითარებულ ქვეყნებში. სპირო მიიჩნევს, რომ უახლოეს მომავალში ეს სახელმწიფოები მოითხოვენ და მიიღებენ კიდევ მონაწილეობას საერთაშორისო სავაჭრო სისტემის მართვაში, და ეს გარდუვალია. გარდა ამისა, უკვე დაიწყო ყოფილი აღმოსავლეთის სისტემის სახელმწიფოების გაერთიანება ბრეტონ-ვუდსის სისტემაში და მათი „ეკონომიკური ამოქაჩვა“ გრძელვადიან პერსპექტივაში კიდევ უფრო გააძლიერებს ერთიანი ევროპის პოზიციებს მსოფლიოში.

ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი იქნება მრავალმხრივი მართვის სისტემა, და თუ ადრე კონფლიქტებისა და თანამშრომლობის საკითხების მოგვარება მნიშვნელოვანწილად მხოლოდ ერთი სახელმწიფოს მიერ ხდებოდა, მომავალში ამაში მონაწილეობას ბევრი სახელმწიფო მიიღებს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მრავალმხრივი მენეჯმენტი (მართვა) მსოფლიო ეკონომიკისა ძალიან ძნელია. ჰეგემონური სტაბილურობის თეორიის მომხრენი ამტკიცებენ, რომ, როგორც ისტორიამ ცხადყო, მხოლოდ ერთი ლიდერის (ჰეგემონის) არსებობის პირობებში იყო შესაძლებელი ხანგრძლივი სტაბილურობის შენარჩუნება.

მეცნიერთა აზრით, მიუხედავად ზოგიერთი მიღწევებისა, მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესი დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან. ჯერ კიდევ მაღალია სავაჭრო ბარიერები, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორიცაა მომსახურების წარმოება და სოფლის მეურნეობა. ურუგვაის რაუნდის დროს ქვეყნები შეეცადნენ გადაეწყვიტათ მომსახურებისა და ვაჭრობის ზოგიერთი საკითხი. მაგრამ მაინც დარჩა სავაჭრო ბარიერები, რომლებიც ეხება მომსახურების სექტორის დაახლოებით 20 სექტორს. მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში მიმდინარე სწრაფი ცვლილებები წარმოშობს ახალ პრობლემებს ვაჭრობის დარგში. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ამერიკელ ექსპორტიორთა დიდ შემოთავაზებას იწვევს ის გარემოება, რომ ევროპული წესები კრძალავს გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებას. მთელი რიგი პრობლემებისა წარმოშვა, აგრეთვე ელექტრონული ვაჭრობის გაჩენამ. 1998 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნების მინისტრებმა გამოაქვეყნეს განცხადება იმის თაობაზე, რომ ქვეყნებმა არ უნდა შეუშალონ ხელი ელექტრონული ვაჭრობის წარმოებას ვაჭრობისა და მომსახურების ელექტრონულ გადაგზავნაზე ბაჟის დანესებით. მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გადაუჭრელია. განვითარებულ სახელმწიფოებს სურთ გადააქციონ ინტერნეტი უტარიფო ზონად, უზრუნველყონ მთელ მსოფლიოში ერთმანეთის კონკურენტი ტელეკომუნიკაციური ბაზრების არსებობა და განამტკიცონ ტარიფულ პროდუქციაზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გლობალური საშუალებები.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (World Trade Organisation)

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია დაარსდა 1995 წელს და ფაქტიურად შეცვალა გატი. მისი შტაბბინა შენევაშია. მმართველი ორგანოა მინისტრთა კონფერენცია, რომელიც იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ. ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს გენერალური საბჭო. მას საფუძვლად უდევს 30-მდე შეთანხმება, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის სამართლებრივ ბაზას. ეს შეთანხმებები თავმოყრილია *ურუგვაის რაუნდის საბოლოო აქტში*, რომლის ძირითადი პრინციპებია: არადისკრიმინაციული დამოკიდებულება ყველა ქვეყნის მიმართ; თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობა; კონკურენციის ხელშეწყობა; განსაკუთრებული დახმარების აღმოჩენა ნაკლებად-განვითარებული ქვეყნებისთვის.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას აქვს სამი ძირითადი მიზანი:

- ხელი შეუწყოს ვაჭრობას;
- მიაღწიოს თანდათანობით ლიბერალიზაციას მოლაპარაკებების გზით;
- დაწეროს დავების სამართლიანი მოგვარების მექანიზმები.
- მისი ერთ-ერთი მიზანია, აგრეთვე პროტექციონიზმთან ბრძოლა.

მესამე სამყაროს ბაჩენა და ეკონომიკური სისტემის სამი ქვესისტემა

მესამე სამყაროს ცნება გაჩნდა ლათინური ამერიკის, ხოლო მოგვიანებით აზიისა და აფრიკის ნაციონალისტური მოძრაობების განვითარების პარალელურად. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, რასობრივი და კულტურული განსხვავება, განვითარებულ სახელმწიფოებთან შედარებით, ნაწილობრივ საფუძველი გახდა მესამე მსოფლიოს ნაციონალიზმისა (*The Global Political Economy, Perspectives, Problems and Policies, Stephen Gill and David Law. The Johns Hopkins University Press, Baltimore, 1993*). თუმცა ეს ნაკლებად ეხება ლათინურ ამერიკას, სადაც პოლიტიკური ელიტა, ოლიგარქია და მმართველი ძალები უმეტესად თეთრკანიანებით არიან წარმოდგენილი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ელიტები ყოველთვის დაინტერესებული იყვნენ დასავლეთზე თავიანთი დამოკიდებულებისა და დაქვემდებარების შემცირებით, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული მათი ეკონომიკების დივერსიფიკაციასა და ინდუსტრიალიზაციასთან.

რაულ პრეზიში პირველი იყო, ვინც დასვა შეკითხვები: რატომ არის საერთაშორისო შრომის დანაწილება ასეთი არათანასწორი? რატომ არიან მესამე სამყაროს ქვეყნები პირველადი, ნედლეული საქონლის ექსპორტიორები და მზა პროდუქციის იმპორტიორები? რამდენად რაციონალურია ასეთი სისტემა?

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო და უფრო დაჟინებით მოითხოვდნენ ახალ საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგს – უფრო სამართლიანს და დამნდობს. როდესაც 1944-1948 წლებში იქმნებოდა ლიბერალური ეკონომიკური სისტემა და მისი თანმდევი ინსტიტუტები (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება), აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოები ნაკლებად იყვნენ ჩაბმულნი ამ პროცესში, ვინაიდან ბევრ მათგანს ჯერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა მოეპოვებინა, და ისინი სწორედ ამით იყვნენ დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს განვითარებადი სახელმწიფოები უმეტესობას წარმოადგენდნენ გაერო-ს გენერალურ ასამბლეაში, სურათი სხვანაირი იყო მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდში. ხოლო, რაც შეეხება, ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალურ შეთანხმებას, იგი განვითარებადი ქვეყნების მიერ საერთოდ აღიქმებოდა მდიდართა კლუბად. განვითარებადი ქვეყნების მცირე შიდა ბაზრების გამო მათ ფაქტობრივად არ გააჩნდათ საიმისო ბერკეტი, რომ რაიმენაირად შეეცვალებათ გადანაწილებები ტარიფების რეგულირებასთან დაკავშირებით. ისინი იმ ეტაპზე მოითხოვდნენ, რეალობიდან გამომდინარე, ანგარიში გაენიათ მათი ახალშობილი ეკონომიკებისათვის და უფლება მისცემოდათ ესარგებლათ შეღავათიანი ტარიფებით.

1974 წელს მოთხოვნა ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის შესახებ გაცხადდა გაეროს მაისის რეზოლუციაში. რეზოლუციის მიღება დაკავშირებული იყო ოპეკის წარმატებებთან, როდესაც მან მოახერხა ნავთობზე მაღალი ფასების დაწესება. ამის შედეგად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებიდან არნახული თანხები შევიდა ოპეკის წევრ სახელმწიფოებში. ეს წარმატება გადაჭარბებულად იყო შეფასებული მესამე სამყაროს ქვეყნების მიერ. მათ გადანაწილებას, რომ ოპეკი ნათელი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ შეეძლოთ განვითარებადი ქვეყნებს სერიოზული როლის შესრულება მსოფლიო ეკონომიკაში. ამასთან, არ იყო გათვალისწინებული და ბოლომდე გააზრებული ნავთობზე განვითარებული სახელმწიფოების მოთხოვნილების მნიშვნელობა.

ის განვითარებადი სახელმწიფოები, რომლებიც ნავთობის იმპორტს ეწოდნენ ოპეკიდან, მხარს უჭერდნენ ან, ყოველ შემთხვევაში, არ აკრიტიკებდნენ ოპეკს, ვინაიდან მათ იმედი ჰქონდათ, რომ მიიღებდნენ გარკვეულ სავაჭრო შეღავათებს ოპეკისაგან; მიიღებდნენ ეკონომიკურ დახმარებას ოპეკის ზოგიერთი სახელმწიფოსგან; მიბაძავდნენ ოპეკს და მიიღებდნენ მხარდაჭერას ოპეკის სახელმწიფოებისაგან ახალი ეკონომიკური წესრიგის მოთხოვნის საქმეში.

ნავთობი ძლიერი ინსტრუმენტი იქნებოდა მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის განვითარებულ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების დროს. ამასთან ოპეკის წევრ ქვეყნებსაც ესმოდათ, რომ არ უნდა დაეშვათ თავიანთ წინააღმდეგ განვითარებული სახელმწიფოებისა და განვითარებადი ნავთობის იმპორტიორი ქვეყნების ალიანსი.

1981 წლის ნავთობის კრიზისმა ოპეკი დაასუსტა. პარალელურად დასუსტდა განვითარებული სახელმწიფოების ისედაც სუსტი „ვაჭრობის პოზიციები“ მოლაპარაკებების დროს. ამასთან დასავლეთი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ოპეკის სახელმწიფოების სიძლიერე დიდად არის დამოკიდებული მოთხოვნაზე ნავთობზე, ხოლო მოთხოვნას განაპირობებენ

სწორედ ისინი, განვითარებული ქვეყნები.

განვითარებადი სახელმწიფოების მცდელობა მიეღოს საბჭოთა კავშირის დახმარება, ასევე წარუმატებლად დამთავრდა. საბჭოთა კავშირის დახმარება სამხედრო დახმარებით უფრო შემოიფარგლებოდა, ვიდრე ეკონომიკურით. მას არ შეეძლო და არ უნდოდა საზღვრები გაეხსნა განვითარებადი სახელმწიფოების პროდუქციისათვის, ეს ადვილიც არ იქნებოდა გეგმიური ეკონომიკის პირობებში. ამგვარად, განვითარებადი სახელმწიფოებს, მათ შორის „სოციალისტურებსაც“, დასავლეთთან უფრო ინტენსიური ვაჭრობა ჰქონდათ, ვიდრე საბჭოთა ბლოკთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავად განვითარებადი ქვეყნების კავშირიც არ შედგა. ამის მიზეზი მრავალია: განსხვავებები იდეოლოგიაში, კულტურაში, რელიგიაში (განსაკუთრებით სუნიტებისა და შიიტების დაპირისპირება), ინდუსტრიალიზაციის დონეში და სხვ. ამას ემატება რეგიონალური შუღლები და უთანხმოებები საზღვრებთან დაკავშირებით. შესაბამისად ვერ გაამართლა თითქმის ვერც ერთმა ეკონომიკურმა კავშირმა, რომელთა შექმნის მცდელობებიც არა ერთხელ იყო.

რადიკალური სახელმწიფოების აზრით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ლიბერალური საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი ქვეყნების უთანასწორობისა და სიმდიდრის არათანაბრად გადანაწილების მთავარი მიზეზია.

გილპინის აზრით (*The Political Economy of International Relations*), მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებული სახელმწიფოების მხრივ იყო არა ერთი მცდელობა დახმარებოდნენ პოსტკოლონიურ და მესამე სამყაროს სხვა ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაში, ეს პროცესი არ იყო თანმიმდევრული და, ხშირ შემთხვევაში, სამართლიანი. ამის მაგალითია აფრიკის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, ლათინურ ამერიკაში დაწყებული ეკონომიკური ზრდის შეწყვეტა 80-იან წლებში და დასავლეთის მთელი ყურადღების კონცენტრირება შორეულ აღმოსავლეთზე (ახალი ინდუსტრიული ქვეყნები).

ახალი ინდუსტრიული ქვეყნები

ახალ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს „აზიურ ვეფხვებსაც“ უწოდებენ. ეს სახელმწიფოებია: ტაივანი, ტაილანდი, სამხრეთ კორეა, ფილიპინები, მალაიზია, სინგაპური, ჰონკონგი და ინდონეზია (გარკვეული მოსაზრებებით ლათინურამერიკული სახელმწიფოები ბრაზილია, მექსიკა, არგენტინა და ჩილეც მიეკუთვნებიან ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სიას). ეს სახელმწიფოები მეოცე საუკუნის მოვლენაა. ისინი საოცრად სწრაფი ტემპით განვითარდნენ და გარკვეული წონა მოიპოვეს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. მათი განვითარების საწინდარი იყო ინდუსტრიული დარგების ამუშავება და სამრეწველო საქონლის ექსპორტის დაწყება. თუმცა ინდუსტრია არ არის ერთადერთი სფერო, რომელიც განავითარეს ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა. მათ სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს მეცნიერებატევად დარგებში, ბიოტექნოლოგიაში, ზეგამტარობის სფეროში, ენერჯის ალტერნატიული წყაროების გამოყენებაში, რობოტმშენებლობაში და სხვ. უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზნით ეს ქვეყნები ქმნიდნენ და ქმნიან საექსპორტო სანარმოო ზონებს, სადაც საგარეო ბაზარზე ორიენტირებული საქონელი ინარმოება. უმეტესად ისინი იქმნება ნავსადგურებთან და აეროპორტებთან ახლოს და იქ ყველა შესაძლო პირობაა შექმნილი სწრაფი და მაქსიმალურად იაფი წარმოებისათვის (შელავათიანი საგადასახადო რეჟიმი, გაფიცვების აკრძალვა, სხვ.).

ამ ქვეყნების წარმატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იაფი მუშახელის არსებობამ და შრომატევადი დარგების შემოსვლამ განვითარებული ქვეყნებიდან. თუმცა უმთავრესი, ალბათ, მაინც ამ ქვეყნების მთავრობების მიერ არჩეული სწორი ეკონომიკური სტრატეგიაა. გილპინის აზრით, ამ ქვეყნებში მნიშვნელოვანი იყო ის, რომ არსებობდა ძლიერი სახელმწიფო და ეკონომიკური ბიუროკრატია, რომელსაც უნარი შესწევდა ჩამოეყალიბებინა პრიორიტეტები, განეხორციელებინა მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკა და გაეტარებინა საჭირო და ხშირად არაპოპულარული რეფორმები. ეკონომიკის მესვეურებმა შეძლეს ვაჭრობა, ინვესტირება და სხვა ეკონომიკური საქმიანობა ეწარმოებინათ ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებმა მოახერხეს კონსტრუქციული თანამშრომლობა და შეიმუშავეს აპოლიტიკური ინდუსტრიული პოლიტიკა, რომელიც ორივეს ინტერესს და, საბოლოო ჯამში, ქვეყნების ინტერესებს პასუხობდა. და ბოლოს, რაც, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ქვეყნებმა უზარმაზარი ინვესტიციები ჩადეს განათლებასა და ადამიანურ რესურსებში.

ახალი ინდუსტრიული ქვეყნების წარმატება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს გლობალური სიღარიბის თემას. ის ფაქტი, რომ რამდენიმე დაქვემდებარებულმა და სუსტმა ქვეყანამ

მოახერხა ასეთი სწრაფი ტემპებით განვითარება და ბევრი განვითარებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპის გადაჭარბებაც კი, ბაღებს შეკითხვას: რატომ განვითარდნენ ისინი და რატომ ვერ განვითარდნენ მათი მსგავსი სხვა განვითარებადი ქვეყნები? რა იყო ის სწორი ნაბიჯი, რამაც მათ ასეთი განვითარების საშუალება მისცა?

ამ ქვეყნების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩვენთვის, როგორც სუსტი სახელმწიფოს წარმომადგენლებისათვის, და, რა თქმა უნდა, იმედის მომცემიც.

გაგრძელება თუ არა ახალი ინდუსტრიული ქვეყნების აღმასვლა და შესაძლებელია თუ არა, რომ სხვა სახელმწიფოებმაც გაიმეორონ მათი გზა, დიდად არის დამოკიდებული გლობალური ეკონომიკის ზრდის ტემპებზე, განვითარებული სახელმწიფოების ბაზრების გახსნილობაზე და ინდუსტრიული ტექნოლოგიის ცვალებადობაზე.

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ქვესისტემები

ამერიკელი ეკონომისტი ჯოან ედელმან სპირო თავის წიგნში (*The Politics of International Economic Relations*) გვთავაზობს საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის დაყოფას სამ ქვესისტემად. გლობალური სისტემის ამგვარად დანაწილება, რა თქმა უნდა, პირობითია, რადგან ეს ქვესისტემები ერთმანეთისაგან გამოყოფილი და იზოლირებული არ არის. მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები თითოეულ ქვესისტემაში მაინც სპეციფიურია და საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფი სახელმწიფოების მდგომარეობა და ქცევა საერთაშორისო სისტემაში.

დასავლეთის (ურთიერთდამოკიდებულების) ქვესისტემა

ეს ქვესისტემა, რომელსაც ასევე ურთიერთდამოკიდებულების ქვესისტემას უწოდებენ, მოიცავს ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპისა და იაპონიის მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებს. ჯოან სპირო აქვე აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ამ ქვესისტემაში ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის გაერთიანებაც (*The Politics of International Economic Relations, Joan Edelman Spero, Fourth Edition*). ისინი უამრავი ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო, ტექნოლოგიური და სხვ. კავშირით მჭიდროდა არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მათ შორის ამგვარი ურთიერთობა ჩამოყალიბდა და განვითარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამაში უდიდესი როლი შეასრულა ე.წ. ბრეტონ-ვუდის სავალუტო-საფინანსო სისტემამ და ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალურმა შეთანხმებამ. საერთაშორისო რეჟიმმა, რომელიც აშშ დოლარზე და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურ და სამხედრო ჰეგემონიაზე იყო დაფუძნებული. ორივე ხსენებულმა რეჟიმმა ხელი შეუწყო ამ ქვესისტემის სახელმწიფოებში ეკონომიკურ აღმავლობას, წარმოების გაშლას, ექსპორტის ზრდას, ტექნოლოგიურ პროგრესს და აშ. ამან საერთაშორისო საფინანსო და სავაჭრო აქტივობა, საფინანსო ბაზრების ინტერნაციონალიზაცია და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, ხსენებულ სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება მოიტანა. ამ ქვესისტემის შიგნით ჩამოყალიბდა ევროპის სახელმწიფოთა ინტეგრაცია და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ინტეგრაცია (NAFTA - North American Free Trade Agreement – ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. დაარსდა 1994 წელს. თავდაპირველად აერთიანებდა აშშ-ს, კანადასა და მექსიკას. მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის გაინტენსიფირებას. ითვალისწინებს ტარიფების შემცირებას, წევრი სახელმწიფოებისათვის სავაჭრო სფეროში შეღავათების მინიჭებას და სხვ.).

მკვეთრად გაზრდილმა ურთიერთდამოკიდებულებამ და ინტეგრაციამ, მართალია, კეთილდღეობა მოუტანა ამ სახელმწიფოებს, მაგრამ მათ გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები შეუქმნა. თითქოს ურთიერთდამოკიდებულება უფრო სწრაფად განვითარდა, ვიდრე მისი მართვის, მენეჯმენტის საშუალებები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვესისტემის სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გამო განვითარებული ეროვნული ეკონომიკა სხვა მონაწილეთა ეკონომიკური პოლიტიკისა და ვითარების მიმართ მეტად მგრძნობიარეა. ერთის ავადმყოფობა გადადის მეორეზე. ერთი ქვეყნის მონეტარულ, სავაჭრო და ინვესტიციათა პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები უშუალო გავლენას ახდენენ სხვა სახელმწიფოების იმავე სფეროებზე. უარყოფითი მოვლენები, როგორცაა უმუშევრობა, წარმოების დაცემა, ინფლაცია და სხვ., ამ შემთხვევაში საზღვრებს არ სცნობს.

გარდა ამისა, ცალკეული სახელმწიფოების პოზიციებიდან თუ ვიმსჯელებთ, ურთიერთდამოკიდებულების პირობებში ჩარევა ხდება სახელმწიფო პოლიტიკასა და ეკონომიკაში. იგი ასუსტებს ეროვნული ქვეყნის მართვას. თითქოს სადღაც ზღუდავს ეროვნულ ინტერესებსაც კი. ჯონ სპიროს აზრით, სულ უფრო იზრდება დაძაბულობა სახელმწიფო და საერთაშორისო მენეჯმენტებს შორის, ვინაიდან ხშირად ეროვნულ მთავრობას უწევს რთული და კომპლექსური საშინაო პრობლემების მოსაგვარებლად ჯერ ურთიერთდამოკიდებულებით გამონვეული პრობლემების მოგვარებაზე ფიქრი.

დასავლეთის ქვესისტემა არის ლიბერალური. ამ ქვესისტემის მთავარი ნიშნებია: მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება და მაღალგანვითარებული ქვეყნები ლიბერალური ეკონომიკით და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი მთავრობებით.

ჩრდილოეთ-სამხრეთის (დამოკიდებულების) ქვესისტემა

ამ ქვესისტემაში მკაფიოდ გამოხატული დაპირისპირება და დაქვემდებარება შეინიშნება განვითარებულ (დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა და იაპონია) და განვითარებად (აფრიკა, აზია და ლათინური ამერიკა) ქვეყნებს შორის. დასავლეთის ქვესისტემისგან განსხვავებით, ამ ქვესისტემაში გაერთიანებული სახელმწიფოები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეკონომიკის განვითარების დონით და საერთო ეროვნული პროდუქტით ერთ სულ მოსახლეზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი განვითარებადი სახელმწიფოს მდგომარეობა გარკვეულწილად უმჯობესდება, აბსოლუტური განსხვავება შემოსავლებში უცვლელია.

უმთავრესი პრობლემა ამ უთანასწორო ქვესისტემისა არის დამოკიდებულება (დაქვემდებარება). დაქვემდებარება არსებობს, როდესაც სამხრეთის სახელმწიფოებს ეკონომიკური ინტერაქციის მაღალი დონე გააჩნიათ ჩრდილოეთის ქვეყნებთან, როდესაც ეს ინტერაქცია ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკისათვის და, შესაბამისად, სამხრეთის სახელმწიფოები დამოკიდებულები ხდებიან ჩრდილოეთში მიმდინარე მოვლენებზე და ჩრდილოეთის სახელმწიფოების ქმედებებზე. ჩრდილოეთის სახელმწიფოებისათვის კი ეს ინტერაქციები არ არის ხარისხობრივად მნიშვნელოვანი. ამგვარად, ურთიერთდამოკიდებულება არის სიმეტრიული მოვლენა, მაშინ, როდესაც დამოკიდებულება – ასიმეტრიული.

დაქვემდებარების სხვადასხვა ფორმები არსებობს.

არის სავაჭრო დაქვემდებარება – სამხრეთის სახელმწიფოების უმეტესობის შიდა ბაზრები პატარაა და ისინი მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი ჩრდილოეთის ბაზრებზე, რათა გაიტანონ და გაყიდონ თავიანთი საქონელი. შესაბამისად სამხრეთი ძალიან მგრძობიარეა ჩრდილოეთში არსებული ფაქტორების მიმართ, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური, რომლებიც ქმნიან ჩრდილოეთის მოთხოვნას და გავლენას ახდენენ ვაჭრობაზე. გარდა ამისა, სამხრეთის ქვეყნების ვაჭრობის უდიდესი პროცენტი ხშირად მოდის ჩრდილოეთის რომელიმე ერთ კონკრეტულ სახელმწიფოზე, რაც კიდევ ერთხელ აძლიერებს მის დამოკიდებულებას ამ კონკრეტულ ბაზარზე. სამხრეთი, როგორც წესი, ყიდის ერთ ან რამდენიმე პირველად პროდუქტს, ამიტომ ძალიან მგრძობიარეა ამ პროდუქტებზე მოთხოვნილების რხევადობაზე. თანაც, ყიდის უმეტესად ნედლეულს და ნახევარფაბრიკატს, რაც ბევრად უფრო იაფია, ვიდრე მზა პროდუქტია. ამგვარად, სუსტი ქვეყნები ვაჭრობაში ექსპორტზე ხდებიან დამოკიდებულნი, რათა მიღებული შემოსავლით მოახერხონ იმპორტის ხარჯების დაფარვა. ხოლო ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატის ღირებულება ბევრად ნაკლებია მზა პროდუქტის ფასთან შედარებით, ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი არ ყოფნის იმპორტს, და ეს მუდმივი პროცესია.

დაქვემდებარების მეორე ფორმაა დაქვემდებარება კაპიტალდაბანდების სფეროში. სამხრეთის ქვეყნებში შიდა კაპიტალდაბანდებები უცხოურია. ამიტომ, უცხოური კაპიტალდაბანდებები აკონტროლებს ამ ქვეყნის ნამყვან დარგებს. დაქვემდებარების დონე, აქედან გამომდინარე, ძალიან მაღალია და ვითარდება არა ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, არამედ ჩრდილოეთისათვის მისაღები და ხელსაყრელი სფეროები.

დაქვემდებარების მესამე ფორმაა ფინანსური. სუსტი ქვეყანა იღებს დახმარებას საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, რომელიც იტოვებს უფლებას უკარნახოს ქვეყანას ეკონომიკის წარმოების პოლიტიკა და ჩაერიოს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ფონდი ქვეყანას უყენებს გარკვეულ პირობებს, რომლებიც მან უნდა შეასრულოს. მოთხოვნების არშესრულების შემთხვევაში ფონდს აქვს ქვეყნის დასჯის ბერკეტებიც (მომდევნო ტრანშის არგაცემა, ფინანსური დახმარების შეწყვეტა, შავ სიაში შეყვანა, აშ.).

სუსტი ქვეყნები იღებენ სესხებს, აგრეთვე, განვითარებული სახელმწიფოების კერძო კომერციული ბანკებისგან.

სუსტი ქვეყნის ფინანსური დაქვემდებარების კიდევ ერთი მაჩვენებელია განვითარებული ძლიერი ქვეყნების კომერციული ბანკებისადმი დავალიანება. უცხოური დახმარება ქმნის დაქვემდებარებას. პოლიტიკური თვალსაზრისით, სუსტი ქვეყნები ექვემდებარება იმ ორგანიზაციების გადანყვეტილებებს, რომლებშიც მათ ხმის უფლება არ გააჩნიათ (მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი). სუსტი ქვეყნები გათიშულია ყველა მნიშვნელოვანი გადანყვეტილების მიღებისგან, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სუსტია. თუმცა ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო საფინანსო-სავალუტო ორგანიზაციებს და განვითარებულ სახელმწიფოებს თავიანთი მოსაზრებები აქვს. მათი აზრით, სამხრეთის ქვეყნებში თითქმის ყველა სფეროში ფართოდ გავრცელებული კორუფციის გამო, მიღებული თანხა (დახმარება) არაკეთილსინდისიერად იხარჯება, რაც, რა თქმა უნდა, აძნელებს შემდგომში თანხის დაბრუნებას და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, იმ დარგის ან სფეროს განვითარებას, რომლისთვისაც იყო ის თანხა გამიზნული. გარდა ამისა, განვითარებულ სახელმწიფოებს მაგალითად მოჰყავთ ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, რომლებმაც შეძლეს დახმარების მიზნობრივად გამოყენება, თავიანთი ეკონომიკის გიგანტური ნაბიჯებით განვითარება და, შესაბამისად, დაქვემდებარებისთვის გარკვეულწილად თავის დაღწევა.

ზემოთ აღნიშნული ეკონომიკური დაქვემდებარებები, ჩვეულებრივ, კიდევ უფრო ძლიერდება სხვა სახის ურთიერთობებით ჩრდილოეთთან: კულტურული კავშირები, სხვადასხვა სახის ალიანსები და ხელშეკრულებები, არაფორმალური პოლიტიკური კავშირები და სამხედრო კავშირები, დაწყებული სამხედრო დახმარებით და დამთავრებული სამხედრო ინტერვენციით. ჯოან სპიროს აზრით, სამხრეთის სახელმწიფო იმ ინსტიტუტების მიერ მიღებული გადანყვეტილებების საგანი ხდება, რომლებშიც მას ბევრის თქმის უფლება არ აქვს. მსოფლიო ეკონომიკის მართვიდან სამხრეთის სახელმწიფოების გამორიცხვის ყველაზე ნათელი მაგალითებია ისეთი ეკონომიკური ინსტიტუტები ჩრდილოეთში, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ეს ის ინსტიტუტებია, რომლებიც შეიქმნა განვითარებული სახელმწიფოების მიერ და, რომლებიც გამოხატავენ მათ ინტერესებს. ჩრდილოეთის განვითარებული სახელმწიფოების ეკონომიკური გადანყვეტილებები გავლენას ახდენს განვითარებადი სახელმწიფოების ეკონომიკურ ზრდაზე. ამგვარად, სამხრეთის ქვეყნების აზრით, არსებული სისტემა არის არაკანონიერი, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ გადანყვეტილების მიღების უფლება და ისინი რეალურად ვერ იღებენ მონაწილეობას ამ სისტემის მართვაში. არსებული საერთაშორისო ნებსრიგი სამხრეთის დაქვემდებარების შენარჩუნების ინსტიტუტად აღიქმება ამ ქვეყნების მიერ და უკვე მრავალი წელია მის შეცვლას მოითხოვენ. მათი სურვილია მონაწილეობა მიიღონ სისტემის მართვაში და სრულად ისარგებლონ ამ სისტემის სიკეთებით.

ყოველივე ამის შემდეგ უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური დაქვემდებარება პოლიტიკური დაქვემდებარების საწინდარია და პოლიტიკურ გადანყვეტილებებს სუსტ სახელმწიფოებს ძლიერები ახვევენ თავს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ქვესისტემა

ამ ქვესისტემას დამოუკიდებლობის ქვესისტემასაც უწოდებენ. მასში მოიაზრება სოციალისტური ქვეყნები და დასავლეთის განვითარებული სახელმწიფოები, დასავლეთის საბაზრო ეკონომიკა და სოციალისტური ქვეყნების გეგმიური ეკონომიკა. ცივი ომის პერიოდში ისინი იზოლირებული იყვნენ ერთმანეთისგან და მათ შორის კავშირები ნაკლებად იყო. მათ შექმნეს თავიანთი ეკონომიკური ინსტიტუტები. აღმოსავლეთი არ მონაწილეობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდში, მსოფლიო ბანკსა და გატში. აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ვაჭრობა უმნიშვნელო იყო და არ ხდებოდა კაპიტალისა თუ ინვესტიციების ბრუნვა. დღეისათვის ეს ქვესისტემა ირღვევა და იგი ფაქტიურად აღარ არსებობს.

აღმოსავლეთის ქვეყნების შესაძლო გადასვლა სხვა სისტემაში ქმნის მრავალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემას. აქედან გამომდინარე, ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო ეკონომიკაში სამი ძირითადი პრობლემაა: ურთიერთდამოკიდებულების კონტროლი დასავლეთის სისტემაში, თანასწორობის მიღწევა და ეკონომიკური დაქვემდებარების მოხსნა, დასავლეთ-აღმოსავლეთის ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერება და ამის ხარჯზე აღმოსავლეთის ეკონომიკის გაძლიერება (დასავლეთის ეკონომიკასთან მიახლოება და შემდეგ გათანაბრება).

ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია (Organisation of Petroleum Exporting Countries – OPEC)

ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია (ოპეკი) არის თერთმეტი განვითარებადი ქვეყნისაგან შემდგარი საერთაშორისო ორგანიზაცია. დაარსდა 1960 წლის სექტემბერში ბალდადის კონფერენციაზე. პირველი ხუთი წელი შტაბბინა იყო ჟენევაში. 1965 წლიდან კი – ვენაშია. მისი წევრები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ნავთობიდან მიღებულ შემოსავალზე, როგორც შემოსავლის ძირითად წყაროზე და ეს სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ამ ქვეყნების ეკონომიკისათვის. ოპეკს ჰყავს ხუთი დამაარსებელი ქვეყანა: ირანი, ერაყი, ქუვეითი, საუდის არაბეთი და ვენესუელა. შემდეგ შეუერთდნენ: კატარი (1961წ.), ინდონეზია (1961წ.), ლიბია (1962წ.), არაბეთის გაერთიანებული საემიროები (1967წ.), ალჟირი (1969წ.), ნიგერია (1971წ.), ეკვატორი (1973-1992წ.) და გაბონი (1975-1994წ.).

მათგან ეკვატორმა და გაბონმა მეოცე საუკუნის 90-იან წლებში დატოვეს ორგანიზაცია.

ოპეკის დაარსებას ეწინააღმდეგებოდნენ სერიოზული ნავთობკომპანიები, რომლებიც, ძირითადად, აშშ-ს ბრიტანეთსა და გერმანიას ეკუთვნოდა. ოპეკს სურდა ნავთობის ფასების და მწარმოებლების გადასახადების შემცირება. თავიდან იგი მუშაობდა როგორც არაფორმალური გაერთიანება, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებებს მესამე სამყაროს მიერ ნავთობის გაყიდვასთან დაკავშირებით. იმ პერიოდში მისი საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლებოდა დასავლეთის ნავთობკომპანიებთან თანამშრომლობით და ნავთობის ხარისხის კონტროლით.

ორგანიზაციის წევრობა თავისუფალია ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომელიც წარმოადგენს ნავთობის სოლიდურ ექსპორტიორს და იზიარებს ორგანიზაციის იდეალებს.

თერთმეტი წევრი ერთობლივად ბაზარს მიაწოდებს ნავთობის მთელი პროდუქციის 40%-ს და ფლობს მსოფლიო ნავთობის დადასტურებული მარაგის 3/4-ზე მეტს. უფრო კონკრეტულად, ოპეკი ფლობს 78%. აქედან ყველაზე დიდი წილი მოდის საუდის არაბეთზე, შემდეგ მოდიან ირანი, ერაყი, ქუვეითი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ვენესუელა, ლიბია, ნიგერია, კატარი, ალჟირი და ინდონეზია. მათგან საუდის არაბეთის, ირანისა და ერაყის მარაგები შეადგენს ოპეკის მთელი მარაგის 57%-ს.

ოპეკის მიზანია კოორდინირება გაუწიოს წევრი სახელმწიფოების პოლიტიკას ნავთობთან მიმართებაში, რათა უზრუნველყოს სამართლიანი და სტაბილური ფასები ნავთობპროდუქციაზე, ეფექტური, ეკონომიური და რეგულარული მინოდება მომხმარებელი სახელმწიფოებისათვის და კაპიტალის სამართლიანი დაბრუნება მათთვის, ვინც ინვესტირება მოახდინა ინდუსტრიაში.

ოპეკის მინისტრთა კონფერენცია იკრიბება წელიწადში ორჯერ და იგი პასუხისმგებელია ორგანიზაციის ზოგადი პოლიტიკის ფორმულირებაზე.

ოპეკის სამდივნო მუდმივმოქმედი მთავრობათაშორისო ორგანოა. იგი დაფუძნებულია ვენაში. სამდივნოს ოფიციალური ენაა ინგლისური.

ოპეკის დახმარებით, მისი წევრი ქვეყნები ექსპორტიდან მნიშვნელოვნად მეტ მოგებას იღებენ, ვიდრე ისინი ამას დამოუკიდებლად მიიღებდნენ. ოპეკის ოფიციალური ინტერნეტ-გვერდის მონაცემებით, 2004 წელს ოპეკის თერთმეტმა წევრმა მიიღო 338 მილიარდი აშშ დოლარი ნავთობის ექსპორტიდან. 2003 წელთან შედარებით ეს რიცხვი 42%-ით გაიზარდა. იგივე ინტერნეტ-გვერდზე დაყრდნობით შეგვიძლია შევადაროთ ეს რიცხვები 1972 წლის მონაცემებს, როდესაც ექსპორტიორებმა მიიღეს 23 მილიარდი აშშ დოლარი, ან 1977 წლის მონაცემებს, როდესაც 1973 წლის ენერგო კრიზისის შემდეგ ექსპორტიორმა ქვეყნებმა 140 მილიარდი აშშ დოლარი მიიღეს.

ნავთობი იყიდება ამერიკულ დოლარში და, შესაბამისად, მისი კურსი ძალიან დიდ გავლენას ახდენს ოპეკზე, მაგ., თუ დოლარის კურსი ეცემა, მაშინ ოპეკის წევრები ნაკლებ თანხას იღებენ თავიანთ ვალუტაში, რაც უარყოფითად აისახება მათ გადამხდელუნარიანობაზე. ევროს შემოღების შემდეგ ოპეკის რამდენიმე წევრ სახელმწიფოს, მათ შორის ერაყს, მცდელობა ჰქონდა ნავთობის გაყიდვები ევროზე გადაეყვანათ, თუმცა უშედეგოდ, თუ ამ მოსაზრებას ოპეკის ყველა წევრი გაიზიარებდა, მაშინ აშშ-ს ეკონომიკას სერიოზული ზარალი მიადგებოდა.

ოპეკის გადაწყვეტილებები დიდ გავლენას ახდენს ნავთობის საერთაშორისო ფასებზე. მაგალითად, 1973 წლის ენერგოკრიზისის დროს ოპეკმა უარი განაცხადა ნავთობის ექსპორტზე დასავლეთის ქვეყნებში (აშშ და დასავლეთ ევროპა), რომლებიც მხარს უჭერდნენ ისრაელს იომ ქიფურის ანუ ოქტომბრის ომში ეგვიპტისა და სირიის წინააღმდეგ. ამან განაპირობა ნავთობის ფასის გაოთხმაგება, რამაც ხუთ თვეს გასტანა, 1973 წლის 17 ოქტომბრიდან 1974 წლის 18 მარტამდე.

ენერგოკრიზისი გამონვეული იყო არაბ-ისრაელის კონფლიქტით. ემბარგომდე ინდუსტრიული დასავლეთი, და განსაკუთრებით აშშ, ოპეკიდან ნავთობს იღებდა საკმაოდ იაფად. 1945-

1970 წლებში დასავლეთმა და იაპონიამ მოიხმარეს უფრო მეტი ნავთობი და მინერალები, ვიდრე მთელი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე. ნავთობის გამოყენება აშშ-ში გაორმაგდა 1950-1974 წლებში.. ამ პერიოდში აშშ-ის მოსახლეობა შეადგენდა მსოფლიო მოსახლეობის 6% და მოიხმარდა მსოფლიოს ნავთობის 33%.

ვინაიდან ოპეკის სახელმწიფოები ნავთობს აშშ დოლარებში ყიდდნენ და ამასთან, ნავთობის ფასი დოლარებში იყო დაფიქსირებული, ნებისმიერი ცვლილება აშშ-ის ეკონომიკაში აისახებოდა ოპეკის სახელმწიფოების ეკონომიკაზე. ხოლო, ვინაიდან მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ამერიკაში, ბუნებრივია, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები ამ მოვლენებისგან იზოლირებულნი ვერ დარჩნენ. ამერიკის პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი 70-იანი წლების დასაწყისში არასახარბიელო ვითარებაში აღმოჩნდა. ფასების ზრდა და ეკონომიკური სტაგნაცია უმწვავესი საკითხები იყო. 1971 წელს ნიქსონმა შეაჩერა დოლარის კონვერტაბელურობა ოქროში. დასრულდა ვალუტების მცოცავი კურსების ერა, რაც ფაქტიურად ბრეტონ-ვუდსის სისტემის დაშლას ნიშნავდა. ამის შემდეგ დოლარი ოქროსთან შედარებით 8%-ით გაუფასურდა 1971 წლის დეკემბერს და შემდეგ ისევ გაუფასურდა 1973 წელს.

გაუფასურებამ გამოიწვია მსოფლიოს ეკონომიკისა და პოლიტიკის არამდგრადობა. ამასთან ერთად, 70-იანი წლების დასაწყისში, დოლარის გაუფასურება დაემთხვა ნავთობის ფასის დაცემას დოლარებში. ამან გაამყარა ამერიკელი ბიზნესმენების მდგომარეობა იაპონელებთან და ევროპელებთან შედარებით. მაგრამ დოლარის კურსის დაცემამ და დევალვაციამ გამოიწვია მესამე სამყაროს ნედლეულის მწარმოებელთა უკმაყოფილება. ისინი მიხვდნენ, რომ სიმდიდრე ხელიდან ეცლებოდათ და მათი შემოსავლები და ქონება ცოტა ხნის წინ ბევრად უფრო ღირებული იყო, ვიდრე ახლა. ამან განაპირობა ბრძოლა მსოფლიოს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისათვის და დასავლეთმა და ოპეკის წევრმა სახელმწიფოებმა უფრო კონსტრუქციულ შეთანხმებებს მიაღწიეს რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით. თუმცა, ოპეკის წევრი ქვეყნები მიიჩნევდნენ, რომ ისინი მეტის ღირსნი იყვნენ. ამას ერთვოდა ოპეკის არაბული სახელმწიფოების უკმაყოფილება აშშ-სა და მისი მომხრეების პროებრაული პოლიტიკით რეგიონში – ისრაელმა მიიღო დახმარება, რათა შეწინააღმდეგებოდა ეგვიპტისა და სირიის ჯარებს. ოპეკმა დასავლეთის დასჯა გადაწყვიტა – განვითარებული ქვეყნები, რომლებიც ძლიერ იყვნენ დამოკიდებული ოპეკის ნავთობზე, კიდევ უფრო დამოკიდებული გაეხადათ და ეს დამოკიდებულება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ოპეკმა ნავთობის მიყიდვა აშშ-სთვის, დასავლეთ ევროპისა და იაპონიისთვის.

ბევრი სხვა გაერთიანებებისაგან განსხვავებით, ოპეკმა წარმატებას მიაღწია ნავთობის ფასის დიდი ხნით ზრდაში. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის საუდის არაბეთს, რომელმაც შეამცირა თავისი პროდუქცია, რომ გაეთანაბრებინა ოპეკის მთლიანი წარმოება, რადგან ზოგმა წევრმა თავის წილს გადააჭარბა. ამ მხრივ, საუდის არაბეთის წევრობა ორგანიზაციისათვის დიდი პლიუსია, ვინაიდან, დანარჩენ წევრებს შორის ის ერთადერთია, რომელსაც გააჩნია იმდენად სოლიდური რეზერვი, რომ საჭიროების შემთხვევაში შეუძლია რესურსებით მანევრირება.

ოპეკის პოლიტიკა წარმატებული გამოდგა. მან შეძლო დაუმუშავებელი ნავთობისა და დამუშავებული და განმწიდილი ნავთობის ფასების გათანაბრება. მაგრამ ოპეკს არ შეუძლია ფასების უსასრულოდ გაზრდა. ფასის გაზრდას დიდი ხნის განმავლობაში შეუძლია ოპეკის მთლიანი სისტემის შეცვლა, რაც გამოიწვევდა მომხმარებლის მიერ ნავთობის მაგივრად ალტერნატიური ენერჯის გამოყენებას.

ნავთობის ფასის გაზრდასთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა ირანის შაჰმა: „რა თქმა უნდა მსოფლიოს ნავთობის ფასი გაიზრდება, რა თქმა უნდა! და როგორ? თქვენ (დასავლელი ნაციები) ხორბლის ფასი, რომელსაც ჩვენ მოგვყიდით 300%-ით გაზარდეთ, იგივე გააკეთეთ ცემენტსა და შაქარზე, თქვენ ყიდულობთ ჩვენ დაუმუშავებელ ნავთობს და მერე უკან მოგვყიდით მას, უბრალოდ გადამუშავებულს, ასჯერ უფრო ძვირად... ერთადერთი სამართალი ის იქნება, თუ თქვენ ნავთობზე მეტს გადაიხდით. 10-ჯერ უფრო მეტს“ (*New York Times*, 1973).

როგორც უკვე აღინიშნა, მსოფლიოს ნავთობის შოკი დაიწყო 1973 წლის 17 ოქტომბერს, როდესაც ოპეკის არაბმა წევრებმა იომ ქიფურის ომის დროს განაცხადეს, რომ აღარ მიაწვდიდნენ ნავთობს იმ ქვეყნებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ისრაელს ეგვიპტესთან კონფლიქტში, ანუ აშშ-სა და მის მოკავშირე დასავლეთ ევროპას. ამავე დროს, ოპეკის წევრმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს მსოფლიოს ნავთობის ფასები გაეთხმავებინათ და მათ ეს შეძლეს. ამას ბევრი ექსპერტი ოპეკის სერიოზულ გამარჯვებად მიიჩნევს. ამავე დროს, ეს კარგი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ იყვნენ დასავლეთის განვითარებული სახელმწიფოები დამოკიდებული ოპეკზე. ეს განსაკუთრებით მტკივნეულად აისახა აშშ-ზე, დასავლეთ ევრო-

პაზე, კანადასა და იაპონიაზე. მაგ., კანადაში ამ პერიოდში ინფლაციამ შეადგინა 10%, ხოლო უმუშევრობა გაიზარდა 7%-ით. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ დასავლეთის სერიოზული შემფოთება გამოიწვია და კიდევ ერთხელ გაამახვილებინა მათ ყურადღება იმ პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაძაბულობაზე, რომელიც უკვე დიდი ხანი არსებობდა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.

გარდა ამისა, ეს გამარჯვება იმედისმიმცემი იყო მესამე სამყაროს სხვა ქვეყნებისათვის, რომლებიც ოპეკის ქვეყნები მსგავსად ანტიდასავლურად იყვნენ განწყობილნი.

ნავთობის ფასის გაზრდას სერიოზული შედეგები მოჰყვა. აზიის ქვეყნებმა, რომლებიც ინდუსტრიულ ძალებში დომინირებდნენ, დაიწყეს სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების გაკონტროლება. ნავთობის ექსპორტის მწარმოებელმა ქვეყნებმა დააგროვეს კაპიტალი. შემოსავლის გარკვეული ნაწილი დაიხარჯა გაერთიანების შექმნაში, რომელიც უნდა დახმარებოდა სხვა განვითარებად ქვეყნებს, რომელთა ეკონომიკაც კრიზისს განიცდიდა. მათ შემოსავალი არ ჰქონდათ, რადგან დასავლეთი თავის პროდუქტებში ძალიან ძვირს ითხოვდა, ეს ქვეყნები კი დაუმუშავებელ ნავთობს იაფად ყიდდნენ. ამ ფულის უმეტესი ნაწილი ელიტის ხელში ხვდებოდა, რომელიც კვლავ აბანდებდა მას დასავლეთში ან ამ თანხას თავისთვის იტოვებდა. ასევე ამ ფულის დიდი ნაწილი არმიის შესყიდვაში დაიხარჯა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა პოლიტიკური დაძაბულობა აზიაში.

საუდის არაბეთმა ოპერატიულად დაანესა კონტროლი არამკოზე, რომლის ნაციონალიზაციაც მოახდინა 1980 წელს. ასევე ოპეკის სხვა წევრებიც ასრულებდნენ ყველა მოთხოვნას, სწორედ ამიტომ გაერთიანების შემოსავალი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. საუდის არაბეთმა შემოსავლების გაზრდასთან დაკავშირებით შეიმუშავა ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაიწყო 1980 წელს და მის განხორციელებაში დაიხარჯა 250 მილიარდი აშშ დოლარი. გაერთიანების სხვა წევრებმაც შეიმუშავეს განვითარების პროგრამები.

ენერგოკრიზისმა ნამდვილი ქაოსი წარმოქმნა დასავლეთში. აშშ-ში ბენზინის გალონის ცალობითი ფასი 1973 წლის მაისში იყო 38.5 ცენტი და 1974 წლის ივნისში 55.1 ცენტამდე გაიზარდა. ამის გამო ნიუ-იორკის ბირჟამ 97 მილიარდი დოლარი ექვს კვირაში დაკარგა.

დასავლურ ქვეყნებში ნავთობის ექსპორტის აკრძალვის დასაწყისში, აშშ-ში ყოველდღიურად 1,2 მილიონი ბარელის ნაცვლად, 19000 ბარელი ნავთობი შედიოდა. მისი მოხმარება 1973 წლის სექტემბრიდან თებერვლამდე 6.1%-ით შემცირდა, ხოლო 1974 წლის ზაფხულში კი 7%-ით. აშშ-ში იყო სანავის მწვავე უკმარისობა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად მოხდა.

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები არც კი ელოდნენ, რომ მათ გადაწყვეტილებას ასეთი შედეგი მოჰყვებოდა. მათ დაინახეს, რომ არაკომუნისტურ, ინდუსტრიულ სამყაროში შესაძლებელია ასეთი ინფლაცია და, ზოგადად, ეკონომიკის ასეთი კრიზისი. ინდუსტრიულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკაში, ამ კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა უმუშევრობის პრობლემა და განსაკუთრებით იმოქმედა ისეთ სოციალურ ჯგუფებზე, რომლებსაც მცირე შემოსავალი ჰქონდათ. აშშ-ში სკოლები და ოფისები ხშირად იხურებოდა სანავის ეკონომიის მიზნით, ქარხნები ამცირებდნენ პროდუქციის წარმოებას და სამსახურიდან ითხოვდნენ თანამშრომლებს.

ნავთობის ექსპორტის აკრძალვა მთლიან ევროპას არ შეეხო. ევროპის ეკონომიური გაერთიანების ცხრა წევრიდან ყველაზე მეტად გერმანია დაზარალდა, რადგან მან მხარი დაუჭირა ისრაელს და ამერიკელებს თავისი საჰაერო სივრცის გამოყენების უფლება მისცა. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი უწყვეტად იღებდნენ ნავთობს, რადგან მათ უარი უთხრეს ამერიკას თავისი საჰაერო სივრცის გამოყენებაში და ნეიტრალური პოზიცია დაიჭირეს არაბეთ-ისრაელის კონფლიქტში. დანარჩენ ექვს წევრს ნავთობის მიწოდება მხოლოდ ნაწილობრივ შეუმცირდათ. დიდი ბრიტანეთი ტრადიციულად იყო ისრაელის მოკავშირე და ჰაროლდ ვილსონის მთავრობა მხარში ედგა ისრაელს ექვსდღიანი ომის დროს, მაგრამ დიდი ბრიტანეთის მომდევნო პრემიერ-მინისტრმა, ტედ ჰესმა არ გააგრძელა ეს პოლიტიკა და მოუხმო ისრაელს დათანხმებოდა საზღვრების ცვლილებას. ამგვარად, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრებმა ვერ მიიღეს საერთო პოლიტიკური გადაწყვეტილება იომ ქიპურის ომის პირველი თვის განმავლობაში. გაერთიანებამ საბოლოოდ თავისი აზრი 6 ნოემბერს დააფიქსირა, როდესაც ნავთობის ექსპორტი უკვე აკრძალული იყო და ნავთობის ფასებიც განუხრელად იზრდებოდა. ეს გადაწყვეტილება განხილული იყო როგორც პროარაბული და ამიტომ ოპეკმა აკრძალვა გაერთიანების წევრებზე არ გამოიყენა. მაგრამ ფასის გაზრდამ უფრო დიდი გავლენა მოახდინა ევროპაზე, ვიდრე საერთოდ ნავთობის აკრძალვამ, განსაკუთრებით კი დიდ ბრიტანეთში (სადაც ისინი ახდენდნენ ინდუსტრიული აქციისა და ქვანახშირის მალარობის კომბინაციას).

აშშ-ში ენერგოკრიზისის დაძლევის მიზნით სპეციალური ენერგეტიკის დეპარტამენტი შეიქმნა. დაიწყო ენერჯის რაციონალიზაციაზე აქტიური ფიქრი. დაწესდა გრაფიკი ბენზინზე და მძლღობს მხოლოდ გარკვეულ დღეებში შეეძლოთ ბენზინის ჩასხმა. მანქანებით მოძრაობა მხოლოდ დაბალი სიჩქარით შეიძლებოდა ბენზინის ეკონომიურად მოხმარების მიზნით. ასევე სპეციალური პოლიტიკა შემუშავდა სინათლის მოხმარებასთან დაკავშირებით. ამისთვის საათიც კი გადანიეს დღის შუქის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით.

სხვა ნავთობიმპორტიორი განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, იაპონია ყველაზე კარგ მდგომარეობაში იყო მსოფლიო ენერგოკრიზისის შემდეგ. ამ ქვეყანამ, რეალობის გათვალისწინებით, სასწრაფოდ დაიწყო ისეთი დარგების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც ყველაზე ნაკლებად საჭიროებდა ენერგორესურსებს. იაპონიის წარმატებები რობოტმშენებლობასა და, ზოგადად, მაღალტექნოლოგიურ სფეროში, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. ამასთან, იაპონელმა მანქანათმშენებლებმა მეორე რევოლუცია მოახდინეს და ძველებური დიდი მანქანების მაგივრად პატარა, კომპაქტური და ეკონომიური მანქანების გამოშვება დაიწყეს. სპეციალისტების აზრით, 1973 წლის კრიზისი იყო მთავარი ფაქტორი იმისა, რომ იაპონია ჩამოშორდა ნავთობის ინდუსტრიას და უზარმაზარი ინვესტიციები ელექტრონიკაში ჩადო.

1974 წელს ვაშინგტონის კონფერენციაზე მოლაპარაკებების შემდეგ ნავთობზე ემბარგო მოიხსნა, მაგრამ კრიზისის შედეგები ამის შემდეგ უფრო აშკარა გახდა. ნავთობის ფასის ზრდა გაგრძელდა კიდევ ერთი წელი და დოლარი, როგორც ვალუტა, საგრძნობლად დასუსტდა.

ენერგო-კრიზისის ერთ-ერთი შედეგია ის, რომ ქვეყნები სერიოზულად დაფიქრდნენ ისეთი ენერჯის მიღებაზე, რომლის განახლებაც და აღდგენაც შეიძლებოდა, განსაკუთრებით ხის საწვავზე. აიწყო მზისა და ქარის ენერჯის ინტენსიური კვლევები. კრიზისმა ასევე განაპირობა ჩრდილო-ამერიკაში არსებული ნავთობის ჭაბურღილების შესწავლა და ათვისება. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ დაარწმუნა დასავლეთი ბირთვული ენერჯისა და ნახშირის მნიშვნელობაში.

კრიზისის გამო გამოიგონეს მრავალი უფრო ეფექტური მანქანა, ხალხი კი ალტერნატიული ენერჯის ძიებაში იყო, ამიტომ ნავთობის ფასები თავისთავად დაეცა და 1973 წლის კრიზისის კვალი ნელ-ნელა ქრებოდა. აშშ კვლავ იყენებს ნავთობს თავის მოსახლეობასთან შედარებით გაცილებით მეტ პროპორციებში.

1981 წლიდან ოპეკის პროდუქციის ხარისხმა იკლო და მას სხვა ქვეყნების პროდუქცია გაცილებით სჯობდა. თან, მასში განევრიანებული ქვეყნები ერთმანეთში ვერ თანხმდებოდნენ. საუდის არაბეთი ცდილობდა ყველაზე დიდი წილი აეღო, იგი ყიდდა ყველაზე ძვირ ნავთობპროდუქციას, რის გამოც ნაკლებს ან საერთოდ არ იღებდა შემოსავალს. ამის გამო ეს ქვეყანა იძულებული გახდა შეემცირებინა ნავთობის ფასი. ნავთობის ფასმა პიკს 1979 წელს მიაღწია, მაშინ ერთი ბარელი შავი ოქრო 80 აშშ დოლარი ღირდა. 1980-იანი წლების დასაწყისში ეს რიცხვი შემცირდა და 38 დოლარი შეადგინა. მთლიანობაში, შავი ოქროს გაიაფება დიდი წარმატება იყო ნავთობმომხმარებელი ქვეყნებისათვის (იაპონიისათვის, ევროპისათვის და განსაკუთრებით – მესამე სამყაროსთვის).

ამავე დროს, ნავთობის ფასის დაცემამ სერიოზული პრობლემა შეუქმნა ჩრდილოეთ ევროპასა და სპარსეთის ყურის რეგიონს, ასევე რამოდენიმე მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანას, რომელთა ეკონომიკაც ძლიერ იყო დამოკიდებული ნავთობზე. მაგალითად, მექსიკა, ნიგერია, ალჟირი და ლიბანი ნავთობის გაიაფებით ეს ქვეყნები გამოუვალ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ნავთობის გადაჭარბებულმა წარმოებამ მსოფლიო ბაზარზე 1980-იანი წლებში წარმოშვა ზედმეტი პროდუქცია, ნავთობის ფასები დაეცა და ამ ფაქტმა ოპეკში უთანხმოება გამოიწვია. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების – ვენესუელის, ნიგერიისა და მექსიკის ეკონომიკა ფასების ვარდნის გამო სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, საუდის არაბეთის უძლიერესი ეკონომიკაც კი დასუსტდა. განხეთქილებამ ოპეკში უფრო გაართულა მდგომარეობა

ბევრის აზრით, 1973 წლის კრიზისმა კარგად დაანახა მსოფლიოს, თუ რამდენად დამოკიდებულნი არიან დასავლეთის განვითარებული ქვეყნები ნავთობზე და მის მომწოდებელ ქვეყნებზე. შესაბამისად, დღეს აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ნავთობწარმოების რეგიონები დასავლეთის მუდმივი ინტერესის სფერო იქნება და ტრადიციულ რეგიონებად მოიაზრება. ნავთობის პოლიტიკა კი კვლავაც დარჩება საშიშ და რისკიან პოლიტიკად.

ბრიტანეთში 2004 წლის იანვარში გამოქვეყნდა ოცდაათი წლის წინანდელი დოკუმენტები. მათ მიხედვით აშშ-ის პოლიტიკური ელიტა 1973 წლის ენერგო-კრიზისის დროს განიხილავდა საუდის არაბეთსა და ქუვეიტში შეჭრის იდეას, რომლი მიზანიც იყო ამ ქვეყნების ნავთობის ჭაბურღილებზე კონტროლის დამყარება. თუმცა, ეს გეგმები უარყოფილი იყო, როგორც დროებითი ეფექტის მომტანი და, საბოლოო ჯამში, უშედეგო.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისა და ოპეკის ურთიერთობაში ყოველთვის შეიმჩნეოდა დაძაბულობა. იმ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც არსებობს მათ შორის,

დადებითის გარდა უარყოფითი მხარეებიც აქვს. რამდენიმე თვის წინ ამერიკის პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნისათვის ერთ-ერთი სტრატეგიული საკითხია ენერგო-უზრუნველყოფა და რომ ქვეყანამ ინტენსიურად უნდა დაიწყოს ენერჯის ალტერნატიული წყაროების მოძიება და დანერგვა. ეს კიდევ ერთი ნათელი ილუსტრაციაა იმისა, რომ დასავლეთი არ არის მშვიდად იმ ფაქტით, რომ ის ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორც ენერჯეტიკაა, დამოკიდებულია ისეთ არასტაბილურ და ძნელად შესაცნობ სახელმწიფოებზე (რამდენიმეს გარდა, რომლებსაც აშკარად პროდასავლური კურსი აქვთ), როგორც ოპეკის წევრებია.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი ბოლო ხანებში გადაიქცა საუდის არაბეთის შემდეგ მეორე ყველაზე მსხვილ ნავთობექსპორტიორ ქვეყანად. მას ასევე გააჩნია დადასტურებული და ჯერ აუთვისებელი მარაგები არქტიკასა და სხვა ძნელად მისადგომ რეგიონებში, რაც ბუნებრივია, გააძვირებს მოპოვებით სამუშაოებს. რუსეთი არ არის ოპეკის წევრი, მაგრამ ექსპერტები სულ უფრო ხშირად საუბრობენ ოპეკის ალტერნატიული ორგანიზაციის შექმნის შესაძლებლობაზე. მომავალი ორგანიზაციის წევრებად მოიაზრებიან რუსეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი და ირანი.

გლობალიზაცია

რას ეძახიან დღეს გლობალიზაციას და რატომ არის ეს ტერმინი ასეთი აქტუალური დღევანდელ მსოფლიოში? ამ თემაზე დავობენ არა მარტო სპეციელისტები, არამედ სოციალური მეცნიერებებიდან შორს მყოფნიც. გარდა ამისა, ხშირად გლობალიზაციის არსის გადმოსაცემათ შეცდომით იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა: „ვესტერნიზაცია“, „ინტერნაციონალიზაცია“, „ამერიკანიზაცია“ და სხვ. თავად მეცნიერთა შორის არის აზრთა სხვადასხვაობა გლობალიზაციის შესახებ და მათ მიერ გლობალიზაციის ერთიანი განსაზღვრებაც კი არ არის შემუშავებული. ამას ერთვის ის, რომ გლობალიზაციის პროცესი, როგორც არ უნდა განვსაზღვროთ იგი, განუხრელად მიმდინარეობს და ყველა ქვეყანასა და მათ ყველა მოქალაქეს ეხება. გაჩნდა ისეთი ტერმინებიც, როგორებიცაა „გლობალისტი“ და „ანტი-გლობალისტი“. ანტიგლობალისტური გამოსვლები დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

ანტიგლობალისტურად განწყობილი ბეკი გლობალიზმზე საუბრისას წერს: „გლობალიზმი – ესაა აზრობრივი ვირუსი, რომელიც ბოლო დროს შეეყარა ყველა პარტიას, ყველა რედაქციას, ყველა ინსტიტიტუტს. მის დოგმატს წარმოადგენს არა ის, რომ ადამიანებმა ეკონომიკურად უნდა იმოქმედონ, არამედ ის, რომ ყველაფერი, პოლიტიკა, მეცნიერება, კულტურა – ეკონომიკურ პრიმატს უნდა ემორჩილებოდეს. ამით ნეო-ლიბერალისტური გლობალიზმი თავის დაუძინებელ მტერს – მარქსიზმს მოგვაგონებს“ (რა არის გლობალიზაცია? უ. ბეკი. გვ. 156).

გლობალიზაციის მოწინააღმდეგეები ასევე თვლიან, რომ ეს პროცესი ნეოლიბერალების მოგონილი და წამოწყებულია, ვინაიდან ეს მათ პოლიტიკურ ინტერესებში შედის. გლობალიზაცია, მათი აზრით აკნინებს სუვერენული სახელმწიფოებისა და მათიმთავრობების როლს საერთაშორისო სისტემაში. ამ მოსაზრებას გლობალიზაციის პროპონენტები კატეგორიულად არ ეთანხმებიან და მიაჩნიათ, რომ გლობალიზაციამ კი არ შეზღუდა ეროვნული მთავრობების როლი, არამედ სხვა ფუნქცია შესძინა მათ. ასე მაგალითად, ეროვნული მთავრობები ახლა უფრო ხშირად ხვდებიან ერთმანეთს საქმიანი შეხვედრებით, ვიდრე ეს ოდესმე მომხდარა. გარდა ამისა, ყველა ეკონომიკური თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება საერთაშორისო დონეზე მიიღება ურთიერთშეთანხმებით და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით. სწორედ ეროვნული მთავრობების დამსახურებაა ის, რომ გლობალიზაციის პროცესი საერთოდ დაიწყოს და იგი ასე თანმიმდევრულად მიმდინარეობს. ოპონენტები ამის საპირისპიროდ განვითარებად ქვეყნებს ასახელებენ, რომლებიც ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისგან გათიშულნი არიან.

გლობალიზმის პროცესის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი აცხადებენ, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს საერთაშორისო ტრანსაქციები უფრო ინტენსიურადაც კი მიმდინარეობდა, ვიდრე დღეს, ანუ სავაჭრო და საფინანსო ბრუნვა (აქ აბსოლუტური რაოდენობის ბრუნვა არ იგულისხმება, რაც, ნათელია, თანამედროვე მაჩვენებელზე მაღალი

ვერ იქნებოდა) არ ჩამოუვარდებოდა და, ხშირ შემთხვევაში, აღემატებოდა კიდევ დღევანდელ მაჩვენებლებს. როგორც ჰერსტი და ტომფსონი აღნიშნავენ, ვინაიდან 1870-1914 წლებში საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვა ყოველწლიურად 3,4%-ით იზრდებოდა და მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 33%-ს შეადგენდა, ანუ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე დღეს, გლობალიზაციაზე, როგორც თანამედროვე მოვლენაზე საუბარი არ არის მიზანშეწონილი და მეტიც, ეს უბრალოდ მითია. გლობალიზაციის მიმართ სკეპტიკურად განწყობილები ერთ-ერთ არგუმენტად ასახელებენ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდს, როდესაც ეკონომიკური ტრანსაქციების ინტენსივობამ მნიშვნელოვნად იკლო იმ პროტექციონისტული პოლიტიკის გამო, რომლის გატარებაც დაიწყეს დასავლეთის სახელმწიფოებმა. განსაკუთრებით უარყოფითი როლი შეასრულა აშშ-ის მიერ მიღებულმა სმუთ-ჰოლდის აქტმა, რომელიც ამ ქვეყნის ისტორიაში ყველაზე პროტექციონისტული კანონი იყო. შემოსულ საქონელზე ტარიფების გაზრდით, ამერიკამ ფაქტიურად აიძულა სხვა სახელმწიფოები, შეენწყვიტათ მასთან სავაჭრო ურთიერთობები და მეტიც, იგივე ნაბიჯები გადაედგათ, ანუ ასევე მოემატებინათ ტარიფები იმპორტზე. ამ ისტორიულ მაგალითზე დაყრდნობით გლობალიზაციის სკეპტიკოსები ასკვნის, რომ პირველ რიგში გლობალიზაციის პროცესი არ არის ახალი მოვლენა, და მეორე – ის არის სხვა, უფრო ფართო, პროცესის ნაწილი, რომელიც არათანმიმდევრულია და სერიოზული ცვალებადობებით გამოირჩევა. შესაბამისად, მათი აზრით, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან აგორებული ახალი ტალღა აუცილებლად შეიცვლება, ვინაიდან სავარაუდოა, რომ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფოები კვლავ ჩაკეტავენ საზღვრებს და დაუბრუნდებიან პროტექციონიზმს.

ამ მოსაზრების არ ეთანხმებიან გლობალიზაციის მომხრეები და მიიჩნევენ, რომ მსოფლიო ომებს შორის პერიოდის ეკონომიკური კრიზისი სწორედ იმის შედეგი იყო, რომ ქვეყნებს ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდათ გათვითცნობიერებული ღია ვაჭრობისა და ეკონომიკის ყველა სფეროში ინტენსიური ტრანსაქციების როლი. მათი აზრით, კრიზისი გამოწვეული იყო იმით, რომ სახელმწიფოებმა არა ლიბერალური, არამედ პროტექციონისტური მოსაზრებებით იხელმძღვანელეს. თუმცა, აქვე აღნიშნავენ, რომ ეს შეცდომა კარგად გააანალიზეს დასავლეთის სახელმწიფოებმა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში ამის დასტურია.

ბევრი მეცნიერის აზრით, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება და პირდაპირ უკავშირდება ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტებს. მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი საფინანსო სფეროში, ხოლო გატი – სავაჭრო სფეროში, ახალი ეკონომიკური წესრიგის ქვაკუთხედს წარმოადგენდნენ. პირველი ორი ორგანიზაციის მიზანი იყო შეენარჩუნებინათ ვალუტის სტაბილური კურსი, ხელი შეეწყობთ ომისაგან დასუსტებული ევროპის სახელმწიფოების ეკონომიკური გამოჯანსაღებისათვის, ფინანსური დახმარება აღმოეჩინათ ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელსაც ეს ესაჭიროებოდა და, ზოგადად, დაემკვიდრებინათ ლიბერალური ეკონომიკური ღირებულებები. გარდა ამისა, დადგინდა ვალუტების ფიქსირებული კურსი, ანუ სახელმწიფოებმა თავიანთი ეროვნული ვალუტები აშშ დოლართან მიმართებაში განსაზღვრეს, ხოლო დოლარი შეეფარდა ოქროს. გატის საქმიანობა ითვალისწინებდა ტარიფების დანევის ხელშეწყობას და სავაჭრო სფეროს ლიბერალიზაციას. იმ პერიოდში სავაჭრო ბრუნვა თითქმის ოთხჯერ გაიზარდა. სავაჭრო და საფინანსო სისტემების ლიბერალიზაციას მოჰყვა საინვესტიციო კლიმატის ლიბერალიზაცია და ქვეყნებმა გახსნეს საზღვრები საერთაშორისო ინვესტიციებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ბრეტონ-ვუდსის სისტემამ დიდი ხანი ვერ იარსება და 1971 წელს მან ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა, გლობალისტების პროპონენტების აზრით, საფუძველი ჩაეყარა თვისებრივად ახალ, შეუქცევად პროცესს, რომლის საბოლოო მიზანიც არის ერთიანი ეკონომიკის შექმნა. ამ პროცესში, ბუნებრივია, ეროვნული ეკონომიკა ველარ იქნება განცალკევებული და, როგორც ზურაბ დავითაშვილი აღნიშნავს, დღევანდელ პირობებში სახელმწიფოები ისე არიან ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებული, რომ არც ერთი ეროვნული ეკონომიკა არ შეიძლება ჩაითვალოს „საშინაოდ“. ეს არის მსოფლიო, სადაც ერთ ქვეყანაში შეგიძლია შეიძინო ნედლეული, მეორე ქვეყანაში გადაამუშავო იგი, მესამეში – შექმნა მისგან პროდუქტი, მეოთხეში – შეფუთო, მეხუთეში – გაყიდო, ხოლო მეექვსეში – გაუნით ყველაფერ ამას კოორდინაცია. ანუ, ეს არის წარმოების პროცესი საზღვრებს გარეშე, როგორც მას მეცნიერები უწოდებენ. მისი არსი ისაა, რომ ერთი წარმოების პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარეობს. წარმოების ასეთ პროცესს ბევრი უპირატესობა აქვს. მათგან აღსანიშნავია: წარმოების ეკონომიურობა, რომელიც განპირობებულია დიდი მასშტაბებით; არჩევანის მრავალფეროვნება, რაც გულისხმობს იმას, რომ წარმოების პროცესში შესაძლებელია შეირჩეს ნედლეული, დანადგარები, ადამიანური რესურსები და სხვ. ყველაზე ხელსაყრელ ფასში

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან; მობილურობა, რაც გულისხმობს მოგების გაზრდის მიზნით სანარმოს გადატანას მსოფლიოს ერთი კუთხიდან მეორეში; და, ბოლოს, ის ეფექტურობა, რომელიც მიიღწევა პროცესის ასეთი დანაწილების შედეგად დაზოგილი დროით. წარმოების ასეთი ტიპის ფართოდ გავრცელება მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება და მისი თანმდევი პროცესია მოსახლეობის მიგრაცია, რაც, თავის მხრივ, შრომის გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილია.

გლობალური წარმოების განვითარების შედეგია ე.წ. „სპეციალური ეკონომიკური ზონები“, სადაც ადგილობრივი მთავრობების მიერ დანესებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი ან საერთოდ გათავისუფლებულია საექსპორტო და საიმპორტო გადასახადებისაგან. პირველად ასეთი ზონები ევროპაში შეიქმნა, თუმცა მოგვიანებით ფართო გავრცელება ჰპოვა ლათინურ ამერიკაში, კარიბის კუნძულებზე და, განსაკუთრებით, შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ასეთი ზონების შექმნა ახალი ინდუსტრიული ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტადაც იქცა. გასულ საუკუნეში ამ ქვეყნების საოცარი ტემპებით განვითარების ერთ-ერთ მიზეზად ბევრი სწორედ მათ ასეთ ეკონომიკურ პოლიტიკას მიაწერს.

გლობალური წარმოების შედეგად მიღებული პროდუქტი, ბუნებრივია, გლობალური პროდუქტია, რომელიც ასევე გლობალურ ქსელებში იყიდება (ბენეტონი, ნაიკი, გეპი, პეჟო, რენო და მრავალი სხვა).

გლობალურ წარმოებაში ჩაბმულ კომპანიებს ტრანსნაციონალური კორპორაციები ეწოდება. მათი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ მათი დედა-კომპანია არის ერთ ქვეყანაში, ხოლო შვილობილი კომპანიები – სხვა ქვეყნებში. მათ ფაქტიურად არ გააჩნიათ ეროვნება და, თავისთავად, არ სცნობენ საზღვრებს. დღეს მსოფლიოში დაახლოებით 60 ათასი ტრანსნაციონალური კომპანიაა და მათი რიცხვი განუხრელად იზრდება. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს 100 ყველაზე მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიის აქტივების თითქმის ნახევარი იმ სახელმწიფოების საზღვრებს გარეთაა, სადაც სათავო ოფისებია, ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ თავიანთ სახელმწიფოებშია.

ვაჭრობის გლობალიზაციაზე საუბარი გატით უნდა დავიწყოთ. ამ ორგანიზაციამ, როგორც უკვე აღვნიშნე, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ვაჭრობის ლიბერალიზაციას და ნიადაგი მოამზადა სავაჭრო ურთიერთობების ინტენსიფიკაციისათვის. გატის შემცვლელი – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია იგივე მიზანს ემსახურება, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობასა და ვაჭრობაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

თუმცა, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, თავად „თავისუფალი ბაზრის“ იდეის ავტორები და გამტარებლებიც მიმართავენ ხოლმე პროტექციონისტულ ზომებს ვაჭრობაში. დღეს დასავლეთი ძირითადად იცავს თავის ბაზარს ახალი ინდუსტრიული ქვეყნების პროდუქციისაგან.

ბეკი ეჭვქვეშ აყენებს იმ მოსაზრებას, რომ გლობალიზებული ეკონომიკა საუკეთესოა მსოფლიოში კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად და მიაჩნია, რომ „თავისუფალი ვაჭრობა“, დღევანდელი გაგებით, ძალიან შორს არის დევიდ რიკარდოსეული მოდელისაგან. მესამე სამყაროს და ევროპის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეკონომიკის დაბალი დონე და გავრცელებული უმუშევრობა აიძულებს ამ ქვეყნების მთავრობებს გაატარონ ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა, რითაც ზარალდება სოციალური და ეკოლოგიური სტანდარტები. ეს ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებიან განვითარებული სახელმწიფოებიდან ინვესტიციების მოზიდვაში. საუბარი იმაზე, რომ თავისუფალი ვაჭრობით გამოწვეული კონკურენცია ამცირებს დანახარჯებს და ამიტომ ის ორმხრივად ხელსაყრელია, ბეკის აზრით, ცინიზმია, ვინაიდან დანახარჯების შემცირება შესაძლებელია ან გაზრდილი ეკონომიურობით (უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიები, უკეთესი მენეჯმენტი, სხვ.) ან ადამიანისათვის შესაბამისი სამუშაო პირობების არშექმნით. ამგვარად, ბეკის აზრით, ასეთი გზით მიღწეული დანახარჯების შემცირება „ტრანსნაციონალური მეკობრეობის გვიანდელ ვარიანტს“ ჰგავს. ბეკი ასევე იშველიებს მაქს ვებერის მოსაზრებას, რომელიც მან ჯერ კიდევ 1894 წელს გამოთქვა თავის ნაშრომში – ისეთი მსოფლიო ეკონომიკა, როგორც შექმნაც საბოლოოდ სურთ დღევანდელ ლიბერალებს, ანუ მსოფლიო სახელმწიფოების გარეშე და კაცობრიობის კულტურული დონის სრული გათანაბრება – სრული უტოპიაა.

ვაჭრობის გლობალიზაციაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ვაჭრობის ელექტრონულ ფორმას. ის ფართოდ იწყებს გავრცელებას მეოცე საუკუნის ბოლო პერიოდიდან და, თავის მხრივ, ინფორმაციის გლობალიზაციის შედეგია. სწორედ ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელი გახდა სახლიდან გაუსვლელად რამდენიმე წამში ნებისმიერი პროდუქციის შეძენა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. ვაჭრობის ამ ფორმაში უგულვებელყოფილია დროისა და ტერიტორიული სიშორის ფაქტორები. თუმცა ინტერნეტ-ვაჭრობა გარკვეულ სირთულეებს

წარმოშობს, როგორცაა, მაგალითად, გადასახადების საკითხი. იყო მცდელობები დაწყებულიყო განხილვები ინტერნეტ-ვაჭრობის დაბგვრასთან დაკავშირებით, მაგარმ სერიოზული წინააღმდეგობის გამო, ვერ მოხერხდა. ვაჭრობის გლობალურობის კიდევ ერთი მაგალითია ელექტრონული პლასტიკური ბარათების ფართო გავრცელება, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია ფინანსურ გლობალიზაციასთან. პლასტიკური ბარათებით შესაძლებელია პროდუქციის შექმნა ან მომსახურებით სარგებლობა ნებისმიერ ქვეყანაში.

ფინანსების გლობალიზაციის დასაწყისად, როგორც უკვე აღინიშნა, ბრეტონ-ვუდსის შემდგომ პერიოდს მიიჩნევენ, როდესაც საუბარი დაიწყო ერთიანი საფინანსო რეჟიმის შექმნაზე და სახელმწიფოების მიერ ერთობლივი საფინანსო პოლიტიკის შემუშავებაზე. ფინანსური გლობალიზაციის საბოლოო მიზანია ერთიანი საფინანსო ბაზრის ჩამოყალიბება. ხოლო რაც შეეხება გლობალურ ვალუტას, პირველად ამ ფუნქციის შესრულება დოლარმა დაიწყო, 2002 წელს კი ევროს შემოღებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ფინანსური გლობალიზაციის არსებობა. გლობალური აქტივებიც ფინანსები გლობალიზაციის შედეგია.

ბანკების უმეტესობა ტრანსნაციონალურ საქმიანობას ეწევა. მათი ნებისმიერი ფილიალიდან მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეიძლება ფულის გაგზავნა ან სხვა ტრანსნაციონალური ფინანსური ოპერაციის განხორციელება. გარდა ამისა, ბანკებმა დაიწყეს სესხების გაცემა სხვა ქვეყნებში და კრედიტორების საქმიანობას ელექტრონული კავშირით ახორციელებენ.

ფინანსური გლობალიზაცია იცავს ქვეყნებს ფინანსური კრიზისებისაგან და საშუალებას აძლევს მათ პრობლემების დროს სხვა სახელმწიფოების დახმარებით ისარგებლონ. თუმცა, ფინანსური გლობალიზაციის დადებით მხარეებთან ერთად, მის უარყოფით თვისებებზეც საუბრობენ. ფინანსური ბაზრების ასეთი ინტენსიური და მჭიდრო კავშირის პირობებში არც ერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული ე.წ. „დომინოს პრინციპისაგან“, ანუ როდესაც ერთ ქვეყანაში შექმნილი ფინანსური პრობლემები ყველა მის პარტნიორზე ვრცელდება.

ოფშორული ცენტრები ასევე ფინანსური გლობალიზაციის შედეგია. ასეთი ზონები გამარტივებული მომსახურებით და შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით, განსაკუთრებით, გავრცელებულია ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებსა და კარიბის კუნძულებზე და ინვესტორთა მოზიდვას ისახავს მიზნად.

კაპიტალის ისეთ ინტენსიურ ბრუნვას, როგორც დღეს არის, ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვება. კაპიტალი ჭეშმარიტად გლობალური გახდა და, უგულებელყოფს რა საზღვრებს, მიემართება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, სადაც სწრაფი და მაღალი მოგება აქვს გარანტირებული. თუმცა აქ აღსანიშნავია, რომ განვითარებადი ქვეყნები მუდმივად უკმაყოფილონი არიან განვითარებული ქვეყნების პოლიტიკით კაპიტალდაბანდების სფეროში და მიაჩნიათ, რომ გლობალიზაციის სიკეთებით ამ სფეროშიც განვითარებულმა სახელმწიფოებმა ისარგებლეს. მათ საშუალება მიეცათ თავიანთი კაპიტალი მიემართათ იმ ქვეყნებისკენ და იმ სფეროებისკენ, რომლებიც მათთვის იყო მომგებიანი. მიმღები ქვეყნების ინტერესები კი არასოდეს არის გათვალისწინებული. განვითარებადი ქვეყნების აზრით, ამგვარად დაბანდებული კაპიტალი მათ ქვეყანას არ ეხმარება განვითარებაში და მეტიც, მათ პრობლემებს უქმნის. ამის მიზეზი კი ის არის, რომ განვითარებადი ქვეყნები ვერ აკონტროლებენ უცხოურ კაპიტალს და ვერ მოქმედებენ მასზე თავისი შეხედულებებისამებრ. თუმცა, ბიზნესის წარმოებისას კომერციული ინტერესი არა თუ მიმღები სახელმწიფოს, არამედ ეროვნულსაც კი ნაკლებად ექვემდებარება.

კაპიტალბრუნვის ინტენსიფიკაციასთან ერთად გლობალიზაციის ერთ-ერთი მისი ახალი ფორმებიც მოიტანა. ფართო გავრცელებას პოვებს კაპიტალდაბანდების განხორციელება ტელეფონებისა და ინტერნეტის საშუალებით.

წარმოებისა და ვაჭრობის გლობალიზაციის ერთ-ერთი შედეგია შრომის გლობალიზაცია, რასაც, თავის მხრივ, მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია მოჰყვა. დღეისათვის მიგრაციის ტენდენციაა განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულში, რაც ძალიან ბევრ პრობლემას ქმნის. გამუდმებით იზრდება არალეგალურ მიგრანტთა რიცხვი, რომლებმაც სამუშაოს ძიებაში დატოვეს თავიანთი ქვეყნები და უფრო მდიდარ სახელმწიფოებს მიაშურეს.

დასავლეთ ევროპა და აშშ გამუდმებით ფიქრობენ შრომითი მიგრანტების პრობლემებზე როგორც განვითარებადი, ასევე აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან. ევროკავშირში ინტენსიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ქვეყნებს შორის, იმის თაობაზე, რომ აღმოსავლეთ ევროპის მოქალაქეებს მიანიჭონ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მუშაობის უფლება, რაც, მათი აზრით, მნიშვნელოვნად შეამცირებს არალეგალური მიგრანტების რიცხვს ამ ქვეყნებიდან და, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციას. გასაკვირი არ არის, რომ ამ მოსაზრებებს არ იზიარებს თავად დასავლეთ ევროპის მოსახლეობა, მიაჩნია რა, რომ უმუშევრობის ისედაც მაღალი მაჩვენებელი ერთი-

ორად აინევს და, გარდა ამისა, აღმოსავლეთ ევროპიდან ჩამოსულები, დათანხმდებიან რა შედარებით ნაკლებ ანაზღაურებაზე, გააფუჭებენ ბიზნეს გარემოს, ანუ ადგილობრივი მოსახლეობა არაკონკურენტუნარიან გარემოში აღმოჩნდება.

გილპინის აზრით, შრომის გლობალიზაცია პირველ მსოფლიო ომამდე უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა, ვიდრე მას შემდეგ ან ახლა. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპამ მიიღო ბევრი ლტოლვილი და ემიგრანტი, მათი მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტი მიიღებს მოქალაქეობას. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში შრომის მიგრაცია აღარ არის მსოფლიო ეკონომიის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი და თავად ევროკავშირშიც კი ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში მიგრაცია დაბალი ინტენსივობით ხდება.

შრომითი მიგრანტებისათვის ხელოვნურად შექმნილი ბარიერებია, რომლებზეც კონტროლს მთავრობები ახორციელებენ. ამის ერთ-ერთ მიზეზად გილპინი ასახელებს სოციალურ შეღავათებს, რითაც, დამკვიდრებული აზრით, მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა ისარგებლონ. ამის გამო ადამიანები ღარიბი ქვეყნებიდან ვერ ჩადიან მდიდარ ქვეყნებში, სადაც ისინი შეძლებდნენ ნორმალური სამუშაოს მოძებნას და ნორმალური ხელფასის მიღებას. ეს კი, თავის მხრივ, შეამცირებდა სხვაობას მდიდარ და ღარიბ სახელმწიფოებს შორის. სხვანაირად რომ ვთქვათ, მცირე წვლილი იქნებოდა გლობალური სიმდიდრის გადანაწილებაში ნაკლებად მდიდარი ქვეყნებისთვის.

ეკონომიკის სფეროს გლობალიზაციაზე საუბრისას ბეკი აღნიშნავს, რომ ხდება ინტერნაციონალიზაცია და არა გლობალიზაცია. იგი წერს: „მსოფლიოს გარკვეულ რეგიონებს შიგნით და მათ შორის, ტრანსნაციონალური სავაჭრო და სამრეწველო კავშირების განმტკიცების დაფიქსირება შეიძლება, ეს შეეხება ამერიკას, აზიასა და ევროპას. ამის დასტურია ის, რომ ვაჭრობა და უცხოური ინვესტიციები ჯერ კიდევ მსოფლიოს ამ სამ მსხვილ ეკონომიკურ ბლოკს შორის ხორციელდება, ამიტომაც ლაპარაკობენ მსოფლიო ეკონომიკის ტრიადიზაციაზე“.

გლობალიზაციის კრიტიკოსების აზრით, გლობალიზაციის უსამართლობის კიდევ ერთი ნათელი ილუსტრაცია არის ის, რომ ის მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილს განსხვავებულად შეეხო. საერთაშორისო სავაჭრო და საფინანსო კავშირები ყველაზე ინტენსიურად ჩრდილოეთ ამერიკაში, დასავლეთ ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში განვითარდა. საერთაშორისო ვაჭრობაში დღეს ლიდერები არიან აშშ, დასავლეთ ევროპა და იაპონია. მსოფლიო პროდუქციის წარმოების უდიდესი წილიც ამ სამეულზე მოდის. იგივე შეიძლება ითქვას პროდუქციის ექსპორტზე და პროდუქციის მოხმარებაზე. ხოლო რაც შეეხება საფინანსო სფეროს, აქ უდავო ლიდერია აშშ. აშშ დოლარი მსოფლიოს ყველა კუთხეშია კონვერტაბელური და უცხოური ინვესტიციების უმეტესობაც ამ ვალუტაში ხორციელდება. ამ მიზეზით, დოლარს ექსპანსიურ ვალუტასაც უწოდებენ და გლობალიზაციას „ამერიკანიზაციასთან“ აიგივებენ. მათი აზრით, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული პროცესი ჯერ კიდევ არ შეხებია ღარიბ ქვეყნებს, განსაკუთრებით აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ოდესმე მოხდეს. ეს ქვეყნები თამაშგარე მდგომარეობაში არიან მაშინ, როდესაც საუბარია წარმოების, ვაჭრობისა და ფინანსური ურთიერთობების გლობალიზაციაზე. ბევრი მეცნიერის აზრით, სავაჭრო და საფინანსო ურთიერთობების გლობალიზაციამ ხელი შეუწყო სიმდიდრის არათანაბარ გადანაწილებას ქვეყნებს შორის.

ბევრი პრობლემა, რომლებსაც ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად მიიჩნევენ, გილპინის აზრით, მთავრობების არასწორი პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების, ან ტექნოლოგიური ცვლილებების ან სხვა ფაქტორების შედეგია. გარემოს დაცვითი ორგანიზაციები აქტიურად გამოდიან გლობალიზაციის წინააღმდეგ, თუმცა, ეკოლოგიური პრობლემები არა გლობალიზაციის პროცესმა, არამედ მთავრობების უყურადღებობამ და უპასუხისგებლობამ გამოიწვია. დასავლეთ ევროპაში გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების წარმოშობაში ადანაშაულებენ გლობალიზაციას, მაშინ, როცა მათი გამომწვევი მიზეზი რეგიონის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციაა. გლობალიზაციის დადანაშაულება თითქმის ყველა თანამედროვე პრობლემაში ნაციონალისტური და ქსენოფობური განწყობის შედეგია პოლიტიკური მემარჯვენეების მხრიდან და ანტიკაპიტალისტური აზროვნებისა – პოლიტიკური მემარცხენეების მხრიდან.

გილპინი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის და ურთიერთდამოკიდებულების გასაზომად ყველაზე კარგი მეთოდია „ერთი ფასის კანონი“. თუ ერთსა და იმავე საქონელს და მომსახურებას სხვადასხვა ქვეყანაში ან მის სხადასხვა რეგიონში ერთნაირი ან დაახლოებით ერთნაირი ფასი აქვს, მაშინ ეკონომისტები თვლიან, რომ ეს ეკონომიკები მჭიდროდ ინტეგრირებულია ერთმანეთთან. თუმცა, დღევანდელ მსოფლიოში ფასები ძალიან განსხვავებულია. თუ ამ კანონს აშშ-თან მიმართებაში გამოვიყენებთ, დავინახავთ, რომ ამერიკის ფასები საგრძნობლად განსხვავდება სხვა ქვეყნების ფასებისგან. განსაკუთრებული სხვაობაა შრომის ანაზღაურებაში და იდენტური შრომის შესრულებაში ადამიანები მსოფლიოს

სხვადასხვა კუთხეში რადიკალურად განსხვავებულ ხელფასებს იღებენ. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე გილპინი არ მიიჩნევს დღევანდელ მსოფლიოს ისეთ ინტეგრირებულად, როგორც ბევრი მის დახატვას ცდილობს.

ბევრის აზრით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტები სერიოზულ რეფორმებს საჭიროებენ, რათა მოერგონ ახალ რეალობას გლობალური ეკონომიკის სახით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანიზაციებით მუდმივად უკმაყოფილოები იყვნენ განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლები, მათ რეფორმირებაზე რეალურად საუბარი დაიწყო 1990 წელს აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის კონსერვატიული ფრთის მიერ. კრიტიკა განსაკუთრებით ეხებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომელსაც ადანაშაულებდნენ თანხების ფუჭ ხარჯვაში და საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკისათვის. საკითხის შესასწავლად შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც მუშაობის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები კონგრესს წარუდგინა.

კომისიის გადანყვეტილებით, აუცილებელია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რადიკალური რეფორმირება და რესტრუქტურირება, ვინაიდან ეს ორგანიზაციები ცუდს უფრო ხშირად აკეთებდნენ განვითარებად სამყაროში, ვიდრე კარგს. ამასთან, მილიარდიან სესხებს გასცემდნენ საშუალოშემოსავლიან ქვეყნებზე, რომლებსაც შეეძლოთ თავად გაეუმჯობესებინათ თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობა ბაზარზე დაყრდნობით.

ძირითადი რეკომენდაცია გულისხმობდა შემდეგს: საერთაშორისო სავალუტო ფონდს უნდა შეეზღუდა სესხების გაცემა განვითარებადი ქვეყნებისათვის და შეენწყვიტა მათ საშინაო პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმეებში ჩარევა. გარდა ამისა, ვინაიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჰპირდებოდა განვითარებად ქვეყნებს, რომ დაეხმარებოდა მათ ფინანსური პრობლემების დროს, კომისიის აზრით, უბიძგებდა განვითარებად ქვეყნებს უფრო მეტი სესხი აეღოთ ფონდიდან, ვიდრე ეს მათ სჭირდებოდათ, რაც კიდევ უფრო დამოკიდებულს ხდიდა ამ ქვეყნებს ფონდზე. ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხანგრძლივი დახმარება ქვეყნებს „აზარმაცებდა“ და საშუალებას აძლევდა მათ ფინანსურად გაუმართლებელი საქციელი ჩაედინათ.

მსოფლიო ბანკთან მიმართებაში იგივე სახის შენიშვნები იყო. კომისიის რეკომენდაციით, ბანკს უნდა შეემცირებინა სესხების გაცემა (გილპინის მონაცემებით, მსოფლიო ბანკი წელიწადში დაახლოებით 50 მილიარდ დოლარის სესხებს გასცემს) და შეენწყვიტა კერძო სექტორთან კონკურენცია, რითაც აფუჭებდა ბაზარს და ხელს უშლიდა ადგილობრივ მენარმეებს.

და ბოლოს, რეკომენდაციებში ნათქვამია, რომ ბაზარზე ორიენტირებული გლობალური ეკონომიკის პირობებში არანაირი ჩარევაა საჭირო, და ეს დასაშვებია მხოლოდ იშვიათი გამონაკლისების შემთხვევაში. როგორც გილპინი წერს, ფაქტიურად მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პირველად დაისვა შეკითხვა იმის შესახებ, საერთოდ, საჭიროა თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციები.

რამდენიმე სიტყვით შევხები ანტიგლობალისტურ მოძრაობას. თავად ე.წ. ანტიგლობალისტები მიიჩნევენ, რომ ტერმინი „ანტიგლობალიზმი“ მასმედიის მიერ არის მოგონილი და ის მათ არ შეეფერება, ვინაიდან ისინი გლობალიზაციის პროცესის წინააღმდეგ კი არ გამოდიან, არამედ მსოფლიოს არასამართლიანი მონყობის მონიშნაღმდეგეები არიან და მოითხოვენ უფრო სამართლიან მსოფლიოს. მათი ძირითადი ლოზუნგია – „სხვანაირი მსოფლიოს არსებობა შესაძლებელია“. ისინი მიიჩნევენ, რომ შეუზღუდავი ვაჭრობა და ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაცია მხოლოდ განვითარებული სახელმწიფოებისათვის არის მომგებიანი ღარიბი სახელმწიფოების ხარჯზე. ზოგიერთი ანტიგლობალისტის აზრით, გლობალიზაციის პროცესი იმპერიალისტური ხასიათისაა. ასე მაგ., ერაყის ომის დაწყების მიზანი იყო უსაფრთხოების მიზნით ფულადი დანაზოგების ამერიკაში გადადინება. ამგვარად, გლობალიზაცია უფრო ამერიკანიზაციაა, ვინაიდან ამ პროცესიდან ყველაზე მეტ სარგებელს იღებს ყველაზე მდიდარი სახელმწიფო აშშ-ის სახით.

ანტიგლობალისტები ასევე მიიჩნევენ, რომ გლობალიზაციის პროცესი სიამაყის საფუძველს არ იძლევა, ვინაიდან იგი ეხება კორპორაციებს და ფულს, მაგრამ არა ხალხს. ამის ნათელი ილუსტრაცია, მათი აზრით, არის მკაცრი კონტროლი მიგრაციაზე თითქმის ყველა ქვეყანაში და შრომის უფლებების უგულვებლყოფა განვითარებად ქვეყნებში.

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელსაც იყენებენ ანტიგლობალისტები ისაა, რომ გლობალიზაციის პროცესში მეორეხარისხოვანი ხდება სუვერენული სახელმწიფო, კნინდება მისი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში და იგი კარგავს თვითმყობადობას.

გილპინი, განიხილავს რა გლობალური ეკონომიის მართვის საკითხებს, აღნიშნავს, რომ

მმართველობა, იქნება ეს ეროვნული თუ საერთაშორისო დონეებზე, უნდა ეფუძნებოდეს ერთიან შეხედულებებს, კულტურულ ღირებულებებს და საერთო იდენტურობას. მისი აზრით, ჩვენ ჯერ არ ვცხოვრობთ გლობალური სამოქალაქო კულტურის ერაში და მხოლოდ რამდენიმე საერთო ღირებულება აერთიანებს მსოფლიოს ხალხებს. თუმცა ტენდენცია უკეთესობისკენაა და არსებობს ისეთი ღირებულებები, რომლებსაც უკვე ყველა იზიარებს, განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიისა თუ პოლიტიკური სიმპატიებისა. მაგალითად – ადამიანის უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში ადამიანის უფლებები ჯერ კიდევ ირღვევა, დამნაშავე სახელმწიფოები ცდილობენ ამ ფაქტების დამალვას და სხვაგვარად წარმოჩენას. გარდა ამისა, განვითარებული ქვეყნები მხოლოდ თავიანთი პრობლემებით არიან დაინტერესებულნი და ნაკლებად ითვისებენ განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს. ზოგადად, დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი დილემა ისაა, რომ მდიდრები ღარიბებს ვერ უგებენ. გილპინი, მისთვის ჩვეული რეალიზმით ასკვნის, რომ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საუბარი გლობალურ მთავრობაზე არარეალურია. ყველაზე საუკეთესო, რასაც შეიძლება ველოდოთ, არის ის, რომ ძირითადად ძლიერმა სახელმწიფოებმა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და მსოფლიოს ინტერესების გათვალისწინებით, ითანამშრომლონ უფრო სტაბილური და ჰუმანური საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის შესაქმნელად.

კაპიტალის მოძრაობა

კაპიტალის მოძრაობა დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ეს არის გლობალური მოვლენა, რომლისთვისაც საზღვრები ფაქტიურად არ არსებობს. ყველა ეროვნების კაპიტალის ბუნება ერთნაირია – იგი მიემართება იქით, სადაც გარანტირებულია დიდი მოგება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალის ექსპორტმა მკვეთრად იმატა, და ეს გახდა საყოველთაო მოვლენა. ამ პერიოდშივე მნიშვნელოვნად გაიზარდა ამერიკის შეერთებული შტატების როლი კაპიტალის ექსპორტში. შემდეგ მას დაემატა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და იაპონია. საფრანგეთი კვლავ ინარჩუნებდა წამყვან პოზიციებს, მაგრამ შემცირდა დიდი ბრიტანეთის ხვედრითი წილი. მეცხრამეტე საუკუნეში იყო კაპიტალის ერთი გამოკვეთილი ექსპორტიორი ქვეყანა – დიდი ბრიტანეთი, მაგრამ მეოცე საუკუნის ორმოციანი წლებიდან მსოფლიო ჰეგემონის ცვლასთან ერთად შეიცვალა კაპიტალის ყველაზე დიდი ექსპორტიორიც, და ის აშშ გახდა.

ბევრი მეცნიერის აზრით, კაპიტალის ექსპორტი უფრო მჭიდრო კავშირებს ქმნის, ვიდრე საერთაშორისო ვაჭრობა. კაპიტალის ექსპორტი ხელს უწყობს კავშირების განმტკიცებას ქვეყნებს შორის. ეს კავშირები სტაბილურია და ისინი გრძელვადიანი მშვიდობის გარანტიაა.

კაპიტალის გატანა, გარკვეულწილად, მისი სიჭარბის შედეგია. დღევანდელ მსოფლიოში კაპიტალის ბრუნვა საოცრად დიდ მასშტაბებს აღწევს. ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს: ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარება და გავრცელება; მანქანამონყობილობებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ექსპორტის მკვეთრი ზრდა.

კაპიტალის გატანა და მისი სხვა ქვეყანაში ინვესტირება შესაძლებლობას იძლევა მიმღებ ქვეყანაზე გავლენის მოხდენის.

გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან კაპიტალი მიემართება თანამედროვე წამყვანი დარგებისაკენ, მეცნიერებატევადი დარგებისაკენ.

მეოცე საუკუნის ბოლოდან ასევე კაპიტალი უმეტესად მიემართება განვითარებული და ლიბერალური ღირებულებების მატარებელი ქვეყნებისაკენ, მაშინ როცა ადრე ტენდენცია სხვაგვარი იყო, და კაპიტალი მიემართებოდა განვითარებული სახელმწიფოებიდან განვითარებადებში. კაპიტალის ექსპორტის გეოგრაფიის ცვლილება, ერთის მხრივ, დაკავშირებულია კაპიტალის მიმღები დარგების ცვლილებასთან. მეორეს მხრივ, ზოგიერთი მეცნიერი ეჭვს გამოთქვამს, რომ ვინაიდან უცხოური ინვესტიციები ძირითადად ხორციელდება განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ხოლო ეს ქვეყნები აშშ-ის მოკავშირეები არიან, ამერიკის მოკავშირეები არა მარტო საკუთარი უსაფრთხოების საკითხებში ხდებიან მასზე დამოკიდებულნი, არამედ იმ მიზეზითაც, რომ მათ მწარმოებლებს ვრცელ ამერიკულ ბაზარზე

გასასვლელი ჰქონდეთ. აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ქვეყნების ხელისუფლებამ უცხოური კაპიტალი, განსაკუთრებით კი ამერიკული კაპიტალი, შეავინრონ. ანუ, ამ იდეის ავტორთა აზრით, უცხოური კაპიტალის მომძლავრების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ის გარემოება, რომ არსებული საერთაშორისო ეკონომიკური ნყობა ასოცირდება ამერიკის თაოსნობით შექმნილ ალიანსთან, განსაკუთრებით ნატო-სთან.

მიმღებ ქვეყანაზე უცხოური კაპიტალისა და ტრანსნაციონალური კომპანიის, როგორც უცხოური კაპიტალის, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გავლენაზე საუბრისას იკვეთება ორი ძირითადი პოზიცია: პირველის თანახმად, ტრანსნაციონალური ფირმების ზეგავლენა ზოგადად დადებითია. მეორე პოზიციის მიხედვით, კი ისინი ზღუდავენ ქვეყნის ავტონომიას, აფერხებენ მის დამოუკიდებელ განვითარებას, ზრდიან ეკონომიკურ უთანასწორობას მასპინძელ ქვეყანაში და ხშირად, ართმევენ ეკონომიკურ სუვერენიტეტსაც კი.

პირველი პოზიციის გამზიარებლები მიიჩნევენ, რომ უცხოური ინვესტიციები მიმღები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სერიოზული ფაქტორია. მაგალითად მოყავთ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და მათ სწრაფ განვითარებას ნაწილობრივ ხსნიან სოლიდური ამერიკული კაპიტალდაბანდებით. იგივე ლოგიკით, მესამე სამყაროს ქვეყნების ეკონომიკური წარმატება მიენერება უცხოურ ინვესტიციებსა და იმ პოლიტიკას, რომელმაც ინვესტიციები მიიზიდა. თუმცა, ბევრი არ იზიარებს ამ მოსაზრებას და მიაჩნიათ, რომ პირდაპირ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ განვითარებას შორის თანაფარდობა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მას მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დავარქვათ. პირდაპირი ინვესტიციები, როგორც წესი, ხორციელდება იმ ქვეყნებში, სადაც საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის კარგი პირობებია შექმნილი, როცა ქვეყანაში შესაფერისი პოლიტიკური სიტუაცია, სტაბილურობა და უსაფრთხო გარემოა.

სახელმწიფო კაპიტალის ექსპორტი

მსოფლიოში სახელმწიფო კაპიტალის ექსპორტის მოცულობა ნაკლებია, ვიდრე კერძო კაპიტალისა, და ამას ლოგიკური ახსნაც აქვს. სახელმწიფო კაპიტალის მიზანი არ არის სწრაფი და მოკლევადიანი მოგება. მისი ძირითადი ამოცანაა ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის გავრცელება ინვესტირებად ქვეყანაში და იქ სასურველი პირობების შექმნა კერძო კაპიტალის ინვესტირებისათვის. სახელმწიფო კაპიტალის ექსპორტირება უმეტესად ხდება ქვეყნის ინფრასტრუქტურაში, სატრანსპორტო დარგებში, საკრედიტო-საფინანსო სისტემაში და სხვ., ანუ ისეთ სფეროებში, რომელთა განვითარების გარეშეც შეუძლებელი იქნება კერძო კაპიტალის ეფექტური და უსაფრთხო ექსპორტირება.

სახელმწიფო კაპიტალის ფორმებია: გრძელვადიანი სესხები და კრედიტები, უსასყიდლო დახმარება. სახელმწიფო კაპიტალი მიმართულია სუსტი, განვითარებადი სახელმწიფოებისაკენ. ამით ხდება მათზე გავლენის მოხდენა და გარკვეული კონტროლის დამყარება. სახელმწიფო კაპიტალის ექსპორტი ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი მხრივ, სახელმწიფო კაპიტალის ექსპორტს ალტრუიზმის ნიშნები ახასიათებს, მას სერიოზული პრაგმატული გათვლებიც აქვს – სახელმწიფო კაპიტალის ექსპორტის შედეგად მიმღები ქვეყნები ინვესტორი ქვეყნისგან ყიდულობენ მათ უახლეს ტექნოლოგიებს, საქონელს, მომსახურებას და სხვ.

კერძო კაპიტალის ექსპორტი

კერძო კაპიტალის ექსპორტი უფრო ფართომასშტაბიანია და იგი უფრო დიდი მოვლენაა, ვიდრე სახელმწიფო კაპიტალის ექსპორტი. იგი ხორციელდება ან პირდაპირი ინვესტიციის გზით (ისეთი ინვესტიცია, როდესაც ინვესტორი იღებს (შეისყიდის) კონტროლს იმ ფირმაზე, რომელშიც ის ახდენს ინვესტირებას), ან საპორტფელო ინვესტიციის გზით (უცხოური ფირმის აქციების შესყიდვა ფირმაზე ყოველნაირი კონტროლის ან მენეჯმენტში მონაწილეობის გარეშე). კერძო კაპიტალის უმთავრესი მიზანია სწრაფი და დიდი მოგება.

ინვესტიციების ხასიათისა და საკუთარი კაპიტალის ფორმის მიხედვით ასხვავებენ ინდივიდუალურ (ფიზიკური პირების), კორპორაციულ (საწარმოები და ორგანიზაციები) და ინსტიტუციონალურ (კოლექტიურ) ინვესტორებს.

ინდივიდუალური ინვესტორები არ აერთიანებენ თავიანთ კაპიტალს, ინვესტირებას ახორციელებენ თავიანთი სახელით და საკუთარი სახსრებით ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

კორპორაციული ინვესტორები მოქმედებენ შესაბამისი სანარმოს, სააქციო საზოგადოების ფორმის სახელით, მისი კუთვნილი კაპიტალისა და სასესხო საშუალებათა მიხედვით. კორპორაციულ ინვესტორთა მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად აწარმოებს მატერიალურ ინვესტირებას, ხოლო ფასიან ქაღალდებში სახსრების დაბანდება მათთვის ინვესტირების დამატებითი საშუალებაა.

ინსტიტუციონალური ინვესტორები თავიანთ კაპიტალს აყალიბებენ კლიენტებისა და მენაბრეების სახსრებით და მას აბანდებენ ძირითადად ფასიან ქაღალდებში. ზოგიერთი მათგანისთვის დამატებითი არის მატერიალური ინვესტირება.

საინვესტიციო გადაწყვეტილებათა შეფასებისას ინვესტიციებში იგულისხმება ინვესტორის მოღვაწეობა, მიმართული მისი, როგორც წესი, გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმდინარე მოხმარებასთან. ეს მოღვაწეობა ემყარება საკუთარი და სასესხო კაპიტალის დაბანდებას.

ინვესტორად, რომელიც მოქმედებს თავისი მიზნების შესაბამისად და პირადად აგებს პასუხს მათ მიღწევაზე, გამოდიან ან კაპიტალის მფლობელები, ან ის პირები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან იურიდიული პირის სახელით მიიღონ საინვესტიციო და საფინანსო გადაწყვეტილებები. უკანასკნელ შემთხვევაში, ინვესტირება ხდება საკუთარი ან სათანადო ფორმისა და სააქციო საზოგადოების სასესხო კაპიტალის მეშვეობით. ინვესტიციების მაკროეკონომიკური თავისებურებების გაანალიზებისას მეტად მნიშვნელოვანია მენარმეთა საინვესტიციო მოთხოვნილებათა გამოკვლევა. ასეთი მოთხოვნილების ფაქტორების შესაბამისად ინვესტიციები იყოფა ინდუცირებულ და ავტონომიურ ინვესტიციებად. ქედან, პირველს წარმოშობს სხვადასხვა მატერიალურ ფასეულობებზე მოთხოვნილების მყარი ზრდა, ხოლო მეორეს – მათზე მუდმივი ან ფიქსირებული მოთხოვნილება.

ინვესტორის გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად საკუთარი ან სასესხო კაპიტალის ყველაზე ხელსაყრელად გამოყენების დასაბუთებული ძირითადი პრინციპები და მეთოდები შეადგენს ინვესტირების თეორიის შინაარსს. ოპტიმალურ ინვესტიციას წარმოადგენს ის, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასახულ მიზნებს.

მსოფლიო პრაქტიკაში გამოყოფენ ინვესტირების სამ ძირითად ფორმას:

1. პირდაპირი, ანუ რეალური ინვესტიციები (კაპიტალის დაბანდება მრეწველობაში, ვაჭრობაში, მომსახურების სფეროში – უშუალოდ სანარმოებში);
2. საპორტფელო, ანუ ფინანსური ინვესტიციები (ინვესტიციები უცხოურ აქციებში, ობლიგაციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში);
3. სასესხო კაპიტალის საშუალოვადიანი და გრძელვადიანი საერთაშორისო კრედიტები და სესხები სამრეწველო და სავაჭრო კორპორაციებს, ბანკებსა და სხვა ფინანსურ დაწესებულებებს.

პირდაპირ ინვესტიციებს შეუძლია უზრუნველყოს ინვესტირებული კომპანიის ინვესტორი კორპორაციების სრულ მფლობელობაში გადაყვანა ან საშუალება მისცენ მათ დაანესონ მასზე ფაქტობრივი კონტროლი. ზოგჯერ ამისათვის საჭიროა ფლობდე სააქციო კაპიტალის არა უმეტეს 10%.

ნამყვანი ინვესტორები არიან ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები, პირველ რიგში – აშშ. მაგრამ ამ ბოლო წლებში, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, შეერთებული შტატების წილი უცხოეთის პირდაპირი ინვესტიციების საერთო ჯამში შემცირდა 55 პროცენტიდან 44 პროცენტამდე, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის წილი გაიზარდა – შესაბამისად 37 პროცენტიდან 44 პროცენტამდე და 1 პროცენტიდან 10 პროცენტამდე.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია, აგრეთვე, პირდაპირი ინვესტიციების მიმართულებებშიც: მეორე მოსფლიო ომამდე კაპიტალდაბანდებათა ძირითადი ნაწილი მოდიოდა ჩამორჩენილ ქვეყნებზე, მაშინ როდესაც უკანასკნელ ხანებში ინვესტორთა მოზიდვას ცდილობენ განვითარებული ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნები. ეს აიხსნება ცვლილებებით ინვესტირების დარგობრივ სტრუქტურაში. ინვესტირება ახლა უკვე თავს იყრის გადამამუშავებელ მრეწველობაში, ხოლო მის შიგნით – მეცნიერებატევად და მაღალტექნოლოგიურ დარგებში. კაპიტალის იმპორტიორი ხდებიან იგივე ამერიკის შეერთებული შტატები, თანაც უკანასკნელ წლებში აქ პირდაპირი ინვესტიციების მოდენა სჭარბობს კიდევ მათ უკუდენას.

საპორტფელო ინვესტიციები არის იმ აქციების დაფინანსების ძირითადი წყარო, რომლებსაც უშვებს სანარმოები, მსხვილი კორპორაციები და კერძო ბანკები. ომისშემდგომ პერიოდში ამგვარი ინვესტიციების მოცულობა იზრდება, რაც მეტყველებს კერძო ინვესტორთა

რიცხვის ზრდაზე. ხოლო შუამავლებად უცხოური საპორტფელი ინვესტიციების განხორციელებისას გამოდის საინვესტიციო ბანკები (ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შუამავალი ორგანიზაციები, რომლებიც აწარმოებს გრძელვადიან დაბანდებათა დაფინანსებას). ამ სახის ინვესტიციების მოძრაობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფასიანი ქაღალდებზე გაცემული პროცენტის განაკვეთების ნორმებში არსებული განსხვავება. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში პროცენტის განაკვეთების მაღალმა ნორმამ მოიზიდა მრავალი უცხოელი ინვესტორი, განსაკუთრებით – იაპონელი. მეოცე საუკუნის 1970-1980-იან წლებში მოხდა საერთაშორისო კრედიტების ზრდის აფეთქება, რამაც გამოიწვია მსოფლიო საკრედიტო-საფინანსო სფეროს შექმნა. სასესხო კაპიტალების საერთაშორისო ბაზარი განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით იზრდება და ამ სახსრების ძირითადი წვლილი მოდის ბანკებს შორის ოპერაციებზე.

ამჟამად სასესხო კაპიტალების საერთაშორისო ბაზარი იყოფა ფულის ბაზარზე და საკუთრივ კაპიტალების ბაზარზე:

ფულის ბაზარი არის მოკლევადიანი კრედიტების ბაზარი (ერთ წლამდე).

კაპიტალების ბაზარი არის საშუალოვადიანი (2-დან 5 წლამდე) საბანკო კრედიტების და გრძელვადიანი (10 წელზე მეტი) სესხების ბაზარი, რომლებიც გაიცემა, ძირითადად, ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და შექმნის დროს.

ბოლო წლებში საერთაშორისო ბაზარზე გამოიყენება გრძელვადიანი დაფინანსების არატრადიციული ფორმები, მაგალითად, საპროექტო დაფინანსება, რაც გულისხმობს მსხვილი კრედიტების გაცემას საწარმოთა კონკრეტული სამრეწველო პროექტების განსახორციელებლად. ამრიგად, გრძელვადიანი კრედიტის გაცემის აღნიშნული ფორმა უახლოვდება პირდაპირ ინვესტიციებს.

ტრანსნაციონალური კორპორაციები

რის ჯენკინსი თავის წიგნში „ტრანსნაციონალური კორპორაციები და უთანასწორი განვითარება“ აღნიშნავს, (*Rhys Jenkins Transnational Corporations and Uneven Development: The Internalisation of Capital and the Third World, p.1.*) რომ ძალიან ცოტა ეკონომიკური ინსტიტუტი ინვესტს ისეთ ემორციებს, როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციები. ეს განსაკუთრებით ეხება ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და მესამე სამყაროს ურთიერთობის საკითხს. ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ხშირად წარმოადგენენ როგორც საერთაშორისო ეკონომიკური უთანასწორობის ძირითად მიზეზს და განვითარების შემაფერხებელ მნიშვნელოვან ფაქტორს. ისინი განიხილებიან, როგორც მსოფლიოს ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონებში წარმოების დაწყებისა და გაინტენსიურების ძალად და, ამასთან, ჩამორჩენილობის მიზეზად, ვინაიდან მოგება მუდმივად მიემართება განვითარებულ ქვეყნებში.

ალექსანდრე რონდელი თავის წიგნში „საერთაშორისო ურთიერთობები“ აღნიშნავს: „ტრანსნაციონალური კორპორაციები ისეთივე ძლიერნი (ზოგჯერ უფრო ძლიერნიც!) არიან, როგორც ეროვნული სახელმწიფოები. ამ კორპორაციებს ყოველთვის შეუძლიათ, წარმოება ქვეყნიდან გაიტანონ და ამ შემთხვევაში სახელმწიფო დასაქმების, მსოფლიო ბაზარზე გასვლის, შემოსავლის მხრივ დიდად წააგებს. ეს კორპორაციები უკვე იმდენად დამოუკიდებელ ძალად იქცნენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზეც დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ“. (საერთაშორისო ურთიერთობები, ალექსანდრე რონდელი, თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1996. გვ. 164).

ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე საუბრისას გასარკვევია საკითხი მათი დეფინიციის შესახებ, ვინაიდან არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება. ლიტერატურაში ხშირად შეიძლება შევხვდეთ ტერმინებს „მრავალნაციონალური კორპორაციები“, „მრავალნაციონალური საწარმოები“, „საერთაშორისო ფირმები“ და სხვ. გაეროს ტრანსნაციონალური კორპორაციების ცენტრმა რამდენიმე ათწლეულის მუშაობის შედეგად, ვერ მოახერხა განმარტების შემუშავება. თუმცა, 1974 წელს გაეროს ტრანსნაციონალური კორპორაციების ცენტრის შექმნის პერიოდიდან გაეროს პუბლიკაციებში მხოლოდ ტერმინს „ტრანსნაციონალური“ ვხვდებით. გაერომ მას უპირატესობა მიანიჭა „მრავალნაციონალურთან“ შედარებით, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზოგიერთი სახელმწიფოს დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე. ეს ტერმინი ხაზს უსვამს, რომ ეს კორპორაციები არიან უმეტესად ეროვნული ფირმები (ადვილადამოსაცნობი დედა ფირმით მშობელ ქვეყანაში), რომლებიც საქმიანობენ სახელმწიფო საზღვრებს გარეთ.

ყველაზე ფართოდმიღებული განმარტება ეკუთვნის გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ

საბჭოს: „ყველა სანარმო, რომელიც აკონტროლებს მოგებას – ქარხნები/ფაბრიკები, მალაროები, მალაზიები და მსგავსი – ორ ან მეტ სახელმწიფოში“ (UNCTC 1978, 158). თუმცა, რეალურად, ტრანსნაციონალურ კომპანიას ეძახიან ისეთსაც, რომელიც საქმიანობს თუნდაც ერთ უცხო ქვეყანაში.

რა არის ტრანსნაციონალური კორპორაცია? ეს არის კორპორაცია, რომლის მფლობელობა, მენეჯმენტი წარმოება და საქმიანობები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშია და სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობის ფარგლებშია მოქცეული. მას გააჩნია სათავო ოფისი ერთ სახელმწიფოში და ფილიალები სხვა სახელმწიფოებში. კორპორაციის ძირითადი მიზანია მსოფლიო ბაზრებისთვის საქონლის მაქსიმალურად დაბალ ფასში წარმოება. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია პროდუქციის წარმოებისათვის ყველაზე წარმატებული ადგილის შერჩევით ან მასპინძელი სახელმწიფოსაგან საგადასახადო შეღავათების მიღებით.

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს გააჩნიათ გამორჩეული მენეჯერული ნიჭი, ფინანსური საშუალებები და ტექნიკური რესურსები, და ისინი ეწევიან უდიდეს საქმიანობას კოორდინირებული გლობალური სტრატეგიის ფარგლებში. მრავალნაციონალური კორპორაციები, გილპინის აზრით, ცდილობენ განავრცონ და გაიმაგრონ საბაზრო პოზიციები კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღების ვერტიკალური ინტეგრაციისა და ცენტრალიზაციის გზით. ჯენერალ მოტორსი, დაიმლერ კრაისლერი, ტოიოტა, ფორდ მოტორი, ნესტლე და სხვ. ტიპიური მაგალითებია (*The Political Economy of International Relations, Robert Gilpin, Princeton University Press, Princeton 1987*).

ასეთი კორპორაციები ეკონომიკური ურთიერთობების ინტერნაციონალიზაციის ყველაზე თვალსაჩინო მოვლენაა. არსებითად, ეს არის კაპიტალის გატანის ერთ-ერთი ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები ინტენსიურად მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ვრცელდება, მათ წინამორბედები გააჩნდათ. მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება, ჯერ დაიწყო აშშ-ის კორპორაციების რაოდენობის ზრდა, შემდეგ დასავლეთ ევროპისა და იაპონიის. მეოცე საუკუნის ბოლოსათვის კი ტრანსნაციონალური კორპორაციები ჰქონდათ არა მხოლოდ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, არამედ მესამე სამყაროს ქვეყნებსაც, განსაკუთრებით ლათინური ამერიკის და შორეული აღმოსავლეთის.

ეს კორპორაციები დღეს თითქმის ყველა დარგშია. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მხოლოდ იმით, თუ რას აწარმოებენ, არამედ იმითაც, თუ როგორ აწარმოებენ, ტექნოლოგიის დონით, მენეჯმენტის სტილით და მათი პროდუქციის ბაზრის სტრუქტურით. მენეჯმენტი და მარკეტინგი ასეთ კორპორაციებში ხშირად შერეულია (საერთაშორისო). ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში მარკეტინგის შედეგად პროდუქცია იყიდება მთელ მსოფლიოში.

უმეტეს შემთხვევაში, ტრანსნაციონალური კორპორაციები რამოდენიმე ქვეყნის იურისდიქციას ექვემდებარება, რაც აძნელებს მათ გაკონტროლებას ერთი კონკრეტული სახელმწიფოს მიერ.

ტრანსნაციონალური კორპორაციები შეიძლება დაიყოს შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: მათი სიდიდე, მათი ფილიალების რაოდენობა, საქმიანობის ტიპი (მოპოვებითი, სამრეწველო, მომსახურება/სერვისი, ტურიზმი, სასტუმროები, დაზღვევა, ფინანსები, ტრანსპორტი, შერეული, სასოფლო-სამეურნეო), უცხოურ ფილიალებთან კავშირის ტიპი, ანუ როგორ საკუთრებაშია – მთლიანი, ნაწილობრივი, ერთობლივი. მრავალნაციონალურ კორპორაციებში გამოირჩევა სამი ტიპი, რომლებიც განსხვავდება მშობელი და ფილიალის კონტროლის პროპორციებით, დომინირების ხასიათითა და ხარისხით.

- პირველი ტიპის ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის დამახასიათებელია მშობლის მიზნებისათვის ყველაფერის დაქვემდებარება. უმეტესად ტრანსნაციონალური კორპორაციები ამჯობინებენ სრულ მფლობელობას, რომელიც ფილიალებზე მაქსიმალურ კონტროლს ნიშნავს. ამ კორპორაციების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია მოქნილობა და მობილურობა. თანამედროვე ტენდენციაა სწორედ ასეთი კორპორაციების გავრცელება. ისინი ყველაზე მომგებიანია, თუმცა ვინაიდან ამ ტიპის კორპორაციების მიზნები ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება მიმღები სახელმწიფოების მიზნებს, ეს ხშირად კონფლიქტების მიზეზი ხდება;
- მეორე ტიპის ტრანსნაციონალური კორპორაციების ფილიალები გარკვეული დამოუკიდებლობით, ავტონომიით სარგებლობენ. ისინი უფრო მეტად ითვალისწინებენ და ექვემდებარებიან მიმღები სახელმწიფოს იურისდიქციას და, შესაბამისად, ნაკლებად შედიან მასთან კონფლიქტში;
- მესამე ტიპის ტრანსნაციონალური კორპორაციები ძალიან განსხვავდება პირველი ორისაგან. მის მენეჯმენტში არ არის რომელიმე ეროვნების უპირატესობა, ფილიალები

პრაქტიკულად იმ ქვეყნებს ეკუთვნის, რომლებშიც ფუნქციონირებენ და ეწევიან თავიანთ საქმიანობას. ეს ხდება კონტრაქტაციის ბაზაზე.

ვინაიდან ტრანსნაციონალური კორპორაციების უპირველესი მიზანია მაქსიმალური მოგება, ისინი დღენიდაგ აუმჯობესებენ მენეჯმენტს, მარკეტინგულ ხელოვნებას, ეძებენ იაფ საწარმო რესურსებს, იაფ ადამიანურ რესურსებს, სტრატეგიულ ტერიტორიებს, რათა მინიმალური დანახარჯებით შეინარჩუნონ ან გააუმჯობესონ პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი და მიიღონ მაქსიმალური მოგება საქმიანობისგან.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობაში, ისევე, როგორც ნებისმიერ წარმოებაში, არის მომხმარებლის და მყიდველის სწორი შერჩევა და მასზე ორიენტირება. ძალიან ბევრი ტრანსნაციონალური კორპორაცია, მაგალითად, ჩვენთვის ისეთი კარგად ცნობილი, როგორცაა *პროქტერ ენდ გემბელი* (Procter and Gambel) ცდილობს მოიცვას მომხმარებელთა ყველა ფენა, ყველა სოციალური სტატუსის პირი. ამიტომ, მისი საქონელი, მაგალითად, სარეცხი ფხვნილი, ვარირებს ძვირიანიდან იაფამდე. ანუ, მის ასორტიმენტში არის როგორც არიელი, ძვირადღირებული და მაღალხარისხიანი სარეცხი ფხვნილი, ასევე ტაიდი, რომლის ფასიც საშუალოა და ხარისხი დიდად არ ჩამორჩება არიელის ხარისხს და ასევე ბონუქსი, რომელიც იაფია, გათვლილია სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ მოსახლეობაზე და მისი ხარისხიც შედარებით დაბალია.

გილპინის აზრით, ტრანსნაციონალური კორპორაციები და საერთაშორისო კომპანიები იმ მსოფლიოს ასახვაა, რომელშიც კაპიტალი და ტექნოლოგია ძალიან მობილურია, ხოლო შრომა რჩება შედარებით ნაკლებად მობილური. ქვეყნების ეკონომიკებს შორის ფარდობით უპირატესობაში არსებული და მიმდინარე ცვლილებების გამო ტრანსნაციონალური კორპორაციები ცდილობენ თავიანთი წარმოება და ფილიალები განათავსონ ყველაზე ხელსაყრელ, დანაშაურებულ, განვითარებულ და, შესაბამისად, მომგებიან ადგილებში. ხელსაყრელობაში შეიძლება იგულისხმებოდეს იაფფასიანი მუშა ხელის არსებობა (იაფი ადამიანური რესურსები), ბაზრების სიახლოვე, ლიბერალური საგადასახადო ჩარჩოები, უსაფრთხოება.

ტრანსნაციონალური კომპანიები სამ ძირითად ტიპად იყოფა იმისდა მიხედვით, თუ რომელ სფეროში საქმიანობენ ისინი, ნედლეულის მოპოვების, წარმოებისა თუ მომსახურების სფეროებში. მეორე მსოფლიო ომამდე პირდაპირი უცხოური კაპიტალის დაბანდება ძირითადად ხდებოდა ნედლეულის მოპოვებასა და პლანტაციების მოშენებაში (მაგალითად, ნავთობი, მინერალური ნედლეული, ტროპიკული ხილი). კაპიტალის ასეთი გადანაწილება ასახავდა, ერთი მხრივ, სამრეწველო ქვეყნების მოთხოვნილებას ნედლეულზე და, მეორე მხრივ, ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკურ ბატონობას აზიასა და აფრიკაში, ამერიკის შეერთებული შტატებისა კი – დასავლეთის ნახევარსფეროს უმეტეს ნაწილში. თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციების კოლონიურ წინამორბედებს არა მარტო ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსები ჰქონდათ, არამედ მათ განკარგულებაში იყო ასევე მოქმედი არმიები, რომლებიც მათი ეკონომიკური ძალაუფლების სადარაჯოზე იდგნენ და, როგორც ისტორიიდან ჩანს, ხშირად აქტიურად ერეოდნენ კიდევც.

თანამედროვე ტრანსნაციონალურ კორპორაციებს არა აქვთ პირდაპირი სამხედრო ძალა (თუმცა, მათი უმეტესობა სწორედ სამხედრო ტექნიკის წარმოებით არის დაკავებული), ამიტომ ისინი ძირითადად ეყრდნობიან პოლიტიკურ გავლენას, საბაზრო ძალაუფლებას, ფინანსებისა და ტექნოლოგიების კონტროლს და, ამ უკანასკნელის გასამყარებლად, ბაზრის სტრუქტურულ ძალაუფლებას. მიუხედავად ამისა, 1945 წლიდან ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა გაფართოვდა სწორედ ომის შემდგომი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის პირობებში, რომელიც ნაწილობრივ ეფუძნებოდა ამერიკის გლობალურ სამხედრო ძალაუფლებას. მეტიც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პირდაპირი უცხოური კაპიტალის დაბანდების ძირითადმა სფერომ ნედლეულის მოპოვებიდან წარმოებაში გადაინაცვლა – განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებთან მიმართებაში.

ტრანსნაციონალური კორპორაციები სამ ორგანიზაციულ ტიპად იყოფა: ვერტიკალურად ინტეგრირებულ, ჰორიზონტალურად ინტეგრირებულ და კონგლომერატულ ტიპებად.

ვერტიკალურად ინტეგრირებული კორპორაციები ძირითადად მინერალური ნედლეულის მოპოვებითა და გადამამუშავებით არიან დაკავებულნი, ნავთობწარმოების სფეროში კი მათი ფუნქციები ძირითადად დისტრიბუციას მოიცავს. ასეთი კორპორაციები ხშირად ფლობენ ბენზინგასამართ სადგურებს. წარმოების სფეროში მომრავლდა ისეთი ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც ნაწილებს ერთ ქვეყანაში ამზადებენ და სხვაგან აწყობენ. მაგალითად, იაპონიისა და ამერიკის ელექტროსაქონლის მწარმოებელ ფირმებს ამწობი ქარხნები აქვთ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ტაივანი, ტაილანდი, ფილიპინები, მალაიზია, სამხრეთ კორეა და სხვ., სადაც მათ ქვეყნებთან შედარებით იაფი მუშახელია.

ჰორიზონტალური ინტეგრაცია გულისხმობს ერთი ტიპის ქარხნების მუშაობას სხვადასხვა ქვეყანაში, ანუ როდესაც ცენტრალური ქარხანა და მისი შვილობილი კომპანიები იდენტური საქმიანობით არიან დაკავებული.

კონგლომერატული ტიპის კორპორაციები ბევრ განსხვავებულ სფეროში არიან ჩაბმულნი ერთდროულად, მაგ., ნავთობის, სოფლის მეურნეობის, ნარჩენების გადამუშავების, მედიის, სამხედრო ტექნიკის წარმოების და სხვ.

ტრანსნაციონალური კორპორაციები განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევიან თავიანთი ორიენტაციის მიხედვით გლობალურ წარმოებასა და რეალიზაციასთან მიმართებაში. ფირმა ტრანსნაციონალურად ითვლება მაშინაც კი, როცა მას მხოლოდ ერთი ან ორი შვილობილი კომპანია აქვს, რომლებზეც მოდის მისი მთლიანი პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილი. მათ საპირისპიროდ, ზოგიერთი ტრანსნაციონალური კორპორაცია საკუთარი პროდუქციის უმეტეს ნაწილს მშობლიური ქვეყნის საზღვრებს გარეთ აწარმოებს, მაგალითად, შვეიცარული ფირმა “ნესტლე” (ერთ-ერთი პირველი ტრანსნაციონალური კორპორაცია მსოფლიოში). ზოგიერთ ტრანსნაციონალურ კორპორაციას მხოლოდ ერთ რომელიმე რეგიონში აქვს ფილიალი, ზოგი კი ჭეშმარიტად გლობალურია, ვინაიდან მისი შვილობილი კომპანიები მთელ მსოფლიოშია განფენილი. მაგალითად, “ფორდმა” და “ჯენერალ მოტორსმა” მანქანების ისეთი მოდელები შექმნეს (“მსოფლიო მანქანები”), რომლებიც თითქმის ყველა ქვეყანაში სალდება, სადაც შედარებით ნორმალური გზებია, მათი აწყობა კი წარმოების სხვადასხვა ადგილებში შეიძლება. გაეროს გამოკვლევა შემდეგ კატეგორიებს წარმოაჩენს: ორიენტაციის მიხედვით, კორპორაციები ასევე იყოფიან ეთნოცენტრულ (მშობლიურ ქვეყანაზე ორიენტირებულ), პოლიცენტრულ (მასპირდელ ქვეყანაზე ორიენტირებულ) და გეოცენტრულ (მსოფლიო ორიენტაციის) ტიპებად. “მასპირდელი” ქვეყნის ხელისუფლება ხშირად შიშობს, რომ უცხოური კომპანია მის ეკონომიკურ სუვერენიტეტს შეზღუდავს და მეტიც, მის საშიანო საქმეებში ჩაერევა, რათა საკუთარი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ინტერესები განახორციელოს.

რაც შეეხება ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობას, როგორც ნებისმიერი ბიზნეს დაწესებულება, ისინიც ორიენტირებულნი არიან მოგებაზე, კორპორაციულ ზრდასა და საბაზრო წილის მატებაზე.

ტრანსნაციონალური კორპორაციები ასევე განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არიან ჩართულნი ისეთ მწარმოებლურ საქმიანობაში, რომელიც პირდაპირი უცხოური კაპიტალის დაბანდების ჩვეულებრივ ტიპს არ შეესაბამება - იგულისხმება შვილობილი კომპანიების ფლობა უმრავლესობის მიერ (რაც შეეხება ოპერაციების ეფექტურ კონტროლს, ტიპიურია 30%-ზე მეტი წილის ფლობა, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში სახეზეა თითქმის 100% მფლობელობა). საპორტფელო ინვესტიციებისგან განსხვავებით, პროდუქციისა და რეალიზების კონტროლი პირდაპირი ინვესტირების ძირითად არსს წარმოადგენს. ის გულისხმობს ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და თანხების პაკეტს (ერთიანობას).

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია – ისეთი ინვესტიცია, როდესაც ინვესტორი იღებს (შეისყიდის) კონტროლს იმ ფირმაზე, რომელშიც ის ახდენს ინვესტირებას.

საპორტფელო ინვესტიცია – უცხოური ფირმის აქციების შესყიდვა ფირმაზე ყოველნაირი კონტროლის ან მენეჯმენტში მონაწილეობის გარეშე.

ტრანსნაციონალური კორპორაცია ზოგჯერ ერთობლივ საწარმოში ერთიანდება, სადაც კონტროლი თავიდანვე გადანაწილებულია. გილპინი ასევე ასახელებს ტრანსნაციონალური კორპორაციის უცხოეთში მოღვაწეობის მესამე ტიპს, მართვის ხელშეკრულებას, კორპორაცია არ არის მფლობელი, თუმცა მართვის სფეროში საკვანძო თანამდებობების უმეტესობა მას უკავია. უცხო ქვეყნებში საქმიანობის კიდევ ერთი ვარიანტია ე.წ. “მზა პროექტი”, როცა ტრანსნაციონალური კორპორაცია დაქირავებულია მთელი ქარხნის ასაწყობად და ასამუშავებლად და ადგილობრივი მუშახელის გასაწვრთნელად. ამ შემთხვევაში მას არ გააჩნია ჩვეულებრივი აქციების წილი ქარხანაში. მასთან შეზღუდული ურთიერთობა შეიძლება გაგრძელდეს მას შემდეგაც, რაც ქარხანა ადგილობრივ მფლობელს გადაეცემა – მართვის საკითხებში კონსულტაციებისა და ტექნიკური თანამშრომლობის სახით. ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა შეიძლება უბრალოდ შეისყიდონ რესურსები და პროდუქცია უცხოური მომწოდებლებისგან. ხშირად, ადგილობრივი მწარმოებლები დამოკიდებულნი ხდებიან უცხოელ კლიენტებზე. ზოგჯერ, ტრანსნაციონალური კორპორაცია უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი კლიენტი, რადგან ადგილობრივი მწარმოებლისთვის ხან სესხის, ხან მასალისა და ტექნიკური კონსულტაციების წყაროდ იქცევა.

ტრანსნაციონალური საქმიანობის ერთ-ერთი ასპექტი არის კორპორაციის შიდა სავაჭრო ოპერაციების გაფართოება, რომლებიც ძალიან ფართო სპექტრს მოიცავენ.

გილპინის აზრით, ფართოდ გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, ვერტი-

კალურად ინტეგრირებული ტრანსნაციონალური სანარმოები არ დომინირებენ განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო საქმიანობაში. აშშ-ს სანარმოების მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, მზარდი ინტერნაციონალიზაცია და ნარმოების ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემა მხოლოდ დასავლეთ ევროპითა და კანადით შემოიფარგლება.

ვერტიკალური ინტეგრაციის მოდელთან თანაარსებობს, აგრეთვე კონგლომერატის ელემენტები, გარდა ამისა, უფრო და უფრო ხშირია სხვადასხვა ქვეყნების ტრანსნაციონალური ფირმების თანამშრომლობა და ერთობლივი სანარმოების ჩამოყალიბების შემთხვევები. ბევრი მიიჩნევს, რომ ასეთი ტიპის ურთიერთობები რისკის ფაქტორს ამცირებს (გადაანაწილებს) და გამოკვლევების მასშტაბების თვალსაზრისითაც ეკონომიურია.

მეოცე საუკუნეში მასობრივი ნარმოებისა და გამოკვლევებზე დამყარებული მრეწველობის განვითარებამ ხელი შეუწყო ახალი ფირმების ბაზარზე შეღწევას და ოლიგოფოლიის განვითარებას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მწარმოებელი ტრანსნაციონალური კორპორაციები განსაკუთრებით მომძლავრდნენ ქიმიური პრეპარატების, ავტომობილების, კომპიუტერებისა და ელექტროსაქონლის ნარმოებაში. მეოცე საუკუნის თითქმის მთელი პერიოდის მანძილზე ამ კომპანიებს სამრეწველო განვითარების მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ.

მოგვიანებით, ტრანსნაციონალური კომპანიები განვითარდა მომსახურების სფეროშიც. ეს განსაკუთრებით ეხება საფინანსო, საბანკო, მონაცემთა გადამუშავების, კავშირგაბმულობისა და მედიის სფეროებს. ჩნდება მონაცემთა გლობალური ბაზები. ხოლო ტექნიკური შესაძლებლობების ზრდის პარალელურად შესაძლებელი ხდება საფინანსო ბაზრების დაკავშირება და მათი ინტეგრაცია. იმავდროულად, ტრანსნაციონალიზაციამ განვითარება დაიწყო საცალო ვაჭრობის სფეროშიც, რომელიც, არ არის ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში, რადგან, ჩვეულებრივ, მოითხოვს კლიენტთან ახლო ურთიერთობას და ახლო დისტანციას.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, გარკვეული დროის შემდეგ, შესაფერისი გლობალური პოლიტიკის პირობებში, ტრანსნაციონალური კომპანიები უფრო მეტად განვითარდება, ვიდრე წმინდად ნაციონალური ფირმები. ამის მიზეზი გახდება მათი ეკონომიურობა, რასაც განაპირობებს მათი მასშტაბურობა, ასევე კაპიტალის უფრო მრავალფეროვანი და იაფი წყაროების მოპოვება და გადასახადების დაბალი ფაქტიური განაკვეთი. ამ უკანასკნელში იგულისხმება ის, რომ ტრანსნაციონალურ კომპანიას შეუძლია ფასების დაკლება ან მომატება საქონელზე, მასალებზე ან სესხებზე, თავისი კომპანიის სხვადასხვა ქვეყანაში მდებარე ფილიალებს შორის. ამიტომ, ტრანსფერული ფასები მნიშვნელოვნად განსხვავდება ორ დამოუკიდებელ კომპანიას შორის შეთანხმებული ფასებისგან, ანუ იმ ფასებისგან, რომლებიც ასახავს საბაზრო პირობებს. ვინაიდან ტრანსნაციონალურ კომპანიას შეუძლია ასეთი ინტრასტრუქტურული სავაჭრო ოპერაციების ნარმოება იმ ქვეყანაში, რომელშიც კორპორაციული გადასახადები მაღალია, კომპანიის მოგება შეიძლება იმაზე დაბალი მაჩვენებლით გაფორმდეს, რასაც რეალურად ნარმოადგენს. ამის მიღწევა შეიძლება, მაგალითად, იმ ნაწილებზე ფასების დაკლებით, რომლებიც სხვა ქვეყანაში, დაბალი გადასახადების პირობებში არსებულ შვილობილ კომპანიაში გადაიგზავნება. ამგვარად, ტრანსნაციონალურ კომპანიას მანევრირების ბევრად მეტი საშუალება აქვს, ვიდრე ნაციონალურს, და ეს საშუალებას იძლევა ვივარაუდოდ, რომ ტრანსნაციონალური კომპანიების რიცხვის ზრდა შეუქცევადი პროცესია.

ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და მიმღები სახელმწიფოების ურთიერთობის საკითხი მუდმივი განსჯის თემაა, ვინაიდან ბევრი ქვეყანა მიიჩნევს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები პოლიტიკურ გავლენას ამყარებენ მიმღებ ქვეყანაზე. ზოგი მეცნიერის აზრით, ყველა სახელმწიფო შეიძლება უფრო და უფრო მეტად დაექვემდებაროს ტრანსნაციონალური კომპანიების ძალაუფლებასა და გავლენას, მათი გლობალური ბუნებისა და ყველგან შეღწევადობის გამო. აქვე აღსანიშნავია, რომ ლიბერალურ სახელმწიფოებს ნაკლებად-კონფლიქტური ურთიერთობები აქვთ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან.

სპიროს აზრით, ყველა ქვეყანაში არის იმისი მოთხოვნილება, რომ მოიზიდონ პირდაპირი უცხოური კაპიტალი და გამოინახონ უცხოურ ფირმებთან ურთიერთობის საუკეთესო გზა. ტრანსნაციონალურ ფირმებთან ურთიერთობისას ყველა სახელმწიფო აწყდება გარკვეულ პრობლემებს და დაძაბულობას, თუმცა, ზოგიერთი ურთიერთობის ტიპი უფრო მეტად დაძაბულია, ვიდრე სხვა. უფრო მრავალმხრივად რომ ნარმოვადგინოთ ეს საკითხი, ვიტყვი, რომ ტრანსნაციონალური კომპანიის, ანუ ტრანსნაციონალური კაპიტალის, როგორც კლასობრივი სტრუქტურის ნაწილის, ძალაუფლება განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპისაა კონკრეტული სახელმწიფო. მსოფლიო სისტემათა ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში განმსაზღვრელია მოცემული ქვეყნის სტატუსი – ცენტრალურია იგი, პერიფერიული, თუ ნახევრად პერიფერიული.

თუმცა, ზემოთ თქმულის მიხედვით, ტრანსნაციონალური კომპანიები გარე ძალას ნარმოადგენენ, მაშინ როცა სახელმწიფოებს შიგნით, განსაკუთრებით კი “ცენტრალურ”

სახელმწიფოებში, ტრანსნაციონალური კაპიტალის ზეგავლენა შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი იყოს. მარქსისტი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ აშშ-ში ამერიკული ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესები დომინირებს.

ასე რომ, მაშინ, როცა ტრანსნაციონალური კომპანიების პირდაპირი ძალაუფლება, გარედან ზემოქმედების თვალსაზრისით, შეიძლება არც თუ ისე მნიშვნელოვნად ჩაითვალოს, როცა საუბარია “ცენტრალურ” ქვეყნებზე, ამ ქვეყნების შიგნით მათი სტრუქტურული სიძლიერე უმაღლეს ნერტილს აღწევს, განსაკუთრებით იდეოლოგიურ დონეზე.

ნაწილობრივ კაპიტალისტური სისტემის ხელშემწყობი კონცეფციების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის დიდი ძალისხმევის წყალობით ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და ბრიტანეთი, და სახელმწიფოს ქცევასა და ეკონომიკური აქტივობის დონეზე საქმიანი კონიუნქტურისა და მტკიცე საქმიანი პოზიციის დამსახურებით, კაპიტალის ძალაუფლებამ შეიძლება თითქმის ჰეგემონურ სტატუსს მიაღწიოს. თუ იმუშავებს ეკონომიკური აქტივობის ძირითადი ლიბერალური კანონები, საქმიანი კონიუნქტურის ინტერნაციონალიზაცია იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო მასშტაბით მობილური კაპიტალის სტრუქტურული ძალაუფლება მართლაც რომ ძალზე დიდი იქნება. ეს პოზიცია არის ტრანსნაციონალური კომპანიების ძალაუფლების დომინირებადი რეალისტური ინტერპრეტირების მეორე მხარე. რეალისტები ხაზს უსვამენ სახელმწიფოს ავტონომიურობას და “ეროვნული ინტერესების” იდეის დომინანტურ ზეგავლენას, რაც წინა პლანზე აყენებს უსაფრთხოებას.

ამ თვალსაზრისით, ტრანსნაციონალური კომპანიები იქამდე გაშლიან თავიანთ საქმიანობებს და გაიზრდებიან, სანამ ეს ძლიერ სახელმწიფოების ინტერესებში იქნება. სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება არ შეიძლება ერთმანეთისგან ცალსახად გაიმიჯნონ. ამიტომ, სახელმწიფო პოლიტიკა არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ “ეროვნული” თვალსაზრისით. სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკა და ის დაძაბულობა, რომელიც სახელმწიფო კურსის გატარებას ახლავს, დაკავშირებულია ასევე კლასობრივ და კლასების სტრუქტურული ელემენტების ინტერესებთან.

ჯოან სპიროს აზრით, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკა პირდაპირ უცხოურ კაპიტალთან დაკავშირებით განსხვავებულია. კერძოდ, განვითარებადი ქვეყნები ხშირად შიშით უყურებენ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და მეტიც, ცდილობენ შეზღუდონ მათი საქმიანობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კორპორაციები ჩაბმულნი არიან ნედლეულის, კერძოდ, მინერალური ნედლეულის მოპოვებაში. ამგვარი დამოკიდებულება ბუნებრივია იმის გათვალისწინებით, რომ განვითარებადი ქვეყნების დიდი ნაწილის მიერ ტრანსნაციონალური კორპორაციები აღიქმება მხოლოდ განვითარებული ქვეყნების პოლიტიკის გამტარებლად, რომელთა ინტერესიც ცალმხრივი მოგებაა. განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა ხვდება ნედლეულითა და ნახევარფაბრიკატებით ვაჭრობის უპერსპექტივობას და ყველანაირად ცდილობს პირდაპირი უცხოური კაპიტალის მოზიდვას წარმოების სფეროში. მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებში ბევრ განვითარებად ქვეყანაში განხორციელდა საგადასახადო სისტემის მეტ-ნაკლები ლიბერალიზაცია, მოხდა სახელმწიფოს მიერ მომსახურების გარკვეული სახეების სუბსიდირება, შეიქმნა საექსპორტოდ განკუთვნილი საქონლის წარმოების სპეციალური ზონები და გატარდა სხვა ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო ისეთი ტრანსნაციონალური კორპორაციების მოზიდვაზე, რომლებიც იმუშავებდნენ ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროებში და ხელს შეუწყობდნენ ეროვნული ეკონომიკების განვითარებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან განვითარებადი სახელმწიფოების სპექტრი მრავალფეროვანია, მათი დამოკიდებულება ტრანსნაციონალური კორპორაციების მიმართ ასევე არაერთგვაროვანია.

ზოგი განვითარებადი სახელმწიფოს ნაკლებად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება საბაზრო მექანიზმის, კონკურენციისა და ზოგჯერ კერძო წარმოების მიმართ განპირობებულია ბევრი განვითარებადი ქვეყნის დამოკიდებულებით საერთაშორისო ვაჭრობისადმი, როგორც საბაზრო სისტემისადმი, რომელიც ჩრდილოეთში უფრო კარგად მუშაობს, ვიდრე სამხრეთში. ამგვარად, კერძო საწარმოების, განსაკუთრებით კი ტრანსნაციონალური კომპანიების, მიმართ განხორციელებული შეზღუდვები განიხილება როგორც აუცილებელი ღონისძიებები, რათა სახელმწიფოს უფრო მეტი წილი დარჩეს უცხოური ინვესტიციებისა და ვაჭრობის შედეგად მიღებული შემოსავლიდან ან იმისთვის, რომ განვითარდეს ახლად აღმოცენებული საწარმოები.

განვითარებად სახელმწიფოებში ხშირად აღინიშნება სახელმწიფოს ზენოლა ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე. პოლიტიკურ ელიტებს არ სურთ დამოკიდებულნი იყვნენ უცხოურ კომპანიებზე და მათ საპირისპიროდ იწყებენ საჯარო სექტორის განვითარების ხელშეწყობას, განსაკუთრებით, იმ სფეროებში, რომლებიც, მათი აზრით, სტრატეგიული მნიშვნელობისაა. მაგ. ინდოეთში ასეთ სფეროებად მიჩნეულია ქიმიური, ფარმაცევტული, ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა და ნედლეულის მოპოვება. მეოცე საუკუნის 60-70-იან

ნლებში ისეთმა პროკაპიტალისტურმა ქვეყანამაც კი, როგორცაა ბრაზილია, ვრცელი საჯარო სექტორი განავითარა, რომელშიც შევიდა ასევე სამრეწველო საწარმოები. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ ნაციონალიზმი კვლავაც მნიშვნელოვანია და, რომ მისი მნიშვნელობა სრულებითაც არ შემცირებულა მესამე მსოფლიოს სახელმწიფო ბიუროკრატიაში. ბევრი მიიჩნევს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის შეზღუდვით მთავრობები საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ მოქმედებენ, ვინაიდან ეროვნული კორპორაციები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ პროდუქციაზე ისეთივე ფასებს, როგორსაც ტრანსნაციონალური კორპორაციები, ამასთან მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ან მომსახურების ხარისხიც შეიძლება უფრო დაბალი იყოს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, მომხმარებელს მოუწევს უფრო მაღალი საფასურის გადახდა ნაკლებად ხარისხიან საქონელში. არსებობს აზრი, რომ საზოგადოება ცუდად არის ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა ხარჯი თუ მოგება მოჰყვება ქვეყანაში ტრანსნაციონალური კომპანიების მოქმედების შეზღუდვას ან გამორიცხვას. ეს განსაკუთრებით აშკარაა ისეთ დარგებთან მიმართებაში, რომლებიც განსაკუთრებით მომგებიანია ან პერსპექტიული. ამ სფეროების ნაციონალიზაცია ისე ხდება ხოლმე, რომ საზოგადოება არ არის ინფორმირებული ხარჯების შესახებ მსოფლიოს სხვა რეგიონებში.

განვითარებად სახელმწიფოებში ტრანსნაციონალური კომპანიების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშემწყობი ღონისძიება და არა როგორც ეკონომიკური ზრდის შეფერხების მიზეზი. ეს გადანყვეტილება კი, როგორც წესი, მოსახლეობის უმრავლეს ნაწილზე უარყოფითად აისახება, მაშინ, როცა პოლიტიკური ელიტა, რომელიც ირჩევს ამგვარ პოლიტიკას, იმპორტისა და ტრანსნაციონალური კომპანიების საწინააღმდეგოდ მიმართული ღონისძიებებიდან სარგებელს პოულობს. თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ ასეთმა ვითარებამ შედეგად გამოიღოს ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის შეფერხება ან აღკვეთა. პირიქით, შეიძლება ადგილობრივმა ელიტამ ერთობლივ საწარმოში გაერთიანება და ამ გზით თავისის შემოსავლების გაზრდა ისურვოს. დამოკიდებულების თეორიის ოპონენტების აზრით, სწორედ ელიტის არასახელმწიფოებრივი ქმედებები და პროცესებზე უარყოფითი გავლენა განაპირობებს პოლიტიკური ძალაუფლების, სიმდიდრისა და ცოდნის უთანასწორო გადანაწილებას განვითარებადი ქვეყნების უმეტეს ნაწილში.

უცხოური საწარმოების ნაციონალიზაცია ყველაზე მეტად დამახასიათებელია ნედლეულის წარმოების სექტორისთვის. ეს არის კოლონიური გამოცდილების გამოძახილი. უცხოური ბატონობა ასოცირდება სწორედ ამ სექტორთან, რომელზეც მთელი ეკონომიკა იყო დამოკიდებული. ნედლეულის მოგებაზე ორიენტირებულმა წარმოებამ სერიოზული ნვლილი შეიტანა მთლიანი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლის ზრდაში და უცხოური ვალუტის შემოდენის ძირითად წყაროდ იქცა. სიტუაცია არ შეცვლილა რიგ განვითარებად ქვეყანაში, მაგალითად, სპილენძის წარმოება ზამბიაში, სადაც ნაციონალიზებული წარმოება ნაწილობრივ დამოკიდებული დარჩა ტრანსნაციონალურ კომპანიებზე. ეს ურთიერთობა “მართვის ხელშეკრულების” სახით გაფორმდა ხსენებული წარმოების ადრინდელ მფლობელებთან. სხვათა შორის, ასეთი ხელშეკრულების შედეგად, 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში სპილენძის ფასების დაცემის სიმძიმე უფრო მეტად ზამბიას დაანვა, ვიდრე ტრანსნაციონალურ კომპანიებს.

გასული საუკუნის 1980-იანი წლებიდან განვითარებადი ქვეყნების მტრული განწყობა ტრანსნაციონალური კომპანიების მიმართ 60-იან წლებთან და 70-იანი წლების დასაწყისთან შედარებით შერბილდა. ამ დროისთვის ბევრმა მათგანმა უკვე მოახერხა, რომ თავიანთი საბადოებისა და პლანტაციების კონტროლის უმეტეს ნილს დაპატრონებოდა. 1970-იან წლებში, ნავთობის ფასებით გამოწვეული შოკის პირობებში, განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ნავთობის იმპორტს ეწეოდნენ, საგადასახადო ბალანსთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. მათ მეტი უცხოური ვალუტა ესაჭიროებოდათ და ამისი ერთ-ერთი საშუალება იყო საექსპორტოდ განკუთვნილი წარმოების ასამუშავებლად თავიანთ ქვეყნებში ტრანსნაციონალური კომპანიების მოზიდვა. სწორედ ამან განაპირობა საექსპორტო საქონლის გადამამუშავებელი ზონების მომრავლება. საგადასახადო ბალანსთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ უფრო დამძიმდა წინა საუკუნის 80-იან წლებში, რადგან განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური დაქვეითება ნიშნავდა განვითარებადი ქვეყნების საექსპორტო საქონელზე მოთხოვნილების დაცემას. შედეგად, ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ მიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს სესხების ასაღებად. ორივე ეს ორგანიზაცია მუშაობს, რათა ხელი შეუწყოს განვითარებად ქვეყნებს უკეთ გაეცნონ ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობას, ნდობით განეწყონ მათ მიმართ, შეეცადონ მათ მოზიდვას თავიანთ ქვეყნებში და შემდეგ უკვე შეძლონ მათთან თანამშრომლობა.

ეკონომიკის ინტეგრაცია

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინტერნეტ-გვერდის 2005 წლის ოფიციალური მონაცემებით, დღეისათვის ევროკავშირის ეკონომიკა უდიდესია და მისი ერთიანი შიდა პროდუქტი, შეადგენს რა 12 865 602 მილიონ აშშ დოლარს, ოდნავ უსწრებს აშშ-ს იგივე მაჩვენებელს (11 734 300 მილიონი). ევროკავშირის ეკონომიკური ზრდა 1990 წლამდე ჩამორჩებოდა აშშ-ს, ხოლო უმუშევრობის დონე ამერიკაზე მაღალი იყო. იგივე წყაროში მითითებული გათვლებით, 2006 წელს ევროკავშირის ეკონომიკური ზრდა შეადგენს 2,3%. ამასთან, ეკონომიკური ზრდის პროცენტული მაჩვენებელი კავშირის ძველ წევრებში ბევრად ნაკლებია, ვიდრე მის ახალ წევრ ქვეყნებში. ევროკავშირი ასევე ერთ-ერთი ლიდერია საერთაშორისო ვაჭრობაში და მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან: იაპონია, შვეიცარია და აშშ.

რა გზა გაიარა ევროპამ გაერთიანებამდე და რა იყო ევროპული ინტეგრაციის მიზანი? ევროპელების უმეტესობისათვის პირველი მსოფლიო ომი ნიშნავდა ევროპული ცივილიზაციის დასასრულს. თუმცა უმცირესობა ხვდებოდა, რომ ევროპის გადარჩენა და მისი უსაფრთხოება დამოკიდებული იყო მის უნარზე, დაეძლია აგრესიული ნაციონალიზმი, რომელმაც ევროპის კონტინენტი კატასტროფამდე მიიყვანა, და გაეთავისებინა იდეა მშვიდობიანი და ერთიანი ევროპის შესახებ.

1923 წელს ავსტრიელმა რიხარდ კუდენხოვ-კალერგიმ დააარსა პანევროპული მოძრაობა. 1926 წელს მან მოახერხა ერთად შეეკრიბა ევროპის სხვადასხვა გამოჩენილი პოლიტიკური ფიგურები პირველ პანევროპულ კონგრესზე ვენაში. აღნიშნულ კონგრესამდე, ევროპა, როგორც პოლიტიკური კონცეფცია, არ არსებობდა. კუდენხოვ-კალერგის აზრით, ურთიერთ-ზიზღი ევროპაში ნამლავდა ატმოსფეროს და ევროპის პრობლემების მოგვარება მხოლოდ თავად ევროპელებს შეეძლოთ. მისი აზრით, ევროპის მშვიდობიანი გაერთიანების გზაზე ერთ-ერთი ურთულესი დაბრკოლება საფრანგეთსა და გერმანიას შორის არსებული ათასწლიანი შუღლი იყო.

პან-ევროპული მოძრაობის ოქროს წლები მეოცე საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარი იყო, როდესაც ხელმოწერილ იქნა ლოკარნოს შეთანხმება (1925წ. გერმანიის დასავლეთის საზღვრების გარანტიის შესახებ) და ბრიან-კელოგის პაქტი (1928წ. ომზე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის იარაღზე, უარის თქმა).

1929 წელს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ბრიანმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა ევროპის სახელმწიფოების ფედერაციის იდეა: ფედერაცია, რომელიც ეფუძნება სოლიდარობასა და სურვილს, მიღწეულ იქნეს ეკონომიკური სიმდიდრე და პოლიტიკური და სოციალური თანამშრომლობა. იდეას აღფრთოვანებით შეხვდნენ ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური მოღვაწეები.

ევროპის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის კონცეფცია სწრაფად ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა, თუმცა რიგმა ეკონომიკურმა და, შემდეგ, პოლიტიკურმა მოვლენებმა რამდენიმე წლით შეაფერხა მისი საბოლოო ფორმით ჩამოყალიბება და სრული რეალიზება. 1930 წელს დაიწყო ეკონომიკური დეპრესია ყველა თანამდევი პრობლემებით, ხოლო 1933 წელს გერმანიაში ხელისუფლებაში მოვიდა ჰიტლერი. ნაციონალიზმმა კიდევ უფრო დიდი სიმძაფრით იჩინა თავი, და ევროპა ახალმა კატასტროფამ მოიცვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ უფრო ცხადი გახდა ევროპის ერთიანობის საჭიროება. ევროპამ გააცნობიერა თავისი სისუსტე – ომმა ბოლო მოუღო ევროპის ტრადიციულ ჰეგემონიას მსოფლიოში. ორ ახალ სუპერსახელმწიფოს – აშშ-სა და საბჭოთა კავშირს – გააჩნდათ ბევრად უფრო დანინაურებული ეკონომიკა, ისინი ბევრად უკეთეს პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე ევროპის ყველა სახელმწიფო ერთად. ორივე მსოფლიო ომი დაიწყო, როგორც ევროპის ომი და ევროპის კონტინენტი მთავარი საომარი ველი იყო ორივე შემთხვევაში. ერთადერთი გამოსავალი შექმნილ ვითარებაში იყო ევროპული სახელმწიფოების გაერთიანებაში. ამ იდეის მატარებელნი იმედოვნებდნენ, რომ ამ გაერთიანებით შეიქმნებოდა მესამე (იმ პერიოდის ორ სუპერსახელმწიფოს – აშშ-სა და სსრკ-ს შემდეგ) ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი, და ევროპა დაიბრუნებდა თავის ისტორიულ ფუნქციას მსოფლიო სისტემაში.

უმნიშვნელოვანესი ხდებოდა გერმანიისა და საფრანგეთის შერიგების საკითხი, მათ შორის, არსებული ისტორიული პრობლემების მოგვარება. შუამავლად შეიძლება აშშ გამოსულიყო, და ეს მშვიდობის გარანტია გახდებოდა. გარდა ამისა, მეცნიერთა აზრით, ევროპელებს შორის სულ უფრო და უფრო მატულობდა სურვილი ეცხოვრათ თავისუფალ, სამართლიან და ეკონომიკურად ძლიერ კონტინენტზე, სადაც საერთაშორისო ურთიერთობები განვითარდებოდა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

1946 წელს დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ციურისხის უნივერსიტეტში, ბევრის აზრით, ომის შემდეგ პირველი ნაბიჯი იყო ევროპის ინტეგრაციისაკენ. ჩერჩილის თქმით, მთელი ევროპა ისეთივე თავისუფალი და ბედნიერი უნდა ყოფილიყო, როგორც შვეიცარია. ამის მიღწევა, მისი აზრით, შესაძლებელი იყო ერთიანი ევროპული ოჯახის შექმნით და მისი ისეთი სტრუქტურით უზრუნველყოფით, რომლის პირობებშიც მშვიდობიანი, უსაფრთხო და თავისუფალი ცხოვრება იქნებოდა. მისი აზრით, შესაქმნელი იყო ევროპის გაერთიანებული შტატები, ხოლო ამისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო თანამშრომლობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველი მოსფლიო ომის შემდგომი პერიოდისაგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღარ მიმართეს იზოლაციონისტურ პოლიტიკას და, როგორც მსოფლიოს უძლიერესმა სახელმწიფომ, თავის თავზე აიღეს პასუხისმგებლობა ჩარეულიყვნენ ევროპის საშინაო საქმეებში. ამერიკის მთავრობა დარწმუნდა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შემაფერხებელი გარემოებების დიდი დამსახურება იყო ის საერთაშორისო დაძაბულობა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, მეორე მსოფლიო ომამდე მიიყვანა ქვეყნები. ამრიგად, 1945 წლიდან თავისუფალი ვაჭრობის აგიტაცია და მისი მხარდამჭერი პოლიტიკის გატარება ამერიკის ძირითადი პირობა გახდა იმ ევროპული სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც სურდათ აშშ-ისაგან ეკონომიკური დახმარების მიღება. ცივი ომის პირობებში ამერიკამ შეიმუშავა მარშალის გეგმა, რომლის მიზანიც იყო ევროპაში ეკონომიკური ზრდისა და განვითარების დაჩქარება, რათა ის არ გადაქცეულიყო კომუნისტური რეჟიმის გავლენის სფეროდ.

ასევე აშშ-ის ინიციატივით 1949 წელს დასავლეთ ევროპის უმეტესმა სახელმწიფომ, აშშ-მა და კანადამ დააარსეს ჩრდილოეთატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), რომელიც უპირისპირდებოდა სოციალისტურ ქვეყნებს. ეს იყო კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია და მასში გაერთიანებით ევროპულმა სახელმწიფოებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს პოლიტიკური ერთიანობისაკენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის სამმა ქვეყანამ გარკვეული ნაბიჯი გაერთიანებისკენ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს გადადგა. ესენია: ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. 1944 წელს მათ შექმნეს ბენილუქსი – საბაჟო კავშირი. 1948 წელს ამ ქვეყნებმა დაიწყეს საერთო საგარეო ტარიფის შემოღებაზე მუშაობა.

1949 წელს ევროპის საბჭოს შექმნა კიდევ ერთი ნაბიჯი იყო ევროპის გაერთიანებისკენ. მისი მიზანი იყო ევროპის სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიული სისტემების მხარდაჭერა და ადამიანის უფლებების დაცვა.

ევროპის კავშირის შექმნის პროცესში პირველი ნაბიჯი იყო 1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რობერტ შუმანის წინადადება, საფრანგეთსა და გერმანიას, აგრეთვე ყველა სხვა მსურველ სახელმწიფოს შეეერთებინათ თავიანთი ქვანახშირისა და ფოლადის რესურსები. ამ ეკონომიკურ ინტეგრაციას შორს გამიზნული გეგმა ჰქონდა – მჭიდრო ეკონომიკური კავშირით დაეზღვიათ ევროპა შესაძლო ომისაგან.

1951 წელს პარიზის ხელშეკრულებით ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება დაარსდა, რომლის დამფუძნებელიც იყო ექვსი ქვეყანა: საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. ნათელი იყო, რომ ეკონომიკური კავშირი ერთადერთი შესაძლო გზა იყო პოლიტიკური ერთიანობისაკენ, და იმ ისტორიულ ეტაპზე ეკონომიკური კავშირები უფრო მყარი შეიძლებოდა ყოფილიყო ევროპის სახელმწიფოებს შორის, ვიდრე პოლიტიკური და სამხედრო.

1957 წელს ექვსი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების შესახებ.

1992 წელი გარდამტეხი პერიოდი იყო ევროპისათვის. ამ წელს ხელი მოეწერა მაასტრიხტის ხელშეკრულებას (ევროპის კავშირის ხელშეკრულება). მასში მოდიფიცირებული იყო პარიზის, რომისა და სხვა საკვანძო ხელშეკრულებები, დახვეწილი და განვრცობილი იყო ევროპის მოკლე და გძელვადიანი ეკონომიკური მიზნები და ჩამოყალიბებული ევროპის ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითადი ამოცანები. მაასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ოფიციალურად დამკვიდრდა ტერმინი „ევროპის კავშირი“ (ევროკავშირი).

რამდენიმე ძირითადი მომენტი ხელშეკრულებიდან:

- 1990 წლიდან 1993 წლამდე ევროკავშირის პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო კაპიტალის თავისუფალი ბრუნვის/მოძრაობის ხელშეწყობა;
- 1994 წლიდან 1999 წლამდე წევრ სახელმწიფოებს უნდა მოეხდინათ თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია, რათა მიეღწიათ საერთო მიზნებისათვის,

როგორცაა: ინფლაციის და საპროცენტო განაკვეთების შემცირება, ბიუჯეტის დეფიციტისა და ვალების კონტროლი, ევროპის სავალუტო სისტემის გაცვლითი კურსების მექანიზმით რეკომენდირებული ნორმალური ჩარჩოების დაცვა. ის სახელმწიფოები, რომლებიც მოახერხებდნენ ამ პირობების შესრულებას, გადადიოდნენ შემდეგ ეტაპზე;

- 1999 წლიდან 2002 წლამდე უნდა დაარსებულიყო ევროპის ცენტრალური ბანკი, რომელიც გააკონტროლებდა გაცვლით კურსებს და ხმარებაში შეიყვანდა ერთიან ვალუტას – ევროს. ის სახელმწიფოები, რომლებმაც შეასრულეს წინა აბზაცში ჩამოთვლილი პირობები, ასე ვთქვათ, გადავიდნენ შემდეგ ეტაპზე და მათ ქვეყნებში მიმოქცევაში შევიდა ევრო. თავდაპირველად ეს სახელმწიფოები იყო: ესპანეთი, პორტუგალია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, ირლანდია და ფინეთი. ოთხი სახელმწიფო – დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, დანია და შვეიცია – არ არის ევროს არეალში;
- ევროკავშირის ერთ-ერთი მიზანი უნდა ყოფილიყო სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის მიღწევა ევროპაში. ამისათვის 1994 წელს შეიქმნა თანასწორობის (სოლიდარობის) ფონდი, რომელსაც ფინანსური დახმარება უნდა გაენია ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოებისა და რეგიონებისათვის, განსაკუთრებული აქცენტით ისეთ სექტორებზე, როგორებიცაა გარემოს დაცვა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ამ დახმარებით ისარგებლეს ესპანეთმა, საბერძნეთმა, პორტუგალიამ და ირლანდიამ.

მაასტრიხტის ხელშეკრულების რატიფიკაცია არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ელოდნენ, თუმცა იგი ძალაში მაინც შევიდა 1993 წლის 2 ნოემბერს.

დღეისათვის ევროპის კავშირი შედგება სამი ორგანიზაციისაგან. ესენია: ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, ევროპის ატომური ენერჯის კომისია (ევრატომი). კავშირის ძირითადი ორგანოებია: კომისია, ევროპარლამენტი და მინისტრთა საბჭო. ევროკავშირი საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტურა-რიანობის მქონე გაერთიანებაა. იგი აღიარებულია დამოუკიდებელ სუბიექტად, რომელსაც უფლება აქვს დადოს ხელშეკრულება როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე სახელმწიფოებთან.

კომუნისტური რეჟიმების ნგრევასთან ერთად გაფართოვდა ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანებიც: დემოკრატიული სისტემების შექმნაში, ადამიანის უფლებების დაცვაში და გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში დახმარების განწევა. 1999 წელს ევროკავშირის წევრები გახდნენ უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთი. შემდეგი კანდიდატები არიან თურქეთი, მალტა და კვიპროსი. ამ და კონტინენტის კიდევ სხვა დანარჩენი ქვეყნების განწევრებით ევროპას ისტორიული შანსი ეძლევა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს საერთაშორისო სცენაზე.

თუმცა, ევროპის შემდგომ გაერთიანებას სერიოზული ოპონენტებიც ჰყავს თავად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. მათგან ყველაზე მდიდარი და ძლიერი ქვეყნები შიშობენ, რომ ასეთი მზარდი ტემპებით კავშირის გაფართოება და ისეთი მოუშაადებელი და ეკონომიკურად არათანასწორი ქვეყნების გაერთიანება, როგორებიცაა, მაგალითად, თურქეთი და კვიპროსი, სერიოზულ პრობლემად შეიძლება იქცეს მათთვის. ამ იდეას განსაკუთრებით ბევრი მხარდამჭერი ჰყავს გერმანიაში, ავსტრიაში და საფრანგეთში. გარდა იმისა, რომ ასეთი ნაკლებად განვითარებული ქვეყნების კავშირში შესვლით დამატებითი ჯაფა დაანება კავშირის მდიდარ ქვეყნებს, მოსალოდნელია სერიოზული ემიგრაციაც ახლად განწევრიანებული ქვეყნებიდან, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს სურათს, როგორც ეკონომიკურს, ასევე პოლიტიკურს. მით უფრო, რომ, მათი აზრით, კავშირს სხვა ბევრი პრობლემაც აქვს. ასე, მაგალითად, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაუფლების მიღწევის მიუხედავად, იუგოსლავიის კონფლიქტმა, სადაც გადამწყვეტი როლი კვლავ აშშ-მა და ნატომ ითამაშა, ევროპას აჩვენა, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი დრო სჭირდება, რომ თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები მთლიანად თავად გადაწყვიტოს.

ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ევროპის კავშირი არის ამ კონტინენტის სახელმწიფოებს შორის მყარი ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობა, დაფუძნებული საერთო ეროვნულ ინტერესებზე, და ერთ დღეს იგი შეიძლება გახდეს „ევროპის შეერთებული შტატები“. თუმცა ამ მოსაზრების ოპონენტები მიიჩნევენ, რომ მოვლენების მსგავსი განვითარება არარეალურია, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ კავშირის წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ საერთო მიზნები, მათი ეკონომიკები, სოციალური სტანდარტები და გარკვეული პოლიტიკური მიზნები

მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მეტიც, მათი აზრით, აშშ-ის ტიპის სახელმწიფოდ ევროკავშირის გადაქცევის ნებისმიერი მცდელობა შეიძლება მისი დაშლითაც კი დამთავრდეს. უფრო სავარაუდოა, რომ ევროპის მომავალი მოწყობა კონფედერალური ტიპის იყოს (*Globalization in Question. Paul Hirst and Grahame Thompson, Second Edition, 1996*).

ჰერსტი და ტომფსონი აღნიშნავენ, რომ ევროკავშირი არის მრავალეროვნული ეკონომიკური მართვის ყველაზე ამბიციური პროექტი თანამედროვე მსოფლიოში, მაგრამ მას ჯერ კიდევ სჭირდება დახვეწა. მისი ძირითადი პრობლემა, ავტორების აზრით, შიდა კომუნიკაცია და ისაა, რომ მის შემადგენელ ქვეყნებს განსხვავებულად წარმოუდგენიათ კავშირის მომავალი, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის ერთიანი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას.

იგივე ავტორების აზრით, დღევანდელ მსოფლიო ეკონომიკაში დომინირებს სამეული – ევროკავშირი, იაპონია და ჩრდილო-ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (North American Free Trade Agreement – NAFTA), და თუ ისინი შეთანხმებულად იმოქმედებენ, შეძლებენ მსოფლიო ეკონომიკის მიმართულების ეფექტურად გაკონტროლებას. ავტორებს ეჭვი არა აქვთ, რომ წმინდა თავისუფალი ბაზარი ძალიან მგრძობიარეა და ძნელად შესაცნობი. შესაბამისად, საერთაშორისო ეკონომიკის მომავალი სტაბილურობისათვის აუცილებელია მსოფლიო სავაჭრო სისტემის მართვის ფორმის მოფიქრება და დანერგვა. ხოლო ვინაიდან დღევანდელ ეკონომიკურ სისტემაში ლიდერობენ, როგორც უკვე აღინიშნა, ევროკავშირი, იაპონია და ჩრდილო-ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, მმართველობის ფორმაზეც ისინი უნდა შეთანხმდნენ. ანუ, სავარაუდოდ, მმართველობა უნდა იყოს მრავალმხრივი, უფრო სწორად – სამხრთვი. ხოლო ეფექტური მმართველობისათვის სამეულის ქმედებები უნდა იყოს კოორდინირებული. ამას ართულებს რამდენიმე გარემოება: მაშინ, როდესაც ჩრდილო-ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციაში დომინანტი სახელმწიფოა აშშ, არის, იაპონიის ეკონომიკა კი ერთ სახელმწიფოს ეფუძნება, ეს ორნი მარტივად თანხმდებიან გარკვეულ საკითხებზე და კომპრომისებსაც ადვილად პოულობენ. ევროკავშირთან მიმართებაში კი მდგომარეობა უფრო რთულია. მისი შემადგენელი სახელმწიფოები ხშირად ვერ პოულობენ საერთო ენას და კავშირის როლს მსოფლიო ეკონომიკის მართვის საქმეშიც განსხვავებულად ხედავენ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრი სახელმწიფოები წარმოდგენილია ევროკავშირის მიერ და გადაწყვეტილებებსაც მათ მაგივრად იღებს. ეს გადაწყვეტილებები ეფუძნება ქვეყნების შიგნით მიღებულ (ნაციონალური დონე) და შემდეგ კავშირის დონეზე (სუპრანაციონალური დონე) მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამას სამ დონეზე თამაშის თეორიას უწოდებენ.

ამგვარად, ევროკავშირის ზემოაღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, დღევანდელი მსოფლიოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ რა გადაწყვეტილებებს იღებს ევროკავშირი და რა მიმართულებით განვითარდება იგი.

ჩრდილოეთი ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია North Atlantic Treaty Organization – NATO

ნატო შეიქმნა 1949 წელს როგორც სამხედრო კავშირი, თუმცა ძალიან მალე მან სერიოზული პოლიტიკური ფუნქციაც შეიძინა. თავდაპირველად ნატოს ძირითადი მიზანი იყო წევრი სახელმწიფოების დაცვა კომუნისტური საბჭოთა კავშირისაგან. ამ უკანასკნელის დაშლის შემდეგ კი მისი მიზანი შეიცვალა და ახლა ევროპაში სტაბილურობის შენარჩუნებაში მდგომარეობს. ამჟამად ნატოში გაერთიანებულია შემდეგი სახელმწიფოები: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, კანადა, ნორვეგია, დანია, ისლანდია, პორტუგალია, საბერძნეთი, თურქეთი, გერმანია, ესპანეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი. მისი ძირითადი ამოცანაა დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს აგრესიის მოგერიებაში, ითანამშრომლოს საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარებისათვის, ეკონომიკური კავშირების განმტკიცებისათვის და სხვ.

ნატოს უმაღლესი პოლიტიკური ორგანოა ჩრდილო-ატლანტიკური საბჭო.

ნატოს ჩარჩოებში მოქმედებს ევროჯგუფი, რომელშიც შედიან ნატო-ს წევრი დასავლეთ ევროპული ქვეყნების (საფრანგეთის და ისლანდიის გარდა) თავდაცვის მინისტრები. მისი მთავარი ამოცანაა ამ ჯგუფში გაერთიანებული ქვეყნების შეიარაღების გეგმების კოორდინაცია.

ნატოს ფარგლებში მოქმედებს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (1991წ.), რომლის მიზანია განამტკიცოს მჭიდრო ურთიერთობა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან. მისი წევრია ნატოს ყველა წევრი და, აგრეთვე ავსტრია, აზერბაიჯანი, ალბანეთი, ბელორუსია, ბულგარეთი,

ესტონეთი, თურქმენეთი, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთი, საქართველო, სლოვაკია, სლოვენია, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, შვეიცარია, შვედეთი და სხვ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ტენდენციები, რომლებიც შეინიშნება ამ ორგანიზაციაში ცივი ომის დასრულების შემდეგ. ეს არის ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით და ეს ორგანიზაციის სწორედ იმ ფუნქციას უკავშირდება, რომელიც გულისხმობს ევროპაში სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნებას. ვინაიდან ნატოს წევრობის კანდიდატები ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოებია, გასაკვირი არ არის, რომ ამ პროცესით უკმაყოფილოა რუსეთი.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დაარსდა 1991 წელს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის დაცემის საპასუხოდ, რათა ხელი შეეწყოს ამ სახელმწიფოებში კერძო სექტორის განვითარებისათვის დემოკრატიულ გარემოში. ამჟამად ბანკი ეხმარება 27 ქვეყანას აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჩათვლით. ძირითადი მიზანია დაეხმაროს ქვეყნებს თანმიმდევრულად გადავიდნენ საბაზრო ეკონომიკაზე. თავისი ფულის ინვესტირების გარდა ბანკი ახდენს დიდი რაოდენობით უცხოური ინვესტიციის მობილიზაციასაც ქვეყნებისათვის. ბანკის დახმარება გაიცემა სესხების სახით უმეტესად ფინანსებში, ინფრასტრუქტურასა და წარმოებაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მცირე და საშუალო ბიზნესზე. კერძო სექტორის გარდა, ბანკი მუშაობს, აგრეთვე სახელმწიფო სექტორშიც და ხელს უწყობს პრივატიზაციის პროცესს, სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი კომპანიებისა და მუნიციპალური სამსახურების რესტრუქტურისა. ბანკის ინვესტიციებს თან ახლავს ტექნიკური დახმარების პროგრამები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანას გარდამავალ პერიოდში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და გარემოს დაცვის დონეებზე. ბანკის კაპიტალი შეადგენს 20 მილიარდ ევროს.

ეროვნული უსაფრთხოება და ეკონომიკა

ამ საკითხის ძირითადი მიზანია გავარკვიოთ, თუ რატომ ხარჯავენ სახელმწიფოები უზარმაზარ თანხებს შეიარაღებაზე, რა პრინციპით და რისი გათვალისწინებით იხარჯება ეს თანხები, რა კავშირშია შეიარაღება, სამხედრო სიძლიერე და ეროვნული უსაფრთხოება, რა კავშირშია ეკონომიკური სიძლიერე სამხედრო ძლიერებასთან და რა ტენდენციებია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოში სამხედრო ინდუსტრიის განვითარების სფეროში.

ნებისმიერი სახელმწიფო ზრუნავს თავის ეროვნულ უსაფრთხოებაზე და ცდილობს მაქსიმალურად უზრუნველყოს იგი. მაგრამ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოსაც კი არ შეუძლია აბსოლუტურად იყოს დარწმუნებული, რომ მის ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხე არ ემუქრება, ვინაიდან ის არ არის ერთადერთი, ვინც ამ პრობლემის მოგვარებაზე ზრუნავს, და მისი მეზობელი თუ მოქიშპე სახელმწიფოები, მის პარალელურად, გამალებით აუმჯობესებენ და ხვენენ თავიანთ უსაფრთხოებას. ამგვარად, ყველა ქვეყანა, სურს მას ეს თუ არა, იძულებულია გააძლიეროს თავისი სამხედრო და სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობები. როგორც ალექსანდრე რონდელი აღნიშნავს თავის წიგნში „საერთაშორისო ურთიერთობები“, „რადგან საფრთხე არა მხოლოდ ფიზიკურად არსებობს, არამედ ხშირად ძალზე სუბიექტურადაც და იგი ყველას მიერ განსხვავებულად აღიქმება, უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ასპექტიც ახასიათებს. უსაფრთხოების ფსიქოლოგიური ასპექტები მის ობიექტურ შეფასებასა და აღქმას მეტად ართულებს და, ხშირ შემთხვევებში, ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებისა და პოლიტიკის განსაზღვრისას, არარაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას განაპირობებს“.

არნოლდ უოლფერსის აზრით, უსაფრთხოება და ძალა სინონიმური ცნებები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მხოლოდ ძალის დაგროვება იქნებოდა

საჭირო. მაგრამ ვინაიდან ეს ასე არ არის და „ამასთან, თავდასხმის შიში – უსაფრთხოება სუბიექტური გაგებით – არ არის შედარებითი ძლიერების პროპორციული. თუ ეს მცდარი მოსაზრებაა, მაშინ, რატომ გრძნობს ზოგიერთი სუსტი და დაუცველი სახელმწიფო თავს უფრო უსაფრთხოდ, ვიდრე აშშ?“ (საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. ქრესტომათია. სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი, 2004).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამხედრო ტექნიკა საკმაოდ ძვირია და მისი ფასი განუწყვეტლივ იზრდება მის განვითარებასთან და გაუმჯობესებასთან ერთად. ხოლო სამხედრო ტექნიკის ეფექტურობა სწორედ მის თანამედროვეობაში და უპირატესობაში მდგომარეობს. შესაბამისად, სამხედრო ტექნიკის განვითარებას ქვეყანაში, ან მის იმპორტირებას, მნიშვნელოვანი დანახარჯები აქვს. სწორედ ამიტომ, ხშირად მიიჩნევენ, რომ კარგი შეიარაღება მხოლოდ მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების პრეროგატივაა. აქ გასამიჯნია ორი მომენტი – სამხედრო შეიარაღების წარმოება და მისი იმპორტი. რაც შეეხება წარმოებას, ამის შესაძლებლობა შეიძლება ჰქონდეს იმ ქვეყანას, რომელსაც გააჩნია სერიოზული ეკონომიკური რესურსები, შესაბამისი ეკონომიკური სტრუქტურა, ინტელექტუალური კაპიტალი და, ხშირ შემთხვევაში, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამის ტრადიცია. თანამედროვე სამხედრო შეიარაღება მოითხოვს მაღალტექნოლოგიური დარგების მნიშვნელოვან განვითარებას, ხოლო მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია დაბალგანვითარებული ეკონომიკის პირობებში. სამხედრო დანახარჯები, მშვიდობიან პერიოდთან შედარებით, ერთი-ორად იზრდება ომის დროს. ამას ემატება ადამიანური რესურსები, ეკონომიკის სხვა, არა სამხედრო სფეროს, დანახარჯები, ბუნებრივი რესურსების გაზრდილი ხარჯები და სხვა.

რაც შეეხება სამხედრო შეიარაღების იმპორტს, ეს მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა და მას თითქმის ყველა სახელმწიფო მიმართავს, თუმცა უმეტესად ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოები, რომლებსაც არ გააჩნიათ ყველა ის ზემოთ ჩამოთვლილი პირობა, რომელიც საჭიროა თანამედროვე და ეფექტური შეიარაღების წარმოებისათვის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სულ უფრო მეტი ნაკლებადგანვითარებული ქვეყანა იწყებს 1980-იანი წლებიდან თავისი შეიარაღების განვითარებას და, ზოგიერთ შემთხვევაში, ექსპორტსაც კი. უმეტესად ლათინურ ამერიკაში (ბრაზილია) და აზიაში. პარალელურად ეს ქვეყნები შეიძლება შეიარაღების იმპორტსაც ეწეოდნენ. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, როგორც ნესი, მუშა ხელის დეფიციტი ნაკლებია, თუმცა ხშირია მაღალკვალიფიციური სამხედროების ან სამხედრო ტექნიკის მცოდნეთა ნაკლებობა ან არარსებობა. ნაკლებადგანვითარებული ქვეყნები ხშირად ყიდულობენ (ქირაობენ) სამხედრო-ინდუსტრიული სფეროს სპეციალისტებს და ადგილზევე ცდილობენ სამხედრო შეიარაღების წარმოებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მათ დანახარჯებს მზა პროდუქციის იმპორტირებასთან შედარებით.

რატომ სჭირდება ძლიერ და ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ სახელმწიფოს თანხების დახარჯვა შეიარაღებაზე და არის თუ არა ეკონომიკური სიძლიერე სამხედრო ძლიერების საფუძველი?

ამ საკითხებზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით მეოცე საუკუნის ისეთ მოვლენას, როგორიც იყო ცივი ომი (ითვლება, რომ დაიწყო 1946 წელს უინსტონ ჩერჩილის სიტყვებით: „რკინის ფარდა“ ჩამოშვება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის). ამ პერიოდში ე.წ. შეჯიბრი შეიარაღებაში (arms race; гонка вооружений) აქტიურად მიმდინარეობდა ორ ზესახელმწიფოს – აშშ-სა და სსრკ-ს შორის (მსოფლიო პოლიტიკური სისტემა ბიპოლარული იყო). ცივი ომის პერიოდში უკანასკნელი დონის და მასშტაბური შეიარაღება პირდაპირ ასოცირდებოდა ეროვნულ უსაფრთხოებასთან (ძალის დემონსტრირება – გრანდიოზული ალღუმები სამხედრო ტექნიკის ჩვენებით, ომები სხვა სახელმწიფოებში – ვიეტნამი, ავღანეთი, და სხვ.). ცივი ომის პერიოდში კოლექტიურ უსაფრთხოებაზე ზრუნვის შედეგად დაპირისპირებული სახელმწიფოები გაერთიანდნენ სამხედრო ბლოკებში – დასავლეთი – ჩრდილოეთი ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო), საბჭოთა კავშირი, თავის სატელიტებთან ერთად – ვარშავის პაქტში.

ვარშავის პაქტი

1985 წლის აპრილში საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (აღმოსავლეთ გერმანია), უნგრეთის, პოლონეთისა და რუმინეთის კომუნისტური და მშრომელთა პარტიების გენერალური მდივნები შეიკრიბნენ ვარშავაში. მათ ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც აგრძელებდა 1955 წლის შეთანხმებას მეგობრობაზე, თანამშრომლო-

ბასა და ერთმანეთის დახმარებაზე, რამაც წარმოქმნა საბჭოთა პოლიტიკურ-სამხედრო ალიანსი აღმოსავლეთ ევროპაში. ვარშავის პაქტი უპირისპირდებოდა ნატოს. 1949 წელს ჩამოყალიბებული, ნატოსგან განსხვავებით, ვარშავის პაქტი არ იყო დამოუკიდებელი ორგანიზაციული სტრუქტურა, არამედ მას ჰქონდა საბჭოთა კავშირის, თავდაცვის სამინისტროს ნაწილის ფუნქციები. საბჭოთა კავშირი იყენებდა ვარშავის პაქტს თავისი დაარსებიდან 30 წლის მანძილზე როგორც მთავარ მექანიზმს აღმოსავლეთ ევროპაში საომარი და პოლიტიკური კონტროლის დამყარებისათვის. საბჭოთა კავშირს სჭირდებოდა ვარშავის პაქტი, რათა შეექმნა შთაბეჭდილება ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისა და დაემალა სიმართლე თავისი პოლიტიკური დომინირების და საომარი ჩარევის შესახებ მრავალი ქვეყნის საშინაო საქმეებში. საბჭოთა კავშირი ვარშავის პაქტს იყენებდა, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპული სოციალისტური ქვეყნების ჯარების გასავითარებლად და მათი საომარი სტრატეგიის გამოსაყენებლად.

1955 წლის პაქტის დადებამდე დიდი ხნით ადრე საბჭოთა კავშირმა ჩამოაყალიბა აღმოსავლეთევროპული ქვეყნების ალიანსი, რომელიც ემსახურებოდა მისი უსაფრთხოების ინტერესებს. აღმოსავლეთ ევროპის ფაშისტური გერმანიისგან განთავისუფლებისას, მეორე მსოფლიო ომის დროს, ნითელმა არმიამ დაამყარა პოლიტიკური და საომარი კონტროლი ამ რეგიონზე. საბჭოთა კავშირის სიდიდემ, ეკონომიკურმა წონამ და დიდმა სამხედრო ძალამ განაპირობა მისი, როგორც ქვეყნის, დომინირება ევროპის ამ ნაწილში. საბჭოთა კავშირს უნდოდა აღმოსავლეთ ევროპის გამოყენება ბუფერულ ზონად თავისი დასავლეთი საზღვრების დასაცავად და იდეოლოგიური გავლენის გასავრცელებლად. მეორე მიზეზი იყო სამშობლოს დაცვა საბჭოთა კავშირის უშიშროების პრიორიტეტების იერარქიაში. აღმოსავლეთევროპული ქვეყნების დაქვემდებარებით საბჭოთა კავშირმა უზრუნველყო თავისი კონტროლი რეგიონზე.

1955 წლის მაისში საბჭოთა კავშირმა ჩამოაყალიბა აღმოსავლეთ ევროპის ალიანსის სისტემა. ვარშავაში ერთად შეიკრიბნენ წარმომადგენლები ალბანეთიდან, ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან და რუმინეთიდან. მათი მიზანი იყო ხელი მოეწერათ მრავალმხრივი შეთანხმებისათვის მეგობრობაზე, თანამშრომლობაზე და ურთიერთდახმარებაზე, რომელიც ჰგავდა უკვე ძალაში შესულ მათ ორმხრივ შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან.

ლეგალური მრავალმხრივი ალიანსის ფორმირებამ გააძლიერა საბჭოთა კავშირის პრეტენზია მსოფლიოში სოციალისტური სისტემის ლიდერობაზე, გაზარდა მისი პრესტიჟი და დააკანონა მისი არსებობა და გავლენა აღმოსავლეთ ევროპაში. ნატოს ჩამოყალიბებამდე (1949 წელს) საბჭოთა კავშირს მნიშვნელოვანი მიზეზები ჰქონდა არაფორმალური კავშირის სისტემის ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ ვარშავის პაქტმა, როგორც ფორმალურმა ორგანიზაციამ, საშუალება მისცა საბჭოთა კავშირს, რომ ოფიციალურად შეინა აღმდეგებოდა ნატოს დასავლურ-აღმოსავლურ დიპლომატიაში. ვარშავის პაქტმა მისცა საბჭოთა კავშირს თანასწორი სტატუსი ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რადგან იგი იყო ლიდერი დამოუკიდებელი ქვეყნებისა, რომლებიც მხარს უჭერდნენ მის შინაგან პოლიტიკას საერთაშორისო არენაზე. ვარშავის პაქტი ასევე დაეხმარა საბჭოთა კავშირს გაეადვილებინა საშინაო პოლიტიკის გავრცელება აღმოსავლეთ ევროპაში. ვარშავის პაქტმა საბჭოთა კავშირს დააკანონებინა საბჭოთა ჯარის ყოფნა და თავისი დიდი გავლენა აღმოსავლეთ ევროპაში.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მეოცე საუკუნის 80-იანი წლებისთვის ამერიკის ეკონომიკის თანდათანობითი შესუსტების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს სამხედრო შეჯიბრი იყო, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურა და სათანადო ყურადღების გარეშე დატოვა ქვეყნისათვის სხვა მნიშვნელოვანი დარგები. ლაპარაკი აღარ არის სსრკ-ზე, რომლის გეგმიური ეკონომიკა თავიდანვე განწირული იყო და ცივი ომის დასრულებისათვის უკვე ნათელი ხდებოდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის შეუქცევადობა.

ცივი ომის დამთავრებამ შესაძლებლობა მისცა ამერიკის შეერთებულ შტატებს მნიშვნელოვნად შეემცირებინათ თავისი სამხედრო ხარჯები. 1991 წელს ეროვნული უსაფრთხოება ასაქმებდა დაახლოებით ექვს მილიონ ადამიანს კერძო სამხედრო ინდუსტრიაში, აქტიურ სამხედრო სამსახურში და თავდაცვის დეპარტამენტში. 1991 წლიდან 2001 წლამდე (ათ წელიწადში) ეს რიცხვი დაახლოებით 2,5 მილიონით შემცირდა. მეორე მსოფლიო ომიდან 1988

ნლამდე აშშ-მა 9,6 ტრილიონი დოლარი დახარჯეს შეიარაღებაზე.

მსოფლიოს სამხედრო დანახარჯები უზარმაზარი იყო და მნიშვნელოვნად იზრდებოდა 1970-იან წლებში. 1980-იან წლებში სამხედრო დანახარჯების ზრდა გაგრძელდა ინდუსტრიალიზებულ სახელმწიფოებში, მაგრამ დაახლოებით 1982 წლიდან ამ ხარჯებმა იკლო ნაკლებადგანვითარებულ სახელმწიფოებში.

მსოფლიოს სამხედრო დანახარჯები 1975-1984 წლებში
(აშშ მილიარდ დოლარებში)

	1975	1981	1982	1983	1984	პროცენტული წილი მსოფლიოში
ისე	257,534	290,278	307,827	324,230	348,697	53.7
აისე	171,972	185,448	189,757	191,671	196,133	30.2
ძნეჟ	33,352	45,143	48,598	44,874	44,988	6.9
დმ	43,452	54,238	61,862	60,018	57,419	8.8
მთლიანი	507,480	576,860	609,900	622,800	649,070	100.0

შენიშვნა: ისე – ინდუსტრიული საბაზრო ეკონომიკები; აისე – არაინდუსტრიული საბაზრო ეკონომიკები; ძნეჟ – ძირითადი ნავთობ ექსპორტიორი ქვეყნები; დმ – დანარჩენი მსოფლიო
Stephen Gill and David Law. *The Global Political Economy: Perspectives, Problems and Policies*. p.106. Source: R. Luckman, "Disarmament and Development – the International Context" *IDS Bulletin (October 1985), Vol. 16, No. 4, p.3.*

ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს სამხედრო დანახარჯებს და გავლენას ახდენენ მათ ასეთ მაღალ მაჩვენებლებზე, კომპლექსურია. ზოგიერთი ფაქტორი განეკუთვნება ეროვნული პოლიტიკური ეკონომიკის შიდა სტრუქტურას, ზოგიერთი – გლობალური პოლიტიკური ეკონომიკის სტრუქტურას. მათგან ზოგიერთი კი ისეთ ეკონომიკურ ფაქტორებს, როგორცაა ცვლილებები ტექნოლოგიის დონეში. რა თქმა უნდა, გარე და შიდა ფაქტორები ერთმანეთთანაა კავშირში. გარდა ამისა, ის კავშირები, ქიშპობა თუ თანამშრომლობა, რომელიც არსებობს სახელმწიფოებს შორის უსაფრთხოების სფეროში, გულისხმობს, რომ გადაწყვეტილებები შეიარაღებასთან დაკავშირებით არ შეიძლება იყოს მიღებული დამოუკიდებლად, ზოგადი ტენდენციების გათვალისწინების გარეშე. აქ ქვეყნები ითვალისწინებენ ძალიან ბევრ ფაქტორს: ზოგად ტენდენციებს მსოფლიოში, მათ მდგომარეობას რეგიონში, მათი სტრატეგიული პარტნიორების საერთაშორისო სტატუსს და შეიარაღების დონეს, იმ როლს, რომლის თამაშსაც ეს სახელმწიფო აპირებს მსოფლიო პოლიტიკაში (მაგ., სამართლიანობისათვის მებრძოლი სახელმწიფოს როლი, ისტორიულად ნეიტრალური როლი, რეგიონში ლიდერის როლი და სხვ.), თავის გეოპოლიტიკურ მდებარეობას (თუმცა სამხედრო ტექნიკის განვითარების პირობებში საზღვრების როლის მნიშვნელობის დასუსტებამ ეს ფაქტორი, ხშირ შემთხვევაში, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა).

დეკოლონიზაციას, რომლის შედეგადაც სახელმწიფოთა რიცხვმა იმატა, მოჰყვა ომები მესამე სამყაროში და რეგიონალური კონფლიქტები. ამან, თავისთავად, გაზარდა სამხედრო ხარჯები ამ ქვეყნებში. ეს ზრდა უფრო დიდი იყო, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. სწორედ ამიტომ, 1950 წლიდან საგრძნობლად შემცირდა სუპერ-სახელმწიფოების სამხედრო დანახარჯების წილი მსოფლიო სამხედრო დანახარჯებში, და ეს იმის მიუხედავად, რომ 1950 წლიდან მასიურად იზრდებოდა შეიარაღების (ტექნიკის) ფასები. აშშ-ის წილი, მაგალითად, 1950 წელს შეადგენდა 50 პროცენტს, 1980 წლისათვის კი მისი წილი უკვე შეადგენდა დაახლოებით 23 პროცენტს. დაახლოებით ამდენივეს შეადგენდა ამ პერიოდისათვის საბჭოთა კავშირის წილი.

ზურაბ დავითაშვილის აზრით, იმის გამო, რომ თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგია მეცნიერებატევადი და სპეციალიზებული დარგია, სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა იარაღის წარმოებაში განსაკუთრებული სისწრაფით იზრდება. იგი ასევე ეხება ტრანსნაციონალური კორპორაციების როლს ამ სფეროში და აღნიშნავს: „დასავლეთის ქვეყნების თავდაცვითი ინდუსტრიის ტრანსნაციონალიზაცია მომდინარეობს კომერციული ლოგიკიდან, რაც ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს აშკარად ეწინააღმდეგება, მაგრამ ეს ტენდენცია საყოველთაოა. მით უფრო, რომ სამხედრო მრეწველობა მჭიდროდ არის

გადაჯაჭვული სამოქალაქო დარგებთან, რომელთა საზღვრები სახელმწიფოებს შორის ფაქტიურად წაიშალა“ (ზურაბ დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბილისი. 2003. გვ. 225).

დღევანდელ მსოფლიოში ყველა სახის ტექნოლოგია საოცარი ტემპით ვრცელდება და ამ დროს ძალიან ძნელია გამიჯნო სამოქალაქო და სამხედრო ტექნოლოგიები. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ეს ხერხდება, სამხედრო ტექნოლოგიები მაინც ვრცელდება საერთაშორისო ეკონომიკის კონკურენტული ბუნების გამო. იმისათვის, რომ ქვეყანა კონკურენტუნარიანი იყოს მაღალტექნოლოგიურ დარგებში, მან უნდა გაატაროს დაბალანსებული ეკონომიკური კურსი, ხოლო თუ მისი შიდა ბაზარი არ არის საკმარისად დიდი, ექსპორტს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, რათა ქვეყანამ მიიღოს შემოსავალი და დააფინანსოს შემდგომი კვლევები. ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნებმა შეიძლება ისურვონ მოახდინონ რომელიმე სამხედრო ინდუსტრიული ტექნოლოგიის მონოპოლიზაცია, მაგრამ ტექნოლოგიური ინოვაციების ეკონომიკა აიძულებს მათ მიმართონ გავრცელების ხელშეწყობის პოლიტიკას. ხშირად სუპერსახელმწიფოები სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფოებზე ყიდიან თანამედროვე იარაღს, რათა მოიპოვონ მათზე გავლენა. სამხედრო ტექნიკით ვაჭრობა ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა და მას ქვეყნებისთვის სოლიდური შემოსავალი მოაქვს. საერთო ღირებულებით (ბრუნვით) იარაღით ვაჭრობა პირველ ადგილზეა მსოფლიოში. 1970-1980-იან წლებში იარაღით გამალებული მომარაგება ხდებოდა ნავთობით მდიდარი სახელმწიფოების აზიაში – არაბული სახელმწიფოები და, მეორე მხრივ ისრაელი, ირანი და მეორე მხრივ – ერაყი. იარაღის მიმწოდებლები იყვნენ აშშ და საბჭოთა კავშირი და ამ სუპერსახელმწიფოების შეჯიბრი (arms race) ამ რეგიონში გრძელდებოდა. გამონაკლისი არ იყო ამ მხრივ არც აფრიკის კონტინენტი, რომლის დანაწილებასაც გავლენის სფეროებად ცდილობდნენ იგივე სუპერსახელმწიფოები. აშშ-ს განსაკუთრებული ისტორიული ინტერესი ჰქონდათ და აქვთ სამხრეთ ამერიკაში, შესაბამისად სამხედრო ტექნიკასთან დაკავშირებული გარიგებები მათ შორის ყოველთვის იყო. იარაღით ვაჭრობა ხდებოდა და ხდება როგორც ღიად სახელმწიფოების მიერ, ასევე ფარულად ან კერძო კომპანიების საშუალებით. ამ მხრივ შეიძლება დასახელდეს საბჭოთა კავშირის მაგალითი ახლო აღმოსავლეთში თუნდაც პალესტინასთან მიმართებაში და სხვ. შეიძლება ასევე აღინიშნოს ბირთვული იარაღის საიდუმლოებების მიყიდვის ფაქტები აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნისათვის და სხვა მრავალი.

